

# ჩვენი თათბარი

5

გვილისი

---

1940

# ჩვენნი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოფულთაგან ერთგანო

12 793

5



სახელმწიფო გამომცემლობა  
ბფილისი  
1940 წელი მ. ა. ი. ს. ი.

## ზინაარსი

83

### მხატვრული ლიტერატურა

|  |    |
|--|----|
| მაყვალა მრევლიშვილი — პარტიზანის მოგონება        | 3  |
| შალვა ამისულაშვილი — ახალციხიდან ვარძიამდე       | 5  |
| ვიქტორ გაბესკირია — ძველ საქართველოში            | 7  |
| გრიგოლ აბაშიძე — ორი ლექსი                       | 9  |
| ლადო ასათიანი — სხვადასხვა ლექსები               | 11 |
| კოტე ხიმშიაშვილი — ჯონქა ხორნაული (გაგრძელება)   | 14 |
| იოსებ მჭედლიშვილი — მგოსნის სიკვდილი (დასასრული) | 31 |

### კლასიკური მემკვიდრეობა

|  |    |
|--|----|
| ფრიდრიხ შილერი — გასეირნება (თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა)    | 41 |
| მეოცე საუკუნის ინგლისელი პოეტებიდან (თარგმ. გივი გაჩეჩილაძისა) | 46 |

### კრიტიკა

|  |    |
|--|----|
| აკაკი გაწერელია — დავით კლდიაშვილი (დასასრული) | 48 |
| არტემ ახნაზაროვი — იძულებული პასუხი            | 57 |

### ბიბლიოგრაფია

|   |    |
|---|----|
| ს. — საბა-სულხან ორბელიანი. „სიბრძნე-სიცრუისა“. სახელგამი | 64 |
|---|----|

---

სარედაქციო კოლეგია: ასტვაცატურკოვი ეკემია, გენაშვილი დიმიტრი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სერგო, ქიაჩელი ლეო, შენგელაია დემან, ჩიქოვანი სიმონ. პასუხისმგებელი მდივანი: ნიკოლოზ აბიაშვილი

---

წარმოებას გადაეცა 15/V-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 29/VI-40 წ. ქალ. ზომა 72×108. უტრნ. ზომა 7×11½. ფორმ. რაოდ. 4. შეკვ. № 1038. მთავლიტის რწმუნებულის № ა. 2452. ტირ. 4000.

---

სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატი, უორესიჭ ქ. № 5.

# მხატვრული ნიბეჩიასუჩი

მაცვალა მრეველიზვილი

## კარვიზანის მოგონება

სიომ, ოდნავ ფეხ-ამწვარმა ამ მხურვალი ხრეშით,  
ასკინკილით დაურბინა გარინდებულ პალმას,  
მზის ბოძებულ ოქროს ზოდებს ბადე უგდო წყალმა,  
გულზე შიბად დაიფინა, თან ნადავლით ხენეშის.  
მზით ბოძებულ ოქროს ზოდებს ბადე უგდო წყალმა,  
ხალვათ ჯგუფად დაფენილნი მოგონებებს ვისმენთ,  
აქ ჩამომხდარ სტუმართ ბაასს, ზღვაო, მრავალს იცნობ,  
გამოგვიტყდი, — ასეთ გრძნობით თუ ეამზნოს ვისმეს:

...კობას ნათქვამი წყლულებს გვიხვევდა,  
გავყეთ, ვეურჩეთ ცხოვრებას უნდილს, —  
ერთხელ, გასულნი უზმოდ, უხემსოდ  
ტყეებმა გვიძმეს ჯიუტი გუნდი.

ვწევართ, უღრანში შუქი ძლივს გვატანს,  
თავზე თარეშობს ტყვია უღევი,  
მიზანში ვიღებთ ტოტების ლაწანს —  
მკლავში ჩახვეულ ბნელი ლულეებით..

ვიღაც ბებერი დადის, გახელდა,  
ხარებს თუ ეძებს ამ სისხამ დილით!

...და მეცნო ყრმობის კვიმატ სახელთან  
ბებეიას ხმა და შავი მანდილი:

— „მოი, მერცხალავ!“ — გაისმის სერზე,

გული კი უდუღს: — მოი, დეღია!  
ეჭვით გავცქერი მოხრილ კისერზე, —  
აქ მოსვლა როგორ გაუბედნია?..

თითქოს აგვიხდა გულის ნადები  
აღლომ დაყარა აშლილი ხაო,  
დადგა ნათელი ქარვის მქადების  
კალთით მოზიდულ მოსაკითხავით.

„თქვენი ბიჭობით სოფელი ხარობს,  
სუნით დაგეძებთ დამსჯელი ჯარი,  
ქედი უბრალოდ არ მოიხაროთ,  
შვილო, ჩვენთვისაც გამოიდარებს“...  
დავნაყრდით ძმები, ხალისის ელჩად

მტერთან ბრძოლებით ვიჩენდი ლხინებს,  
იმ ლუკმის სიტყბო მე დღემდის შემრჩა, —  
დედის რძესავით ყელთან ღიღინებს.

ჯალათნი, მოხუცს დაედგენ უხვად,

აწამეს — ეთქვა — საით ვიყავით,

ეცადნენ, მაგრამ ბებერი კრუხი

შვილს განა დასთმობს ცოცხალი თავით?..

გავიდნენ წლები, ჩვენ დღეებს ვზვერავ:

გული ამაცობს, სიმღერა მერჩის,

ვაბიჯებ მამულს და ასე მჯერა

მასპინძლად დაგვხვდით ლხინების რთველში!

სიო კრძალვით ესურვილა გარინდებულ პალმას,

ყურის ძირთან გვეთამაშა მზის საამქროს ხიზნებს,

სიწყნარეა, — დაღლილი დღე თვლემით საკინძს იბნევს,

მხოლოდ სული ამოითქვა განაბულმა წყალმა.

## ახალსიხილან პარძიამლა

შავი ქუდი, შავი პალტო,  
შავგვრემანი თითონაც...  
საჭე მშვილად გადასწია, —  
შუქი სტყორცნა ლითონმა.  
აგუგუნდა რკინის გული,  
კედლებს მოსწყდა მანქანა;  
შარას კვამლი გაეკიდა,  
შარა მტვერმა გადაჰფარა...  
შორს დავტოვეთ ახალციხე,  
შეგვეგება რუსთავი;  
მთვარე მთებზე აიშართა,  
მთვარე გასაფურცლავი!..  
ყაითნებით მოიქარგა  
ლოღმაგარი კლდეები,  
ყაითნებით მოიქარგა  
ნაავდრალი ხეებიც...  
მტკვარი ტალღებს მოარხევდა,  
მტკვარი ტინებს ლოკავდა:  
წარსულს ხავსი დარჩენოდა, —  
სურდა მისი მოპარვა...  
აილანდა თმოგვის ციხე,  
აილანდა ქაჯეთი;  
აილანდნენ გალაგნებიც —  
ლიბო ამონაცვეთნი...  
თითქოს მთაზე გადიარა  
რუსთაველის აჩრდილმა, —  
მუზარადი გაზრიალდა, —  
ნაპერწყლები დასცვივდა...  
ჩვენ მივქროდით, ბნელში სთვლემდა  
გარდასული დროება...  
ჩვენ მივქროდით, ჩამქრალიყო  
ბედის განმარტოება!..  
ციცნათელებს დაელამბრათ  
დიდებული მესხეთი;  
წყალს წაედო თუ ქარიშხალს, —  
არსად ჩანდა მეჩეთი!..

იყო მხოლოდ მოგონება  
 ოსმალური ხმალისა,  
 როცა სამცხეს მოამსხვრევდა,  
 პრიალებდა ალისფრად...  
 როცა ქართველს ქართველობა  
 გამოსტაცა ხელიდან,  
 როცა სტამბოლს ვადიყვანს,  
 ქედი მოახრევინა...  
 იყო მხოლოდ მოგონება  
 ტოტლებენის ჯარისა,  
 როცა მესხეთს უღალატა,  
 მტკვრის ხეობა დანისლა...  
 როცა კლდეებს აწყდებოდა  
 ასპინძური გრიგალი,  
 როცა სულთანს დაეჯახა  
 მეფე დაურიდალი!..  
 სდუმდა ჩემი მემანქანე,  
 ქუხდა მისი მანქანა;  
 მოაგონდა კლდის ქალაქი,  
 ისარივით გაქანდა!..  
 მალე გავჩნდით ვარძიაშიც; —  
 თმოგვი ამოგვეფარა;  
 მოქნეული მთაგორები  
 ქარავენულად ეყარა...  
 შავი ქუდი, შავი პალტო,  
 შავგრემანი თითონაც;  
 თვალზე ცრემლი შევამჩნიე,  
 ნეტა რაზე ფიქრობდა?...  
 ვერ მოვასწარ გამოკითხვა,  
 ისე დამემშვიდობა;  
 მეც ნაღველი შემეპარა,  
 მეც ტირილი მიწოდდა...  
 იქნებ ენა ჰღალატობდა,  
 კილო ჰქონდა თათრული;  
 იქნებ მასაც აწუხებდა  
 საქართველოს წარსული?!  
 იქნებ მისი სიჭაბუკეც  
 უღედმამოდ აყვავდა:  
 ან სპარსეთში, ან თურქეთში  
 მათთან ბედმა გაჰყარა?!  
 იქნებ მისი მოგვარენიც  
 უცხოეთში ამოსწყდნენ?!  
 მარტო დარჩა, მისი გვარი  
 სხვა გვარებმა დალოცეს?!...

ვიქტორ ბაგეჰიანი

## ქველ საქართველოში

მ. რ. ნ. ი

ეწადათ ვაუკაცო მოსულ მტერთან ბრძოლა ქებული,  
ახლა კი რა ჰქნან? არ ასვენებთ ფიჭვი და იჭვი.  
სხედან ზვის პირად ნაღვლიანი, ჩაფიქრებულნი  
მასლობელ სოფლის გლეხნი ვეფხო და დედას-ბიჭი.

შემუსრა მტერმა მათი რაზმი, გადარჩენ მხოლოდ  
ორნი და მტრები იქნებ უკვე მამულში ქრიან;  
ვისთან გამოჩნდნენ, სატანჯველი ვის გაუმზილონ?  
ღმერთმა იცოდეს, გადარჩენა არ უფიქრიათ!

უცებ ყიყინა შემზარავი მოესმათ შორით,  
უახლოვდებათ მტერი რისხვით მთას გადმოსული.  
გამოეთხოვენ ერთმანეთს და ეკვეთენ ორივე  
მტრებს და ბრძოლაში ვაუკაცურად დალიეს სული.

მინდორზე უკვე წვანან გმირნი, უბე ევსებათ —  
ყვავილებით და მათ გარშემო მზე სხივებს აბნევს.  
მინდვრის ბალახი და ნიავი ეალერსება  
იმათ ხუჭუჭ თმებს და ქართულად შეკრულ ქალამნებს!

### ბახიზნულები

მთას შეეხიზნენ ქართველები, ამოჰყვათ მათ თან  
დროშები, დარდი სამშობლოზე და იარები.  
დახვდათ იქ ქარი სუსხიანი და ჯანლი მთათა,  
დადიან მთებში სევდიანი, მგლოვიარენი.

ნუ თუ მტერს შურის საძიებლად კვლავ ვერ დაესხან,  
ნუ თუ ქვეყანა სამუდამოდ გამოიგლოვებს?  
არა... იმედად მთებში ისევ მოსულა ეს ხმა:  
„ბატონიშვილი ჯარებს აგროვებს“!



## ეკლესიაში

ეკლესიაში შვემ სხივები ჩუმად გააბა,  
კრთის საკმეველში და გუმბათი ოდნავ განათდა.  
ქვის მაღალ სვეტთან ჩაიკეცა ქართული კაბა,  
ლოცულობს სათნოდ ქალიშვილი ღვთისმშობლის  
ხატთან.

ის ლოცვით არღვევს ეკლესიის ცივსა სიჩუმეს,  
სახლსა უფლისას მოკრძალებით შორდება მრჩეული;  
ქრება სანთლები, ვარდის ბავით ის კვლავ ჩურჩულებს,  
დაჰკიდებია წამწამებზე ობოლი ცრემლი.

ვაქვავებულა, თითქოს ის მთლად ლოცვას დანებდა.  
ვინ უწყის, იგი უფალს რას სთხოვს; ვის შველას  
ფიქრობს?

უცებ წამოდგა მომხიბვლელი და წმინდანებმა  
ცოფ კედლებიდან გადახედეს ერთმანეთს თითქოს!

## ბანდებილი

ცივია მისი ქვის სენაკი, ის თითონ მშვიდი,  
თითქოს აქ მუდამ სალამოა; მუდამ ბინდდება.  
ის ზოგჯერ ტყეში ფიჩხისთვის ან წყაროსთან მიდის  
და გრძნობს სენაკში მაშინ ჩიტი შემოფრინდება.

არვის არ ლოცავს და არც არვინ დაუწყევლია;  
აღარ აფიქრებს მას ზრახვანი ამა ქვეყნისა.  
მას არაფერი არ ახარებს, მოსაწყენია  
წუთისოფელი ისე, როგორც ნაპირი ტყისა.

## ახალგაზრდა ქვრივი

მისი საკვები არის თაფლი და ჭირნახული,  
მისთვის ერთია ველ-მინდორი ჰყვავის თუ ჭკნება.  
თუ უხარია მხოლოდ მაშინ, როს გაზაფხული  
მოვა და ხეზე ღვთის ჩიტი კვლავ აჭიკჭიკდება.

ყურს უგდებს მერცხალს დილით; როცა შვე სხივებს  
აკმევს,  
რადგან ჰგონია გარდაცვლილ ქმრის ამბავი ესმის.  
ხშირად კი ასე გაიფიქრებს, რომ მის თეთრ სარკმელს  
ის სიყვარულის ნიშნად ციდან მზის სხივებს ესვრის.

დადის ეზოში... იგი ხშირად მოაგონდება,  
როცა დახედავს ქამარ-ხანჯალს ქრმისას; — ცრემლი  
სდის.

ყველაზე მეტად კი საბრალო მაშინ ღონდება,  
როს გაიფიქრებს: „ასე როდემდის!“

## ორი ლექსი

გაზაფხული

შიეგებება რიურაჟს ფრინველი,  
მზე დაბრძანდება ცაზე მნათობად,  
და გაზაფხული ჯერო ფენშიშველი  
მინდვრად შემოდის, როგორც ხატობა.  
შოვა მერცხალი და უთენია  
თვალებს ცაახელს ხეზე ფურცელი,  
სუყველას საქმე გაუჩინია,  
მე უსაქმობით ვარ მოუცლელი.  
ზოგი მწვერვალზე დაეძებს ალავს,  
ზოგი ქვესკნელში ეძებს მშვილობას,  
შეხედავ ფრინველს, შეხედავ ბალახს  
და მოგწყინდება უცოლშვილობა.  
შეხედავ სავსეს და ფეხზე დამდგარს  
გაზაფხულს, ქვეყნად მოსულს უვადოდ,  
ყველა რაღაცას უმატებს სახლკარს,  
მე დიდ ქვეყანას რა მივუმატო!  
მე ვისთვის ვახელ თვალს უთენია,  
როგორც ბალახი, როგორც ფურცელი,  
სუყველას საქმე გაუჩინია,  
მე უსაქმობით ვარ მოუცლელი!

დიდ ქალაქში

აქ ტრამალები არ იტაცებენ  
გაზაფხულს უცხოს და უსავანოს,  
დახედავს ასფალტს, დახედავს ცემენტს  
და აღარ იცის რა ამწვეანოს.  
გაქვავებული ტყე უნდა მორთოს,  
დაკარგულ მიწას ეძებს, ჩასძახის,  
მაგრამ ბოძებზე ვერ ხედავს ფოთოლს  
და არ ამოდის ფეხქვეშ ბალახი.  
სადღაც ამწვეანდა პატარა ბაღია,  
ვარდიც გამოჩნდა სადღაც გულდია,

ქალაქი შაინც უფოთლოდ დარჩა  
და გაზაფხული არ გაუგია.  
გაზაფხულს თითქო ძალა აკლდება,  
საკუთარ თავით უკმაყოფილოს,  
ქალაქგარეთ სურს დაბანაკება,  
რომ ქვის ქალაქი შორით მოხიბლოს!  
უეცრად, თითქო გაიხსნა არხი,  
ქალაქში ატყდა ყივილ-ხივილი,  
ზედავს: ქუჩებში დაიძრა ხალხი  
და წამოვიდა მისკენ ღიმილით.  
აღმოჩნდნენ ხშირი, როგორც ბალახი  
გაცოცხლებია ქვასაც სხეული,  
და ოქროს კლიტეს დიდი ქალაქი,  
აპრილს აბარებს დამარცხებული!

## სხვალსხვა ლექსები

### სიზმარი

ლაჟვარდი იყო სუფთა და ღია,  
მიმწერდა იის ცისფერი თვალი,  
მღეროდა ვიღაც და სამიას  
ცეკვავდა სამი უცნობი ქალი.  
გადავიარე სინათლის ზღვარი  
და უცნაური ვნახე ხატება,  
ჯერ არ მინახავს ქვეყნად ამგვარი  
გასაოცარი გამოცხადება.  
სულიერავით დარბოდნენ ზენი,  
ფრინველებს ლხენით ვესროდი ისარს,  
მოჰყავდათ ჩემსკენ ფასკუნჯებს

ფრენით

პირმშენიერი მნათობი დღისა.  
ისე ბრწყინავდა ვერცხლის ხეხილი...  
გაოცდებოდით ფერთა მზილველი,  
ოქროს მთა-ბარი და მთაგრეხილი, —  
გამოცხადება გასაკვირველი!  
ოქროს გალიებს, ოქროს ზარებით  
და გალიებში სამოთხის ჩიტებს,  
ვუმწერდი, ვიდექი ფერნამკრთალები  
და გრძნეულივით ვუსმენდი კიდევ.  
და ბოლოს, როცა მეტოქემ მთვარის  
გადამაფარა სინათლის კოლთა...  
უეტრად გაჰქრა ზმანება მკრთალი,  
განათებული ოცნების კართან.

### წვიმაში

დღეს მიკვირს, ისე როგორ გადავრჩი,  
რომ ოდნავადაც კი არ დავსველდი,  
ისეთ ქუხილში, ისეთ ავდარში, —  
მე ამ დროების მეთათსელი.

ქარწვიმა იყო, თუ სროლა ისრის —  
სამაგალითოდ შენაქუჩების!  
მე მოვიარე საავდარო ნისლში  
დღედაქალაქის ყველა ქუჩები.  
და მერე, როცა ჩვეული რიგით  
გავხსენ რუსთველის ქუჩის ურდული,  
დაიგრუხუნა ტფილისის ირგვლივ  
და წამოვიდა წვიმა შურდულით.  
გავხედე: თრთოდნენ ქარწვიმის ხმაში  
ქუჩები ბევრჯერ გადანათელი,  
მარტო გამზირზე არ წვიმდა მაშინ  
და მარტო გამზირს ადგა ნათელი.  
მაგრამ უეცრად იქუნა ისევ  
მეტ ვახვლებით და გამძაფრებით  
და გამზირადან ღრუბლიან ცისკენ  
გაჩნდნენ ქარის და წვიმის ძაფები...  
ბევრი ვეომე ძლიერ ზენაქარს,  
ჩემს მშობელ ქუჩას თავს ვეველებოდი,  
ძოლოს საფარი რომ არ მენახა  
შესაბრალისად დაესველდებოდი.  
ავდართან გმირულ ბრძოლებით

დაღლილს

არსად რომ თავი არ დამეხარა,  
ვადამეფარა ქვაშვეთის თალი,  
ვადამეფარა და დამეხმარა.  
წვიმა კი რბოდა, როგორც აფთარი,  
ცას გაუშავა ნაზი ლაწვები  
და მე ვხედავდი: წელში გამტყდარი  
როგორ წვებოდნენ ქარში ნაძვები.  
ორბელაანის საფლავთან მდგარმა  
ქალაქს გავძახე ლექსი ქართული,  
და რაწამს ყალყზე ამდგარმა ქარმა  
მოინახულა ჩემი სართული,  
მე რალაც უცხო, იდუმალ ძალით  
შეუჩერებლად ავფრინდი ცამდე,  
მერე ავანთე, ვით ნაკვერჩხალი  
და ნარიყალას კედლებთან დავდექ.  
აქ, ვაჟკაცურად ვმღეროდი მართალს  
მარად-სობით გადანისლული,  
აქ, ნარიყალას ხავსიან კართან  
დაეცა ჩემი ამაყი სული.  
ვხედავდი: თრთოდნენ ქარწვიმის ხმაში  
ქუჩები ბევრჯერ გადანათელი,  
მარტო ჩემს ირგვლივ არ წვიმდა მაშინ,  
მარტო ჩემს ირგვლივ იდგა ნათელი.

\*  
\* \*

ჩემი ბავშვობის სახლთან  
გზვდებოდი ფერმკრთალ ასულს,  
და შენ მაგონებ ახლა  
იმ სილამაზეს, წარსულს.

სხვა რამ, შაირის გარდა,  
როგორ გაკარდო აბა!  
რა რიგ გიხდება და გრთავს  
ეს შანდისფერი კაბა.

ხედავ, ზამთარი ჰქრება...  
ყვავილებს გაშლის ნუში,  
ყველგან ხალისი, სევდა  
— მხოლოდ პოეტის გულში.

წუხილს წაიღებს ქარი  
და სტრიქონებად დაქსოვს...  
საღამო იყო წყნარი,  
თქვენთან ვიყავი, მახსოვს!

\*  
\* \*

მიმატოვე და მალულად  
ახლა ველარ გზვდები,  
ნაფიქრალით დაფარულან  
საქართველოს მთები.  
როგორ სწრაფად წამიხველი,  
სიტყვაც კი ვერ გიტხარ.  
შენს უნაზეს ძახილს ველი,  
ჩემო კარგო, დიდხანს.  
ვუმზერ მეტებს, ნარიყალას,  
შენ კი ველარ გხედავ,  
გაიღვიძე, ჩემო ყველაფე  
ჩემო სულის ერთავ!  
ჩვენებურად, ძველებურად  
ჩავუაროთ ისანს.  
კაცი ვარ და ქუდი მხურავს,  
ქართველს შეუშიშარს.  
მიმატოვე და მალულად  
ახლა ველარ გზვდები.  
ნაფიქრალით დაფარულან,  
საქართველოს მთები.

## ჯონქა ხოჩნაული\*)

პირველი ყელსახვევი

დიდი ქალით გაკაშკაშებულ, ვრცელ ოთახში გრძელი სუფრა იყო გაშლილი. ციციწო და ჯონქა იმ მხარეს მოხედნენ, სადაც მანანას დედამაშა ისხდნენ სუფრის ბოლოში. ჯონქაზე ყოველთვის არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა დავით ციხისელი; ამ კაცს შავვრემან სახეზე, ზშირი პარსვისაგან თითქო დათრიმლული ლაწვებითა და მოგრძო ცხვირით, მუდამ მოლოდინის შთვლემარე გამომეტყველობა ჰქონდა. ასეთ სახეებს რკინიგზის სადგურზე შეამჩნევთ, მოსაცდელ დარბაზში,—ზის კაცი და ელოდებან მატარებლის მოსვლას, იცის, რომ კიდევ დიდხანს დასჭირდება ლოდინი, მძიმედ ფიქრობს; უინტერესოდ ადევნებს თვალყურს დარბაზის ფუსფუსს, აუღელვებლად, მოთმინებით ზის და ელოდება. ამ შთაბეჭდილებას განსაკუთრებით აძლიერებდა მოყვითალო პენსნე,—ვერ შეამჩნევდით საით იყურებოდა ეს კაცი, ან საერთოდ გახელილი ჰქონდა თუ არა თვალები. იგი თითქო მალაფდა ფიქრებს პენსნეს უკან. ახლაც სახეზე კუნთშეურხეველად იჯდა მაგიდასთან დავით ციხისელი და იქნებ თვალები დახუჭულიც ჰქონდა, მაგრამ ჯონქა გრძობდა, რომ დავითი ყველაფერს ამჩნევდა და ყოველივე ესმოდა; რაც კი ხდებოდა ირგვლივ; თმა ოდნავ გასჭალარავებოდა და შეთხელებოდა კიდევ; შავი პინჯაკის ზევით თოვლივით სპეტაკი საყელოს ვიწრო ზოლი მოუჩანდა. წინო უფრო ახალგაზრდა გამოიყურებოდა მეუღლის გვერდით; მის მწვანე თვალებს ძლიერ უხდებოდათ სადად შეკერილი ხავსისფერი კაბა. ციციწოს და ჯონქას პირდაპირ ორი ჭაბუკი დაჯდა. ერთ მათგანს — იოთამ ხიზირელს ჯონქა იცნობდა — ფილოლოგიის ასპირანტი იყო; მეორეს, სჩანდა, ცოტახნის წინ მოსკოვს ემოგზაურნა და შთაბეჭდილებებს უზიარებდა მეგობარს:

— იქ ვახშმად შვიდ საათზე სხდებიან ხოლმე, ვისა სცალია ღამის სათევად, თბილისში კი თორმეტ საათამდე, სანამ შიმშილსგან ლასლასს არ დაიწყებ და ძილი არ მოგერევა, სუფრაზე არ დაგსვამენ.

იოთამი, დაბალი, მსუქანი ჭაბუკი, ყველაფერზე ხითხითებდა, რაც არ უნდა გეთქვა. ჯონქას მეორე გვერდით კიტი დაჯდა. ციციწომ დაცინვით გადახედა ცეკვისაგან გაწითლებულ ნარდიშვილის ქალს, — კიტი ზურგზე შესაბნევს ისწორებდა და იღლიაში ოფლის განიერი ლაქა მოუჩანდა; სუფრის მეორე თავში, მანანას გვერდით, ვიღაც მოხუცი დასვეს, უთუოდ სათამაოდ განწირული.

— ვინ არის ის კაცი? — ჰკითხა ჯონქამ მანანას.

\*) გაგრძლება, იხ. „ჩვენი თაობა“ № 4.

— ჯიმშერ მხეიძე. საინტერესო ტიპია, სცენარისტობს, ფულს ღებულობს, მაგრამ სცენარებს არ უღდამენ; რაღაცას სთარგმნის, ჰონორარს აძლევენ, მაგრამ თარგმანს არ უბეჭდავენ; მგონი მაკლერობს კიდევ... — ციციანომ ღიმილით დაუკრა თავი მხეიძეს, მოხუცი მისკენ იყურებოდა, — სხვათაშორის, ძლიერ შესაქცევი მოსაუბრეა.

ერთმხარეს, საითაც ნინო და დავითი ისხდნენ, ჯონქამ შენიშნა რამდენიმე ხანშესული პროფესორი, უთუოდ დავითის მეგობრები, მათ შორის ერთი ორიოდვე მხატვარიც, სცენიდან წასული მსახიობი და ძველი თაობის ლიტერატორი. უმრავლესობას სუფრასზე ახალგაზრდები შეადგენდნენ. როგორც კი მიწყნარდა დასხდომისას ატეხილი ხმაური, მანანა სკამიდან წამოდგა, ბროლის მაღალფეხიანი ჭიქა აიღო და არც თუ ხმამაღლა, მაგრამ ყველას გასაგონად სთხოვა ჯიმშერა მხეიძეს თამაღობა გაეწია. ქალი რამდენიმე წუთს იდგა მაღლააწეული ჭიქით ხელში, თითქო უნდოდა ყველას შეენიშნა მისი საუცხოვო, რძისფერი მკლავი.

— რა კარგი კანი აქვს მანანას, — სთქვა ციციანომ, უთუოდ ისიც მის მკლავებს შესცქეროდა, — ჩვენი ქალები მზეზე დაწვას ცდილობენ, რადგან უმრავლესობას საძაგელი მოწითალო და ხორკლიანი კანი აქვს, — შეტრუსული ბატივით, ან ისეთი ფერის, თითქო ჭუჭყიანები იყვნენ.

— მე მეგონა ესეც მოდა იყო, — მზეზე გაშავება, — გამოტყდა ჯონქა.

— არა, მზე კანს აერთფეროვანებს, ნაკლ ძნელად შესამჩნევსა ხდის და მიტომაც ვტანება ყველა. ვითომ ჯანმრთელობისათვის მიემგზავრებიან ზღვის კურორტებზე, მაგრამ რამდენი ქალი დასთანხმებოდა სამუდამოდ დაავადებულ იყო, ოღონდ ასეთი სპეტაკი, თეთრი კანი ჰქონოდა, როგორიც მანანას აქვს.

— მე ბევრი ყირმიზი ქალი მინახავს, ციციანო, გაშავების მსურველი, რატომ?

— სახის სითეთრე სულ სხვაა, ჩემო კარგო, ვინც სახეზე თეთრი სჩანს, მას შეიძლება ტანი შეტრუსულ ქათამს მიუგავდეს. თბილისში მე სულ ათიოდე. ქალსაც არ ვიცნობ, ტანზედ რომ ასეთი თეთრი, უმწიკლო კანი ჰქონდეთ... ჯონქამ მალულად შეხედა ციციანოს შავგვრემან ყელს; ქალმა დაიჭირა მისი გამოხედვა.

— მე ბუნებრივად ასეთი ფერის კანი მაქვს, ჯონქა, — გაიღიმა ციციანომ და წვირილი, თეთრი კბილები გამოაჩინა, — ძალად გაშავებული არ გეგონო...

— არა, გეტყობა... — ჯონქას უნდოდა ეთქვა, რომ ციციანოსაც ლამაზი, ატლასივით კანი ჰქონდა, მაგრამ ვერ მოახერხა და გაჩუმდა. სანამ ისინი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, სტუმრებმა ერთხმად მიულოცეს თამაღობა ჯიმშერ მხეიძეს. ჯიმშერი ცხადია, უარს ამბობდა, ჭაბუკი აირჩიეთ ვინმე, იქ სულ ახალგაზრდობააო. მერე უეცრად ფეხზე წამოიჭრა, მკეტარე ხმით მოითხოვა ჭიქები აეგოთ და განაცხადა, რომ არც თვითონ არის მანაცადამანაც მოხუცი. ყველამ გაიცინა ზრდილობის გულისათვის.

— რუსებმა ჩვენგან გადაიღეს თამაღობანა, — უყვებოდა უცნობი ყმაწვილი წინასწარ ფაღიმებულ იოთამს, — მაგრამ ამდენ უნიქო თამადას, რამდენიც საქართველოშია, იქ ვერ ნახავ, თითონვე ერიდებიან ყოველ სადღეგრძელოზე სიტყვის თქმას, და თანაც რამდენიც უნდათ იმდენს სვამენ. ჩვენში თა-



შადრას პირველყოფლისა ბევრი ღვინის სმა უნდა შეეძლოს, დრდი, სტომაქი და ნათელი ჭკუა კი ერთად, ზომ იცო, იშვიანოთა...

იოთამმა ჩაიხიხითა და ჭიქა აივსო.

— ეს ჭაბუკი ვინ არის, ხიზირელის გვერდით? — ჰკითხა ჯონქამ ციცი-  
ნოს.

— თამაზ იათაძე, არქიტექტორია, ცნობილი ქირურგის შვილი. საიდუმ-  
ლოდ შემიძლია გითხრა, რომ გულგრილად არ უნდა იყოს განწყობილი მანა-  
ნასადმი.

ჯონქას სახე დაეძაბა და ცხვირსახოცს დაუწყოა ჯიბეში ძებნა; შემდეგ ფრთხილად შეათვალიერა თამაზ იათაძე. იგი მაღალი იყო, მხრებგანიერი, მაგრამ იმდენად ნატიფი ტანი ჰქონდა, რომ მანც სუსტის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ხშირი შავი თმები, ფართო შუბლიდან უკან გადავარცხნილი და მოლურჯო, ჭკვიანი თვალები კეთილშობლურ იერს აძლევდნენ.

— „ჩემისთანას შეიღს გაახუნებს“... — გაიფიქრა ჯონქამ, თან რატომ-  
ღაც შური არ უგრძენია მეტოქისადმი. თამადამ სადღეგრძელოები დაიწყო. ჯონქა მოელოდა რამე ორგინალურს იტყოდნენ; ზოგჯერ, პროვინციაში, ხალხური თქმულებებით, ზმანდაზებითა და ხუმრობით შემკული საუცხო-  
ვო სადღეგრძელოების მოსმენა შეიძლება. მაგრამ ჯიმშერმა ძალზე სერიოზუ-  
ლი ტონი აიღო და ღირსებების ჩამოთვლითა და კეთილი სურვილებით კმა-  
ყოფილდებოდა. მანანას სადღეგრძელოს როცა სვამდნენ, ჯონქა ჭიქით ხელში ელოდებოდა მის შემოხედვას; ქალი ყოველმხრივ უკრავდა თავს სტუმრებს, ხორნაულისკენ კი ერთხელაც კი არ მოუხედავს. ჯონქას მოეჩვენა, რომ იათა-  
ძეს მანანამ განსაკუთრებით გაუღიმა. ახალგაზრდებმა გაუბედავად იმღერეს პირველი, ფზიველი „მრავალკამიერ“. კარგი ზმები იყო, მაგრამ ერთი, კონ-  
სერვატორიის მოსწავლე, ცდილობდა თავი გამოეჩინა და ისე მაღლა იღებდა, რომ ბოლოს სოლო გამოუყვია.

— კარგი ბიჭი სჩანს ეგ თამაზი, — უთხრა ჯონქამ ციციანოს, — მანანაც უთუოდ თანაუგრძნობს, არა? — ხორნაული თეფშზე დაიხარა, რათა ციციანოს არაფერი ამოეკითხა მის სახეზე.

— არა, თამაზი ჭკვიანი და ლამაზი ახალგაზრდაა, მაგრამ მანანას ცხოვ-  
რებაზე თავისებური შეხედულება აქვს...

— მაინც?..

— მოკლედ თუ გინდა გითხრა — მანანა აროდეს გახდება ჩვეულებრივი მომაკვდავის შეუღლე, — ციციანომ ღიმილით გაიხედა მანანასკენ, — და მას სრული უფლება აქვს ასეთი არჩევანის. მე ჯერ არ შემხვედრია ბუნებით ასე ყოველმხრივ დაჯილდოვებული ქალი. ამას მხოლოდ ის მიხვდება, ვინც ჩემ-  
სავით ახლო გაიცნობს მანანას. ყველაზე უკეთესი მხარე მის ხასიათში — ეს არის მეტის, რაც შეიძლება მეტის მოთხოვნილება. მანანას შეუძლია ყველას გაუ-  
წიოს მეგობრობა, მაგრამ მისი მეგობარი, მისი ქმარი, მე ჯერ წარმოდგენილი არა მყავს. არც თითონ ეგულება ალბათ ვინმე ჩვენს საერთო ნაცნობებში...

ჯონქა კარგა ხანს ჩუმად ფიქრობდა ციციანოს ნათქვამზე, ყურადღება აღარ მიუქცევია სადღეგრძელოებისათვის და მაშინააღურად ზედიზედ სცილი-  
და ჭიქებს სხვებთან ერთად.

სუფრასზე თანდათან მატულობდა მხიარულება, რაც უფრო იკლებდა მრავალწახნაგოვან ბროლის სურბებში ჩასხმული წითელი ღვინის დონე.

— ჯონქა, შენ ამაღამ ჩემი კავალერი ხარ, — უთხრა ციციანომ მძივის სწორებით, მანანამ განსაკუთრებით ჩამაბარა შენი თავი, მომაწოდე რამე...

ჯონქას არ ესიამოვნა ეს ამბავი. მანანა უთუოდ მიხვდა, რომ ჯონქა უხერხულად გრძნობდა თავს — და რაკი თითონ არ ეცალა, ციციანოს მიანდო მისი მოშინაურობა. ციციანომაც ალბათ სიამოვნებით იკისრა გაეშალაშინებინა ფშაველი, ახლა მწვრთნელის როლს თამაშობდა და მიტომაც მოისვა გვერდით, თორემ ისე როგორ გაუშვებდა შემთხვევას — აქ მყოფ რომელიმე პრაფესორს ან ხელოვანს ფამოსაუბრებოდა. ჯონქამ შეურაცყოფილად იგრძნო თავი; გადასწყვიტა ზედაც აღარ შეეხებდა ციციანოსათვის და სულ ბაიყუშებით რომ არ მჯდარიყო, ისევ კიტის გამოლაპარაკებოდა. მან ყური მიუგდო კიტისა და მის მეზობლად მჯდარ რეზოს საუბარს.

— ჩემის აზრით, ქალისათვის მთავარია ფეხები — ამბობდა რეზო, — მანანას კარგი ფეხები აქვს.

— არა, გენაცვალე, ქალისათვის მთავარია ჩაცმა, — პასუხობდა კიტი, — მანანა კარგად იცვამს და მიტომაც მოსწონს ყველას. აბა, ცუდად შეეკერილი ფეხსაცმელები ჩააცვი თუ კარგი ფეხები გამოუჩნდეს...

— ესეც მართალია, ჩაცმა ბევრს ნიშნავს.

— მე, მაგალითად, — სთქვა კიტიმ, — ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა მომეწონოს ვაფი, რომელსაც ცუდად აცვია.

— თქვენ ამ სუფრაზე ვინ მოგწონთ?

— ვინც კარგია, ყველა მომწონს.

— ღმერთო ჩემო!..

— თქვენ ვინლა მოგწონთ? ვისაც კარგი ფეხები აქვს, არა? მამ ალბათ მე არ მოგწონვართ...

— პირიქით, თქვენ ძლიერ აპეტიტის მომგვრელი ფეხები გაქვთ...

— „ესეც შენი შთამომავლობითი ინტელიგენცია“... — გაიფიქრა ჯონქამ. ყველა ფეხზე წამოდგა — განმეორებით სვამდნენ ნინო ციხისელის სადღეგრძელოს. დიდი ყანწები მოიტანეს. გამოცლა ნებაყოფლობით იყო, მაგრამ ჯონქამ გადასწყვიტა დაეღია, — ცოტაოდენ სითამამეს შეჰმატებდა. ნინო ოდნავ თვალდაწვრილებული იყურებოდა, როგორც მხატვრებს სჩვევიათ, სახის ნაკვეთები ქანდაკებასავით გაეჭევაებინა და სტუმრებს ამაყად უხდიდა მადლობას. მის გვერდით დავითი ჭაღარა კოლეგასთან ჩურჩულებდა და ორივენი ხმადაბლა იცინოდნენ. თამადამ ერთი ყანწი აიღო, მაგრამ მეორეს ზელს არავინ ჰკიდებდა. მხეიძე შემფოთდა.

— ნუ თუ ქალბატონ ნინოს სადღეგრძელოს ჩემს მეტი არავინ დაღევს...

— მე დავლევ... — დაიძახა ჯონქამ და, რასაკვირველია, გაწითლდა. ყველამ მისკენ მიიხედა. სორნაული გულში ბედს იწყევლიდა, რა იცოდა თუ ასე მიიქცევდა ყურადღებას. ხარის ვეებერთელა რქა გადმოაწოდეს, ხარნიშონი ვერცხლით მძიმედ მოქედილი. ჯონქას შორიდან არ შეუნიშნავს თუ ამოდენა იყო, თორემ როგორ გაბედავდა მის დაღევას, — პირიდან ქამრამდე წვდებოდა.

— რატომ იკლავ, ძმაო, თავს, — ხმადაბლა უთხრა იათაქემ. ხიზორელმა ჩაიხიფხიოთა.

სანამ ყანწში ღვინოს ასხამდნენ, ჯონქა ყურებაქარხალებული იდგა ფეხზე და ფიქრობდა, თუ რას იტყოდა მის ქცევაზე მანანა. „ალბათ ჰგონია თავის

გამოჩენა მინდა, ან რაკი დედამისის სადღეგრძელოა, მიტომ ვიხრჩობ თავს სხვებს კიდევ ლოთი ვეგონები“... როგორც იქნა გაივსო ყანწი, თითქმის მთელი ბოთლი ჩავიდა. თამადას უკვე ტუჩთან ჰჭონდა სასმისი და ჯონქამ თავი დატკრა ნინოს; ქალმა ღიმილით უბასუხა, მაგრამ თან გაოცება ეტყობოდა; დავითმაც შესწყვიტა კოლეგასთან ჩურჩული.

ჯონქამ მოიყულა ყანწი, ცდილობდა საყელოზე არ გადმოედგარა ღვინო და მთლად არ შეერცხვინა თავი. სულ-მოუთქმელად აპირებდა გამოცლას; მაგრამ აღედგებულს ჰავრი არ ეყო და მესამედიც არ ქონდა დაღეული, რომ უნებურად ჩაისუნთქა გულისამრევი, ღვინიანი ყანწის სუნით. ტანში გააჟრჟოლა და იგრძნო გონება უბინდდებოდა.

ჯონქა ყანწს ჩაჰყურებდა სიღრმეში და ისე სვამდა. თანდათან მას დასავიწყდა სად იყო. ყანწი ბნელ გამოქვამულივით გადმოხურდა ზევიდან და ღვინის ნაკადი მდინარესავით მოდიოდა წინ. მთვრალ გონებაში მას მოეჩვენა თითქო იორშია შესული, პირი მიუშვერია და ჰყლაპავს ვეებერთელა მდინარეს, ჰყლაპავს და იგუდება; შორიდან მოჩიბიან საბანაოდ წამოსული ტიტლიკანა პატარა ბიჭები, მისი მეგობრები, მორბიან და დაკვირვებულნი გაჰკვივან:

— ჰეი, ჯონქა, რას შერები, ბიჭოოე!..

ხორონაული გამოერკვა, როცა გამოწურული ყანწი სახიდან მოიშორა და სინათლისგან თვალმოჭრილმა სტუმრებს გადახედა, ახალგაზრდებმა ტაში დაუქრეს.

— აბა, შენ ყოფილხარ... — დაუძახა რეზომ.

ჯონქა დაჯდა და იგრძნო, რომ სკამი წყნარად ქანაობდა, ოთახში ცხელი და საშინლად და სუფრის ხმაური სადღაც შორიდან ისმოდა. ყანწი ჩამოართვეს და ციციბომ წნილი მიაწოდა.

— „მთვრალი ვარ, — გაიფიქრა ჯონქამ, — ეს რა ვქენი“... და უეცრად კარგ გუნებაზე დადგა, მოეჩვენა რომ ყველა კეთილად უღიმოდა.

— ციციბო, შენ მე გაუთლელ ხეპრედა მთვლი, არა?.. —

ციცინო გულწრფელად გაოცდა:

— კარგი ერთი, ჯონქა, ნუთუ მართლა დათვერი?..

— არა, მაგრამ ღვინო უფრო მგრძნობიარესა ხდის ადამიანს. ზიხარ ჩემს გვერდით და მაკვირდები ახალი ინტელიგენციის წარმომადგენელს, რომელმაც არ იცის თავი როგორ დაიჭიროს საზოგადოებაში, არა?.. მაგრამ იცოდე, ამილახორის ქალო, რომ შენც ასეთივე დაკვირვების ობიექტი ხარ, — მე შენ თვალყურს გადავებ, როგორც უკანასკნელ წარმომადგენელს ჩვენი, გადაგვარებული, თავდაზნაურობისა...

ციცინოს სახეზე სიწითლემ გადაჰჭრა.

— გადაგვარებული... ეს სიტყვა, ინტიმურ საუბარში, მე შეურაცყოფად მიმაჩნია, ჯონქა...

— ჰო, მაგრამ, ეს ხომ ფაქტია, ქალავ, გადაგვარდით, გადაშენდით, ერთ ჰკვიან კაცს ველარ ნახავ თქვენი წრიდან...

— სცდები, შენ უნდა იცოდე, რომ პირველი ქართველი ინტელიგენცია თავდაზნაურობიდან წარმოიშვა. ჩვენი თერგდალეულები თავდაზნაურები იყვნენ. პირველად მათ აღმართეს ეროვნული გათავისუფლების და ეროვნული კულტურის აღორძინების დროშა. რუსეთის ინტელიგენცია „რანსოჩინცებით“ იწყება, ჩვენი — თავადი ჰავჭავაძეებით, წერეთლებით, ერისთავებით...

— ეს იმიტომ, რომ ჩვენს გლახს-საშუალება არა ჰქონდა სწავლა: განათ-  
ლება მიეღო...

— თქვენი ჭირიმეთ, აქ რა პოლიტიკური კამათი გამართეს; — ხმამაღლა  
გაიცინა კიტიმ, — ლენინომ მოგაგონათ პოლიტიკა? თქვენ.. ბოდიში, თქვენი  
სახელი?

— ჯონქა.

— ჯონქა? პირველად მესმის. სადაური სახელია?...

— ფშაური, მხოლოდ ფშავეში გაიგონებთ ამ სახელს...

— თქვენ ფშაველი ხართ, არა? ბარემ გვარიც მითხარიო..

— ზორნაული.

— ჰო, პირველად გვარი რომ გეთქვათ, მივხვდებოდი, რომ ფშაველი  
ხართ.

ჯონქა ისე მოუბრუნდა კიტის, რომ თითქმის ზურგი შეაქცია ციციანოს.

— ზორნაული არც თუ სულ, მთლად ფშაური გვარია. ჩვენი წინაპრები  
ხევსურები ყოფილან, მაგრამ დიდი ხნის წინ ფშავეში გადასახლებულან და  
ახლა უკვე წმინდა ფშაველები ვართ, ხევსურობისა არა გვცხია რა.

— განა ასე განსხვავდებიან ფშავე-ხევსურები ერთმანეთისაგან?

— როგორც იმერლები ქართლელებისგან განსხვავდებოდნენ ამ ასიოდ  
წლის წინ.

— არ ვიცოდი.

— „არც ახლა იცი, — გაიფიქრა ზორნაულმა, — არც ეხლა იცი რითი გან-  
სხვავდებოდნენ იმერლები ქართლელებისგან, ალბათ ჰგონია — „იმე ბოშოთი“...“

— მაინც რით განსხვავდებით? თქვენც ხომ ხანჯლები გკიდათ, არა?...

— ხანჯლები ბორჩალოელებსაც ჰკიდათ, — გაეცინა ჯონქას, — ზნე-  
ჩვეულებებით, კილოკავით, ტანსაცმელით. აი, მაგალითად, წაწლობით...

— წაწლობით? სტუმარს ქალს რომ დაუწვენთ ხოლმე?..

— მიქარვაა, სტუმარს ფშავე-ხევსურეთში მკბენარის მეტი არცინ შეუ-  
წვება. —

— თქვენ დამთვრალხართ, ძვირფასო...

— მაპატიეთ. წაწლობა სიყვარულია, ხვევნა-კოცნა, ოღონდ ხევსურის ქა-  
ლი სხვა ტომის კაცთან არ დაწვება, თანაც პლატონურობის რეციდივები აქვს  
ხევსურულ სწორფურობას. ფშაველები კი, ამ მხრივ, უფრო ფართო მსოფლმ-  
ხედველობის ხალხია...

— საინტერესოა...

— ძლიერ. მე შემიძლია გასწავლოთ წაწლობა. გინდათ გახდეთ ჩემი წა-  
წალი?

კიტიმ გარშემო მიმოიხედა, უნდოდა გაეგო ყურს ხომ არავინ უგდებდათ.

— ცოტა ჩუმაღ...

— მაშ გახდებით ჩემი წაწალი?

— გეყოფათ ხუმრობა.

— მე არ ვხუმრობ...

ვაჰმე, — ხინკალო, ხინკალო,

მერე მარწყვასთან წოლაო,

ხელფეხ არ დაყენებო,

გათენებამდე ბრძოლაო...

კიტომ თავი ჩაღუნა და გაიცინა. მაგიდის მეორე მხრიდან წამსვე ხითხითით გამოეხმაურა იოთამი, თუმც არ იცოდა რაზე იცინოდნენ.

— რა აუტანელია ეს იოთამი, — სთქვა შემეკრთალმა კიტომ, როცა დარწმუნდა — ხიზირელი უაზროდ იცინოდა.

— თქვენგან არ მოელოდი...

• — რას არ მოელოდით, ჯონქა?

— ასეთ სულთამზილველობას.

— ოჰ, ერთი სახეზე შეხედეთ...

ჯონქა დააკვირდა, — ჩასუქებული, ღვინისგან გაწითლებული სახე, წვრილი თვალები. კიტომ მაჯაზე დაიხედა.

— უკვე მესამე საათია. თქვენ სად ცხოვრობთ, ჯონქა?

— სტუდენტთა ქალაქში.

კიტომ სწრაფად შეხედა და ისევ საათს დააკვირდა. ჯონქამ შეამჩნია ეს გამოხედვა და კვლავ წელანდელი სიძულვილი იგრძნო ამ ცრუხუჭუჭა კიტისადმი.

— ერთი მითხარით, — უთხრა ჯონქამ, — ერთი მითხარით, — რატომაც ათვალისწუნებული თქვენ, ზოგიერთ თბილისელ „ქარგი ოჯახის შვილებს“ საერთო საცხოვრებლებში მობინადრე სტუდენტები?..

კიტო დაიბნა, ეტყობოდა სულ არ მოელოდა ასეთ შეკითხვას.

— არა, პირადად მე არა, მაგრამ... რა ვიცი...

— პირადად თქვენც, აი ახლა, მე დარწმუნებული ვარ — თქვენ ჩემზე შეხედულება შეგეცვალათ, როცა გაიგეთ სტუდენტთა ქალაქში ვცხოვრობ.

— არა, რას ამბობთ!..

ჯონქამ ხელი ჩაიქნია და მიბრუნდა, იგრძნო პასუხს ვერ მიიღებდა. მათ პირდაპირ გაბმით ხითხითებდა იოთამი.

— საოცარი ადამიანი ხარ, — ეუბნებოდა ხიზირელს თამაზ იათაძე, — რა მოთმინება გყოფნის იმ სისქე წიგნებს რომ კითხულობ! გუშინაც ლესინგის „ჰამბურგის დრამატურგია“ გეჭირა ხელში, ნუ თუ იმოდენა წიგნი თავიდან ბოლომდე წაიკითხე? ღმერთმა მშვიდობა მოგცეს...

— არა, ძმაო, უნდა გამოგიტყდე, — ხითხითებდა იოთამი, — უნდა გამოგიტყდე — მე მაქვს ერთი განსაზღვრული, საბედისწერო ციფრი, რომლის იქით ნახევარ სტრიქონსაც ვეღარ წავიკითხავ, საბედისწერო ციფრი — ოცდა მეთოთხმეტე გვერდამდე, იქით აღარ შემიძლია...

იათაძემ ხმამაღლა იგადიხარხარა. ჯონქასაც გაეცინა, თითონ იოთამი ხომ, თითქო სასულეში რამე გადასცდნოდეს — იბრჩებოდა სიცილისაგან.

— მაშ ოცდათხუთმეტ გვერდიან წიგნს ბოლომდე ვერ წაიკითხავ? — ხარხარებდა იათაძე.

— ვერა, ძმობას გეფიცები არ შემიძლია... რაც უნდა საინტერესო წიგნი იყოს — ოცდამეთოთხმეტე და — ბასტა! გინდ მოშკლა — არ შემიძლია..

— მერე და ეგრე აპირებ, ბიჭო, მეცნიერი გახდები?..

— ეგ არაფერი. მთავარია სისტემა, წიგნი კი არ უნდა წაიკითხო — უნდა ჩახედო შიგ...

— ჩახედო? ეს რას ნიშნავს...

— გადაშალო და ჩახედო...

— მერე და რა გამოვა?

— გამოვა, ფილოლოგიის დოქტორი გამოვა. მაშ, აბა, ყველაფერი რომ წაიკითხო სად წავა. იცი ჰიუგოს რამდენი ტომი აქვს დაწერილი? იცი ჰიუგოს თვითველ ტომზე რამდენი დასწერეს მარტო ფრანგმა კრიტიკოსებმა და მკვლევარებმა? ახლა სხვებმა! და იცი რამდენი ჰიუგოსთანა მწერალი ჰყავთ ფრანგებს? მარტო ფრანგებს!.. არა, ძმაო, ოცდაათობზეტი გვერდიც ბევრია...

— ყველა თქვენი ასპირანტი მაგ სისტემით მუშაობს, იოთამ?..

— შენ ნუ მეხუმრები—მე ყველას ვჯობივარ. სანამ ეგ „კოწიები“ რუსულსა და უცხო ენებს ისწავლიან, — მე იქნებ აკადემიკოსიც გავხდე და მერე იცინე ჩემს სისტემაზე.

— ეჰ, იოთამ, მგონი მართლაც შენი სისტემა სჯობს; ბევრი მუშაობითა და ძიებით მაინც არაფერი გამოდის.

— არქიტექტურა სულ სხვა რამ არის, თამაზ, ხელოვნება — ფანტაზია...

— მეც ეგრე ვფიქრობდი, ჩემო კარგო, მაგრამ შევცდი. რაკი შენ გულწრფელობა გამოიჩინე—მეც სამაგიერო უნდა გადაგიხადო და გამოგიტყდე, — თვეობით ვმუშაობ, ვეძებ, ვფიქრობ, ლამეები არ მძინავს, მგონია ახალი რაღაც შევექმენი; ააშენებენ და... სულ ერთი და იგივე, უფორმო, უბადრუკი კემენტის ყუთები... სამუდამოდ დავკარგე საკუთარ თავისადმი რწმენა...

ხიზირელმა ისე უაღვილოდ გაიცინა, რომ ჯონქამ უხერხულობა იგრძნო და თვალი აარიდა მოსაუბრეებს, მაგრამ თამაზი უთუოდ დიდხნის გულისტკივილს ამჟღავნებდა და შეზარხოშებულს ყურადღება არ მიუქცევია ხიზირელის უტაქტობისთვის.

— ვოცნებობდი ქართული სტილისა შემექმნა რამე, — განაგრძობდა იგი და ამღვრეული, ლურჯი თვალებით მისჩერებოდა ღვინის სურას, — არაფერი გამოდის. სხვები რომელიმე ძველი მონასტრის კედლებს ვადიღებენ, დაამუშავებენ და შემდეგ სასახლეების პროექტებს ადგენენ. იქნებ ესეც სჯობდეს...

— არა, თამაზ, — გააწყვეტინა იოთამმა, — ჩვენ რაღაც გვიშლის, პოტენცია გვაკლია, პოტენცია. მე პირადად ისე ვარ ამოწურული... შევეყრებ ამ გლეხის ბიჭებს, გუშინ რომ ჩამოსულან ტფილისში, — რა ძალა შესწევთ, რაცოდნის წყურვილი აქვთ... დღედაღამ კითხულობენ, ბიბლიოთეკებში იჩხრიკებიან...

— არ ვიცი, არ ვიცი. მე სხვებზე ნაკლებს არ ვმუშაობდი; იქნებ მე უნიკო ვარ. პროფესორები დარწმუნებულები იყვნენ, ჩვენგან დიდი არქიტექტორი დადგებოდა, ამხანაგებში ყველას ვჯობდი. ეს ყუთები, ფანჯრებიანი ქვის ყუთები... არა, მე მეყოფა, არაფერი გამოდის და ჯანდაბას. მე ის მაინც ვიცი, როგორ უნდა ცხოვრება, სხვებმა არც ის იციან...

— ჰოო, მეც მანდა ვარ, — ჩაიხიზნითა იოთამმა, — ვიცხოვროთ, გემოიანად ვიცხოვროთ და ბასტა...

მეგობრებმა ჭიქები მიაჯახეს. იათამე ისევ კარგ გუნებაზე დადგა. სულ რა უკვე ნამდვილად მხიარულობდა. მამაკაცებს სახეები წამოუწითლდათ დალეული ღვინისგან. ყოველი მხრიდან ისმოდა გაცხოველებული საუბარი, სიცილი და სიმღერა.

ჯონქა გარინდული იჯდა. ავი გრძნობდა, რომ თანდათან ერეოდა ღვინო. საყელო უჭერდა, მაგრამ ეშინოდა ყელსახვევისთვის ხელის მოკიდებისა. ციციონომ თამაზს გაუმართა საუბარი ვილაც ნაცნობ არქიტექტორზე. კიტის ისევ რეზო დაეუფლა. ჯონქამ მარტობა იგრძნო და მანანას დაუწყა ყურება. მა-

მანა თამაღის ნათქვამ ხუმრობაზე იცინოდა, მკერდი უთრთოდა ბოლისფერი კაბის ქვეშ. მწვანე, თაფლის წინწყლებიანი ფართო თვალებით ბავშვური სანდომიანობით იღიმებოდა, მაგრამ ტუჩების შეკავებული მოძრაობა და მუდამ ფიქრიანი შუბლი თავდაჯერებული, კვკიანი ქალის იერს აძლევდნენ. თვითუთოდ გრძნობდა, რომ ყველა ალტაცებით შესცქერის. მანანას დღეს ოცდაერთი წელი შეუსრულდა.

ჯონქას ყოველთვის აღიზიანებდა მანანას ეს თავდაჯერებული იერი, უპირატესობის გრძნობა. ოღონდაც, თავდაჯერებული იქნებო, მანანაო. ჯონქას მიაგონდა თავისი დღევანდელი ქცევა, ვეებერთელა ყანწით ხელში რომ იდგა ძველი ყარაჩოღელივით და ჩუმად, თავისთვის გაწითლდა.

ოჰ, ეს სიწითლე, კაცს ფიქრიც ვეღარ დაუფარავს. ან კი რა გასაკვირია, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ალაქლაქდება ხოლმე ოქროყანის ყაყაჩოებრ. ვანა ისიც მანანასავით პატარაობიდანვე ფრანგულს სწავლობდა და წინსაფარით დადიოდა აღმზრდელის თანხლებით. ასეთ საზოგადოებაში დღეს პირველად მოხვდა: მთელი თვე ემზადებოდა, შეეცადა გარეგნობისათვის მაინც მიეცა საჭირო ელფერი, მაგრამ არაფერმა უშველა; პირიქით, ეს ოხერი ბაშბის მხრები, ყელსახვევი და გაქერქეშებული საყულო მოძრაობას უშლიან. უთუოდ ეძინევა, რომ დღეს პირველად ჩაიცვა, პეწი აკლია, პეწი. ან სად უნდა მისჩვევოდა ამათ წესებს. მერვე ჯგუფამდე ფშავში სწავლობდა, ორი საათის სავალზე დადიოდა სკოლაში. მერე თელავში გადავიდა, იქ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და ისევ ფშავში დაბრუნდა, მიყრუებულ სოფელში მასწავლებლობდა ერთ წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში სულ რამდენიმეჯერ, ორიოდღე დღით თუ იყო ტფილისში. დამით გლეხთა სასახლეში ეძინა და დღისით, სანამ მუხლში ძალა გამოეღოდა, — დადიოდა ქუჩებში, წიგნებს ეძებდა, ვიტრინებს ათვალიერებდა და შენობებს შესცქეროდა. ჯერ დაუსწრებელ ინსტიტუტში ირიცხებოდა და შემდეგ უნივერსიტეტში შევიდა. იქ გაეცნო პირველად ამ წრის ხალხს და მხოლოდ დღეს მოხვდა მათ საზოგადოებაში. „შთამომავლობითი ინტელიგენცია.“ უთუოდ ზევიდან, დაცინვით დასცქერიან მათ შორის გარეულ ღამურას, ან როგორც ეს მეტიხარა ციცირო — დაკვირვებას ახდენდნენ „ახალი ინტელიგენციის წარმომადგენელზე“. რამ მოიყვანა აქ? მანანას სიყვარულმა? უთუოდ. მას არ ეგონა, თუ ასეთ ატმოსფეროში მოხვდებოდა. წიგნებში ამონაკითხით ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა არისტოკრატიულ სალონებზე და ბალებზე: მაგრამ ესენი ხომ არისტოკრატები არ იყვნენ. არც ბალზე მოსულა ჯონქა. ამხანაგის დაბადების დღეა, ის მოელოდა... ჯონქას ჩაეცინა, — ის მოელოდა უცნობი, სრულყოფილი ადამიანების კრებულს, ისეთი ადამიანებისას, როგორიც მანანას მოსწონდა. მოელოდა საინტერესო, ჭკუამახვილ საუბარს, ორიგინალურ აზრებს, ჯონქას მიიღებდნენ როგორც თანასწორს, ინტელიგენტური ტაქტით არ აგრძნობინებდნენ, რომ პირველად ხედავდნენ თავიანთ წრეში. და ისიც ჩუმად დაჯდებოდა და ხარბად მოუსმენდა, დააკვირდებოდა, დაიმახსოვრებდა, შეეცდებოდა თითონაც ამალღებულებიყო, გამხდარიყო მათსავით მოაზროვნე, კულტურული ადამიანი, ნამდვილი ინტელიგენტი. მისთვის არვის მიუყენებია აქ შეურაცყოფა; არავის უგრძნობებია, რომ ღამურა შენიშნეს; კიტი აუტყდა მხოლოდ, მაგრამ კოცნის ამბავი ხომ ხუმრობა იყო, ვთქვათ ხუმრობა იყო, ისე კი — ნარდიშვილის ქალს უფრო დაცინვით უყურებენ, — ვითომ ინტელიგენტი“. მას რატომ არის უკმაყოფი-

ლო? ისევ თავისთავს დააბრალოს ყველაფერი. რას გავდა იმ ყანწის გამოცლა... ქალიშვილების თხოვნით თამადამ რამდენიმე წუთით შესვენება გამოაცხადა და ნებადართო სტუმრებს მაგიდიდან ამდგარიყვნენ. სუფრა ხმაურით აიშალა. შექიფიანებული ახალგაზრდები სასტუმრო დარბაზში გავიდნენ საცეკვოდ.

ჯონქამ სასადილო ოთახის ერთ-ერთ კარში აივნის მოაჯირი შენიშნა. მას არ უნდოდა ახლა მანანასთან შეხვედრა, — სახე არეული ჰქონდა ღვინისგან. მძიმედ წამოდგა და აივნისაკენ გაემართა, გარეთ შუბლს მაინც გაიგრილებდა კაცი.

აივანზე მოხვედრა მხოლოდ სასადილოს მეზობელ პატარა ოთახში გავლით შეიძლებოდა. ეს ოთახი უთუოდ თამბაქოს მოსაწევად იყო განკუთვნილი, კუთხეებში წითელი ხის სავარძლები და მრგვალი მაგიდები იდგა. ჯონქამ აივანზე გასასვლელ კართან უეცრად კედლის დიდ სარკეში თვალი მოჰკრა თავის ანარეკლს და უნებურად შესდგა. ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი იგი პირველად ხედავდა თავისთავს ასე ნათლად, თავიდან ფეხებამდე. ხორნაული შიუახლოვდა სარკეს. მის წინ ლურჯ კოსტუმში ჩაცმული, მხარბეჭიანი, საშუალო ტანის ჭაბუკი იდგა. ჯონქამ თვალეში ჩახედა თავის ორეულს და მოულოდნელად ზმა-მძლავრად, გულთანად გაეცინა — სარკიდან იყურებოდა ხატობაში ყიპიტურით დამთვრალი მამამისის, ფშაველი მეცხვარე ლუკა ხორნაულის შეყინულღებული სახე. წვერულვაში სუფთად გაეპარსა და გაახალგაზრდავებულიყო. თაფლისფერი, არყისგან ოდნავ მობრუცვილი და გალაღებული თვალეებით ცბიერად შესცქეროდა ჯონქას. მოგრძო, კეხიანი ცხვირი, ვაჟაკური ფართო ნიკაპი და მაგარი, ოთხკუთხი შუბლი, რომელიღაც გარეულ ცხოველს ამსგავსებდნენ, იქნებ ფოცხვერს. გარქერქეშებული თეთრი საყელო სქელ კისერზე უჭერდა — ძარღვები ლურჯად დაჰბერვოდნენ. გაჭირვებით შესკვნილი ყელსახვევი გვერდზე მოქცევოდა.

• — ეს რა ჩაგიცვამს, ლუკაო?... — უსიტყვოდ შეეკითხა ჯონქა. ლუკამ დარცხვენით დაიხედა ორბორტიან, ცალი ღილით შესაბნევ პინჯაკის კალთებზე და ჟილეტიდან ამოჩაჩულ ყელსახვევს დაუწყაო სწორება. ხორნაულმა შენიშნა — ფშაველს მაჯა-განიერი, ფართო თათები ჩვეულებრივ არ ჰქონდა ცხვრის ქონით გაპოხილი და ფრჩხილჩაშავებული, ხელები გაათეთრებოდა ქალაქურად, მრგვალი ფრჩხილები გაეკრდისფერებოდა.

— ძაღლები დაგვლეჯენ, ცხვარი არ მიგიკარებს მაგ ეშმაკის საბმელით... — განაგრძო ჯონქამ.

ლუკამ გაისწორა ყელსახვევი და შვილს შეხედა.

— „იტლიგუნტობა“ მოგინდა?..

ორეულს თვალის სიღრმე შეეცვალა; ველური ცბიერების ნაცვლად ახლა გონივრად იყურებოდა ოდნავ შემკრთალი, თითქო გამოფხიზლებული. ჯონქამ უხმოდ წაიკითხა მისი წუხილი. ერთხელ რაკი წიგნს გემო გაუგო მთაში ველარ გაძლო. თელავში ცხოვრებამ და ტფილისის ნახვამ გადარია, ერთი ზამთარიც ძლივს გაატარა ფშავში, სულ წიგნებს დაეძებდა, ახალი გაზეთისთვის თიანეთს ჩადიოდა ორი დღის სავალზე, ღამით სიზმარში ხედავდა კინოს და ქალაქზე ბოდავდა, გული აქეთ მოუწევდა. ჩამოვიდა და აჰა, სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო...

დარბაზიდან როიალის ხმა მოისმა. ძველებურ ვალს უკრავდნენ,



ჯონქა მოსცილდა სარკეს და აივანზე გავიდა.

ციხისელის სახლი სოლოლაკში იდგა. აივანი გადასცქეროდა ქალაქის განაპირა, ნაკლებად განათებულ ქუჩებს. ზევით, ნარიყალას მარჯვენე მოსჩანდა კოჯრის შარა-გზა; ქალაქიდან მიღწეულ შუქზე ტყვიისფრად დაკლავილი. წყნარი ღამე იყო. ზურგს უკან, საღდაც, ჩუღურეთისაკენ გადახრილ მთვარეს ირიბად, მთაწმინდისაკენ გაეწვინა გრძელი ჩრდილები. თრიალეთის ნიავე ჰქროდა ზევით და თან გაზაფხულის სურნელება მოჰქონდა. მოაჯირზე დაყრდნობილ ჯონქას მოეჩვენა ნორჩი, სველი ბალახის სუნთქვაში მოეჩვენა ოდნავ შესამჩნევი, როგორ მწვანე ხალში ჩაქსოვილი ლურჯი ძაფი—ის ფშვინაც. საღამე, სოლოლაკის მთაზე, ასკილის ბურქის ძირას მიძალულა ალბათ ნამდაყრილი პატარა და ამ სიშორეს ისმის მისი პაწია მკერდის ღელვა. ზევით ასკილის გრძელი ეკლები დასცქერიან, ქარმა ტოტი თუ ძლიერ შეარხია — სულ დაუჩხვლეტს ქულაჯას. ვაი ქის, პატარავ..

ჯონქამ თვალი მილულა. დარბაზიდან შორეულივით ისმოდა ვალსის ხმები.

ტყუილია, თითქო გაზაფხულის ღამით ნამიან ბალახზე წოლა კაცსა ვნებდეს. პირიქით, ახალგაღვიძებული დედამიწა ახლა ძუძუს აწოვებს მცენარეს და არც კაცისათვის გაძუნწდება, ადამიანიც გაზრდილი, სიცოცხლის წვენით გაჟღერებული ადგება დილით და მთელი თავით მაღლიდან გადახედავს მიდამოს, როგორც დიდი ან ნაცარქათამა, ერთ ღამეში რომ გაყოყლოინდებიან ხოლმე. ახლა ნაბადი უნდა დააგო მწვანეზე, ერთი კალთა ხელში დაიჭირო და გადაგორდე; ისე გაეხვიო—ქინჭველაც ველარ შემოძვრეს. მერე გულაღმა გაწვე და უყურო ბნელეთში მოკიფე ვარსკვლავებს. თანაც გრძნობ, — ხენეშით როგორ მოცოცავენ ქვესკნელიდან ეს ტიალი ბალახები და მინდვრის ყვავილები. ამ სიძიმე კაცი ზევით აწევხარ და მაინც მოიწევენ თავებით, ერთმად შეუღებებიან ნაბადს და ნახევარ გოჯზე მაინც აგიტაცებენ მიწიდან.. ამ დროს ნიავე დაუბერავს, სამყურას, იონჯას და მჟაუნას მიწა დაყრილ, დანამულ თავებს რბევას დაუწყებს, შენც იმათ თავებზე წევხარ და აკვანივით დაგარწევენ ეს სატილოები. დაგარწევენ და დაგეძინება, მა რა მოგივა...

დარბაზში როიალი დადუმდა. ჯონქამ გაახილა თვალები. ოთახებიდან ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. ვილაკას ხმამაღლა სთხოვდნენ დაეკრა როიალზე. რა სჯობია ახლა მთაში ცისქვეშ წოლას...

სასადილო ოთახში სკამები ახმაურდნენ და ლაპარაკი მოახლოვდა, უთუოდ აივნისკენ მოდიოდნენ. ჯონქა უხალისოდ გაიმართა წელში. მარტო უნდოდა ყოფნა. იქნებ ჩუმად გაპარულიყო კიდეც — ღვინო მორეული ჰქონდა და აღარ ღირდა სუფრაზე დაბრუნება.

— აქ აჯობებს, ბატონებო, აივნიდან სუფთა ჰაერი შემოდის... — დავით ციხისელი ორ მასავით ხანშესულთ შემოუძღვა პატარა ოთახში. სტუმრები სავარძლებში ჩასხდნენ. დავითი აივნის კარებისკენ წამოვიდა. ჯონქამ სწრაფად გადიადგილა ჩრდილში. დავითმა გამოიხედა აივანზე, ვერავენ შენიშნა და ისევ უკან გაბრუნდა.

— რასაკვირველია, ჩვენი უნივერსიტეტი არა ჰგავს ოქსფორდისა ან კემბრიჯისას—მოისმა ოთახიდან, — შეუძლებელიც არის რომ ჰგავდეს, — ტფლისის უნივერსიტეტი სულ რაღაც ოცი წელია არსებობს. მაგრამ არც ისეა საქმე, დავით...

ჯონქამ ზმით იცნო მოლაპარაკე, — ეს სწორეთ ის ეგნატე ლაზიშვილი იყო, ისტორიის დოქტორი, რომლის ციტატებიც ციციანომ ზეპირად გადასცა წელან.

— კარგი ერთი გეთაყვა — მოისმა დავითის ხმა, — მე, განა მარტო ტრადიციებზე ვამბობ. ჩვენი უნივერსიტეტის მრავალფანჯრიან თეთრ შენობას რომ შევხედავ ხოლმე — ყოველთვის თავში გამიელვებს — უნიჭობის ინკუბატორი... — დავითმა ხველებით გაიცინა, — ასობითა სჩეკს ყოველწლიურად. არა, გეთაყვა, ჩვენი სტუდენტობა — ეს სულ სხვა რამ არის...

— დიად, სულ სხვა რამ... — გააწყვეტინა ლაზიშვილმა.

— ჰო, მაგრამ ძვირფასო კოლეგავ, ეს სულაც არ ლაპარაკობს მათ სასარგებლოდ... — დავითი კარის პირდაპირ იჯდა და ჯონქამ აივანზე დაწოლილი ჩრდილით შენიშნა, როგორ შეირხა ციხისელი საჭარძელში.

— პირიქით, — განაგრძო დავითმა, — ეს სტუდენტობა კი არა — გასაყეყეჩებელი კატეგორიაა, დალახვროს ეშმაკმა. მე თქვენ გეტყვით სულ უბრალო მაგალითს — ჩემს ლაბორატორიას საკუთარი ფენსადგილი აქვს, რალაც-ჯანდაბად და დოზანად, იქვე, გვერდით, ფენსადგილში დგას ჩვეულებრივი სავარძელი. შედის შიგ ეს ჩვენი განათლებული ხალხი, კულტურის მეჩირაღდნენი და ისე აფუჭებს იქაურობას — იატაკზე ფეხი არ დაიდგმება. თურმე იმის მაგივრად, რომ დასხდნენ ამ სავარძელზე — ზედ აფოფხდებიან ხოლმე...

— აჰ, რას იზამ... — გაიცინა მესამემ, რომლის სახეს ჯონქა ვერ ხედავდა, — ჩვენი ხალხი აზიურ ფენსადგილებს არის მიჩვეული, ჩამოჯდომა არ ეხერხება...

— ავუხსენით, ბატონო, — განაგრძო დავითმა, — დავწერეთ ვეებერთელა ასოებით ახსნა-განმარტება — როგორ უნდა მოიქცნენ, შენც არ მომიკვდე... ისეთი სუნი დგას, რომ ლაბორატორიაში გაჩერება აღარ შეიძლება.

— ასეთი არგუმენტი, დავით... — სთქვა ეგნატემ: — ნუ თუ სერიოზულად...

— სერიოზულად და ჩვენს შორის ითქვას, ჩემო ეგნატე, ეს ახალგაზრდობა დაბა-სოფლებიდან მოისწრაფვის არა ცოდნის წყურვილით, მეცნიერებისადმი ინტერესით, არამედ იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავროს და ამით უკეთესი თანამდებობა მიიღოს. სწავლა სარფიანი გახდა, სარფიანი და ამიტომ ეტანება სოფლის ხალხი. ისევე ოცნებობს ახლა გლეხი თავისი შვილი ექიმად გამოზარდოს, როგორც უწინ ოცნებობდა პირველი გილდიის ვაჭრად გახდომას; ეს იმიტომ, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი ახლა „ნასწავლ კაცსა“ აქვს. ასეთი სულსიკვეთების მქონე თარბისაგან შეუძლებელია მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას მოველოდეთ. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მათი უნივერსიტეტში ყოფნა ხალტურაა და არა სწავლა, სწავლა ისეთი მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვენ გვესმოდა სტუდენტობის დროს...

— შენ სცდები, დავით...

— არა, მე არ ვცდები, ამასვე ფიქრობს თვითეული თქვენგანი. უნიჭობის ინკუბატორი... ასეთი კარიერისტული სულსიკვეთების ახალგაზრდობისაგან რა უნდა გამოვიდეს...

— პირიქით, დავით, მეცნიერებასთან აროდეს მოსულა ასეთი შრომის მოყვარე უანგარო, ენტუზიაზმით აღსავსე ხალხი. ხომ დასწრებიხარ მისაღებ გამოცდებს, — ცილისწამება იქნებოდა იმ ბავშვებზე, — ნაწინავებიან გოგონებზე და პირველად გაპარსულ ბიჭებზე გვეფიქრა, რომ უნივერსიტეტში სარფიანი

კარიერისთვის შემოდინან. მივარდნილ სოფლებში, არც ერთ რუქაზე რომ არ არის აღნიშნული, ახალგაზრდები წლობით ოცნებობენ უნივერსიტეტში მოხვედრას. რამდენი ტალანტი ილუპებოდა უწინ ხელოვნურად შექმნილი ათასგვარი დაბორკოლებებით...

— ისე სჯობდა. მეცნიერებას მხოლოდ საუკეთესონი შერჩებოდნენ ხოლმე. ეს ბუნებრივი შერჩევის კანონია.

— დარვინი მაღლობას არ გეტყოდა მაგ პარადოქსისთვის. სწავლის ფული გახლდათ მთავარი დაბრკოლება. დიანო, ბუნებრივი შერჩევა!.. რამდენიმე ათას ახალგაზრდაში იქნებ ბევრი ურევია მაღალი ხელფასიანი თანამდებობის მაძიებელი, მაგრამ უმრავლესობას სწავლისკენ იზიდავს ადამიანობის სიამაყე, მათ სურთ სძლიონ უკანასკნელ უთანასწორობას — გონებრივ უთანასწორობას, მათ არ უნდათ ვინმეზე დაბლა იგრძნონ თავი. მე მყავს ერთი სტუდენტი — სირია...

„ჩვენი ჩაგუ“.. — გაიფიქრა ჩრდილში გარინდულმა ჯონქამ.

— პირველ კურსზე საჯანი ლამის მეგრულ ენაზე ჩამაბარა, ისე უჭირდა ქართული. მათ სოფელში თურმე მხოლოდ მასწავლებლები ლაპარაკობდნენ ქართულად და ისიც მარტო გაკვეთილის ახსნის დროს. ეს კაცი ფენომენია პირდაპირ, ყველაფრის შესწავლა სურს, დღედაღამ კითხულობს, არც ერთ საკითხს, ერთ სიტყვასაც არ დასტოვებს, თუ ძირამდე არ ჩაჰყვას, ნათლად არ გაიგოს. მე მეგონა გონებაგაუხსნელი ჭაბუკი ისტორიაში შორს ვერ წავიდოდა, მაგრამ ისეთი სტუდენტი მეორე არა მყავს.

ტფილისელი ინტელიგენციის შვილები კი, პატარაობიდანვე სამ ევროპულ ენას რომ სწავლობენ და წიგნის კარადებთან იზრდებიან, ისტორიას რომანებში ამონაკითხითა და ყურმოკრული ანეგდოტებით პასუხობენ სესიებზე...

— ეგნატე, თავი დავანებოთ გამონაკლისებს...

— არა, მე სწორედ ტიპურ შემთხვევებზე მოგახსენებთ.

— იცი რა, გეთაყვა, მოდი გულახდილათ ვილაპარაკოთ, — დავითის ჩრდილი მაჯლაჯუნასავით შეირხა აივნის იატაკზე, — ჩვენ გიმნაზიიდან ვიცნობთ ერთმანეთს, ეგნატე, და მე შენ გთვლი ძველი ქართველი ინტელიგენციის ერთერთ, შესანიშნავ წარმომადგენლად. ნუ თუ შენ გულწრფელად საბჭოთა პროფესორი ხარ?..

— მე მგონი ძველი ქართველი ინტელიგენციისათვის ეს პრობლემა უკვე დიდი ხანია გადაწყდა.

— გმ... შენ ვერ ხედავ ქართველ კულტურის უკეთეს პერსპექტივას?

— დავით, მე აღარ მეგონა, თუ სერიოზულ ადამიანებს კიდევ დარჩათ რაიმე ილუზიები. განსაკუთრებით აგვისტოს ავანტიურის შემდეგ.

— შენ გამოსთქვამ გულის ტკივილს, რომ...

— არავითარი გულისტკივილი, — ეგნატე სავარძლიდან წამოდგა, — მე აროდეს ვეკუთვნოდი რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან დაჯგუფებას. როგორც ისტორიკოსი პატიოსნად, მთელი სულით და გულით ვემსახურები ჩემს ხალხს, ვათავდა და მორჩა — იგი ცოტა ხნით შესდგა, თითქო თავს იკავებდა, რათა კიდევ არ ეთქვა რამე, შემდეგ სავარძლის წინ გაიარ-გამოიარა და დაუმატა:

— წავიდეთ, სანამ თამადა თითონ დაგვიძახებდეს, — და სხვებისათვის აღარ მოუცდია, აუჩქარებელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

დავით და უცნობი სტუმარი აივნის კართან მოვიდნენ. დავითს ანთებული პაპიროსი უყვიაფებდა ხელში.

— საბოლოოდ გადაიბირეს — სთქვა მან, — მგონი თანამგრძობთა ჯგუფშიც აპირებს ჩაწერას.

დავითმა პაპიროსი გადისროლა ქუჩაში.

— არა უშავს — განაგრძო მან, — რაც უნდა იყოს ძველი ინტელიგენტია, თავისებური წარმოდგენისაა პატიოსნებაზე, და გარდა ამისა ვერც მოიფიქრებს თუ... — დავითმა ჩაახველა. ჯონქას მოესმა, თითქო უცნობმა გაიცინა. შემდეგ ვერ გაარჩია რამდენიმე სიტყვა, ხმადაბლა ნათქვამი. ისევ დავითი ალაპარაკდა:

— საერთოდ რაიმე იდეურობაზე მსჯელობა თავის მოტყუებაა. ლაზიშვილს კი სტუდენტობაში ძლიერ დიდი ავტორიტეტი აქვს და მე ეს მაინტერესებდა.

სასადილო ოთახიდან სკამების ხმაური და ჭურჭლის წკრიალი მოისმა, სუფრაზე სხდებოდნენ.

— წავიდეთ — სთქვა დავითმა.

ჯონქა მოაჯირზე დაყრდნობილი იდგა და ღრმად ისუნთქავდა თრიალეთის ნიავეთ მოტანილ გაზაფხულის სურნელებას. იგი ატყობდა, რომ ღვინო კრძევ უფრო მეტად მოეკიდა სხეულს, მაგრამ სულიერად დადინჯდა და გონება თითქო გაუნათლდა, გამოფხიზლდა. წელან, აივანზე რომ გამოვიდა, დარცხვენილი იყო, დამცირებულად გრძნობდა თავს დღევანდელ თავგადასავალით, ახლა, ამ უნებურად მოსმენილ საუბრის შემდეგ კი უცრად რალაც სერიოზულობა შეემატა, თითქო პასუხისმგებლობა დააკისრეს. მან ახლა დანამდვილებით იცოდა რა აზრისა იყო ეს ხალხი მის წრეზე, ამხანაგებზე და პირადად მასზედაც. ჯონქა ამ სახლში ფარული მოწიწებით მოვიდა, შემდეგ აივანზე გამოიქცა თავისი უხერხული ქცევით შეწუხებული. მაგრამ ახლა, როცა სასადილოდან სტუმრების ლაპარაკი და დანა-ჩანგლის ჩხარუნი ისმოდა, იგი სულ სხვა განწყობით უგდებდა ყურს. თავიდანვე უცხოდ გრძნობდა თავს ციხისელების ოჯახში და ამ გრძნობას კიდევ ახალი რამ დამატა. თურმე გარკვეული საზომი არსებობს ციხისელებისას ჯონქასთან. ასალგაზრდებისთვის. დავითის სიტყვებმა დაასრულა და ნათლად ჩამოაყალიბა ის, რასაც ჯონქა აქამდეც მიხვედრილი იყო, მაგრამ ბუნდოვნად. მაშ სარფიან ადგილის ძიბნაში გავავსეთ ტფილისი. მაშ ფეხსადგილებსაც კი გიფუჭებთ, ბატონო პროფესორო. და ეს მარტო დავით ციხისელის აზრი კი არ იყო უთუოდ.

ჯონქა მოაჯირს მოსცილდა, მაგრამ ღია კარებიდან გამოსულ სინათლის ზოლში ვერ გაბედა შემოსულიყო და გუნებაში ჩაეცინა. პირდაპირ თუ გავიდოდა სასადილოში — დავითი უთუოდ ექვს აიღებდა, რომ მათს საუბარს მოუსმინეს. და თან აღარც უნდოდა ჯონქას სუფრაზე დაბრუნებულყო, წელანაც გაპარვას ფიქრობდა. მანანა? მანანას დღეს მისთვის არ ეცალა. იქნებ იათაძეს უზის ახლა გვერდით, ან შიბზიკა ართობს.

აივანზე მეორე კარიც გამოდიოდა. ჯონქა იქითკენ გაემართა და რომელიღაც ბნელ ოთახში მოხვდა. ფეხაკრევით, ხელისფათურით მიაგნო ოთახიდან გასასვლელს და თავისუფლად ამოისუნთქა, — ტალანში გასულიყო. ხორნალულმა სტუდენტების ძვირფას პალტოებში ძლიერ მოსძებნა თავისი შეფერთ-

ზილი, ლილებაგლეჯილი პალტო და ტალანიდან გავიდა. კიბეებზე ჩამავალს კიდევ ესმოდა სტუმრების ხმაური, — ჯიმშერის მოჩივ, უკბილო ხუმრობაზე იცინოდნენ.

ჯონქა ნელი ნაბიჯით გაჰყვა დაცარიელებულ ქუჩას. განთიადის წინა-უბამი იყო. ელნათურები გაყინულ მდინარესავით ალაპლაპებდნენ ტყვიისფერ ასფალტს. დარაბადანხშულ შენობებს ეძინათ. სიჩუმეში შორს ისმოდა ფილაქანზე ფეხის ხმაური. აივნიდან თბილ ტალანში მოხვედრამ და მერე ისევ გარედ გამოსვლამ კუდად იმოქმედა ლეინონასევამზე. განთიადის სიცივემ დაუარა ტანში და შეაყრუოლა. ჯონქამ იგრძნო, რომ კიდევ უფრო მოეკიდა ლეინო.

უეცრად, სიჩუმეში ტკრციალი მოისმა, თითქო ასფალტზე შოლტს ატკაცუნებდნენ, თანაც სტვენა. ჯონქა შესდგა და ყური მიუგდო. უთუოდ ცხვარს მიერეკებოდნენ თრიალეთისაკენ. ხორნაულს მოეჩვენა ყრუ შრიალი, ცხვრის ფარის ფეხის ხმის მსგავსი და ქონიანი მატყლის ნაცნობი მსუყე სუნიც იგრძნო. მას გულმა გაუწია ცხვრისკენ. იქნებ ფშავლები იყვნენ, ნაცნობი მეცხვარეები. ხორნაული მობრუნდა და იმ ქუჩისკენ გაუხვია, საიდანაც სტვენა და შოლტის ხმა შემოესმა. იჩველივ ძაღლიც არ ჭაჭანებდა. ჯონქა მაინც გაჰყვა ფილაქანებს, დავითაშვილის ქუჩის ბოლომდე, შუაქუჩაზე გადავიდა და ისევ გაჰხედა კოჯრის გზას. ტყვიისფრად დაკლაკნილ შარაზე ელნათურები ციმციმებდნენ მხოლოდ.

ჯონქა გამობრუნდა უკან წამოსასვლელად და ცოტა დააკლდა თვლებში არ ჩაუვარდა სწორედ ამდროს მოსახვევიდან გამოსულ ავტომანქანას. მამუქებმა თვალისმომჭრელად შეანათეს, ავტომ ერთი დაიხვლა და შესდგა.

ჯონქა მოელოდა, რომ შოფერი ლაზათიანად შეუკურთხებდა ჩვეულები-ჩამებრ, მაგრამ მოულოდნელად მანქანიდან ნაცნობი ხმა გაისმა:

— ლამის გაგიტანე, ბიჭო, რა შუაქუჩაზე დამდგარხარ ხირხალივით...

ხორნაულმა თვალეები ხელით დაიჩრდილა, მაგრამ მამუქების სინათლეში მდგარმა ვერ გააჩნია მოლაპარაკის სახე და საჭესთან მივიდა.

— რას აკეთებ აქ, ფშაველო, უთენია რომ გამოსულხარ? — საჭესთან შავი ტყავის პალტოში და ტყავისავე სამხედრო ქუდში ჩაცმული კაცი იჯდა.

— ოჰ, ძია ალფეზს გაუმარჯოს, — მისალმა ჯონქმა, — ბოდიში, ვეღარ ვიცანი. საქეიფოდ ვიყავი, ძია ალფეზ.

— იქეიფეთ შეილოსან, ქვეყანა თქვანია. ახლა სად მიდიხარ, შინისაკენ?

— დიად, შინისაკენ...

— ვაჟეში უნდა გახვიდე?..

— მაშ.

— ფეხით, არა? ვაი მაგისთანა ქეიფს, ძმაო, სოლოლაკიდან ვაკეში გასვლა ამ დილაადრიან...

— რას იზამ, იქნებ ტრამვაი შემხვდეს რაიმე.

— დაჯექ სანადიროდ წაგიყვანო, არ გინდა?.. — ჯონქამ მხოლოდ ახლა შენიშნა — მანქანის სიღრმეში ირლანდიურ სეტერს ამოეყო თავი და ჭკვიანური თვალეებით იყურებოდა.

— სანადიროდ? რატომაც არა, მაგრამ თოფი რომ არა მაქვს?..

— არა უშავს, რიგრიგობით ვესროლოთ, დაჯექ.

მანქანა მოუთმენლათ თუხთუხებდა. ჯონქამ შემოაუბრინა ავტოს, კარი გააღო და უკანა სკამზე, თავისუფალ ადგილას ჩაჯდა. ფეხებთან გაწოლილმა

მეორე ძაღლმა ძველი ნაცნობივით დაუდო თავი მუხლებზე. მანქანა დაიძრა.

— საით, ძია ალფეზ? — შეეკითხა ჯონქა.

— კიკეთისკენ, ტყის ქათმები დაეხოცოთ.

ალფეზის გვერდით, საჭესთან უცნობი იჯდა; ჯონქას მეზობლად საყელოში ცხვირდამალული სთვლემდა შავგვრემანი შოფერი. ძაღლები წყნარად იწვნენ, ეტყობოდათ მიჩვეულები იყვნენ ავტოთი მოგზაურობას; სიბნელეში მწვანედ უკიაფებდათ თვალები.

— სად იქეიფე, ბიჭო? — ნახევრად მოუბრუნდა ალფეზი და ისევ გზას გახედა.

— ამხანაგის დაბადების დღე იყო. დავით ციხისელის ქალია, პროფესორისა, გაგონილი გექნება.

— მანანა? — ალფეზმა ცალი ხელი გაუშვა საჭეს და ისევ მოუბრუნდა უკან მჯდომ ხორნაულს, — ვიცნობ, საუცხოვო ქალია...

ჯონქას ესიამოგნა მანანას შექება. მან მეგობრულად შეხედა ალფეზის გაპარსულ კისერსა და ტყავის ქუდს, თითქო ამ კაცზე გადმოიტანა მანანას სიყვარული.

ხორნაული ბავშვობიდანვე იცნობდა ალფეზ ჩიქოვანს, იგი ერთდროს რაიკომის მდივნად მუშაობდა ერწო-თიანეთში და ლუკასთან ხშირად ამოდიოდა ხოლმე სანადიროდ. ახლა სახალხო კომისარი იყო.

— კარგი ამხანაგები გყოლია, — უკანასკნელად მოუხედა ალფეზმა და საჭეს დაუბრუნდა. ბოტანიკურ ბაღს გასცდნენ. სიცივე შესამჩნევი გახდა. ჯონქამ ხელები სახელოებში დამალა და კუთხეში გაყუჩდა. ყელსახვევი ისევ უჭერდა. უნდოდა მოეხსნა, მაგრამ შეეზარა სიცივეში ზელის ამოღება. შემდეგ მოაგონდა თამბაქოს მოსაწევ ოთახში მოსმენილი საუბარი და იგონო, რომ ის ამბავიც აწუხებდა ყელსახვევივით. დავითი ხომ მამა იყო მანანასი...

მოსახვევში, ქვევით, გამოჩნდა ტფილისის სინათლეები. სიბნელეში მწკრივად ციმციმებდნენ ელნათურები; თითქო ცა იყო ქვევით დიდრონი, კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილი.

ტფილისი ისევ მიიშალა გორაკებს იქით. ავტოს მამუქები ვიწრო ზოლებად სჭრიდნენ სიბნელეს და წამით აჩენდნენ გზისპირა შავ ხნულებს, კრელ, საკილომეტრო ბოძებს და ძეძვნარით მოფენილ ფერდობებს. მანქანა უხმოდ მისრიალებდა.

პირველი ყელსახვევი! ის ამბავიც ყელსახვევივით გაენასკვა დღეს. რბილი რესორები წყნარად არხეცდნენ მგზავრებს. ჯონქამ ჩასთვლიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## მგოსნის სიკვდილი\*)

### IV

მოკვენესის თავქვე მდინარე,  
თან მოკვენესიან ტყეები,  
თავდალუნულნი დამსხდარან  
შისი მობანე კლდეები,  
ზამთარში ყინვით პირქუშნი,  
ზაფხულში — მწვანე ხეებით...  
მთაში ცელის ხმა წკრიაღებს,  
ბარადა ელავს ნამგალი,  
ათეულები ხორკლად დგას  
მინდვრებში გლეხის ნამკალი.  
სიცხეში მოსჩანს მინდორზე  
ტოტებგაშლილი კაკალი,  
გლეხების გასაგრილებლად  
შის ფოთლებს გააქვთ კანკალი,  
ამ კაკლის ჩრდილში გლეხები  
ნამგალს ლესავენ, მღერიან.  
ერთი ვიღაცა სხვა არის,  
წინათ მათში არ ერია,  
არც სადმე მუშად უნახავთ,  
არცა ნამგალი სჭერია  
და ვერ უცვნიათ აქამდე,  
მოყვარეა თუ მტერია.  
მოურავია მგოსნისა,  
მურმანა ჰქვიათ სახელად,  
იქ არის, თავმდაბლობისა  
მათდამი გამომსახველად.  
ჩაუცვამს წინდა-პაჭიჭი,  
გლენთან მისულა გლენხად  
ვითომდა თავის ნაშრომი  
პურისა გასატეხადა.  
ნამდვილად კია დაძებს  
ამქარს ეშმაკის ფეხადა,

შავი მტრის სასიხარულოდ,  
იბერიელთა მეხადა...  
დაუშევობრდა გიგეას  
ჯეილს, ცხოვრების მკრეხელსა,  
ერთ მშრალი ლუკმა პურისთვის  
დღისა და ღამის მტეხელსა...  
— გიგეავ — ეტყვის მურმანა —  
რად აგრე მოგიწყენია,  
თუ დღევანდელი არ გვწყალობს,  
ძმავ, მომავალი ჩვენია:  
წავართმევთ მდიდრებს ქონებას,  
ჩვენით რომ შეუძენიათ...  
გულს ნუ გაიტებს, ჯეელო,  
დარდი ნუ გაგიჩენია. —  
— მართლა? წავართმევთ? — სთქვა  
გიგიმ —  
ეგ აზრი მოსაწონია.  
წართმეულს, ძმაო, საწყალი  
მოვიხმარებდი მგონია:  
ცოლს შევირთამდი, დავლევდი;  
ქუდს შევისროდი ზევეთა,  
მხრებიც არ მეტკიებოდა  
ცელის და ნამგლის ქნევეთა.  
დღეს კი დანიშნულს, საცოლე  
ვერ მომყავს სახლში ჩემთანა,  
თუ დავახანე, ისიცა  
დამაგდებს, წავა სხვებთანა.  
ეს არის ჩემი ცხოვრება!  
სიღარიბე და სირცხვილი!  
ხან ცრემლი ამივარდება,  
ხან ცრემლნარგვი სიცილი...  
— შენ მართალი ხარ, გიგეავ,  
მაგრამ მე ვიცი წამალი.

\*) დასასრული. „ჩენი თაობა“ № 4.

თუ დამიჯერებ, იყივლებს  
შენი ბედისა მამალიც:  
ზომ იცი, სოციალისტებს  
მოაქვთ ცხოვრება ახალი —  
ჩვენ უნდა მდიდრებს წავართვათ  
კარგი ცხოვრების ხაზალი.

— როგორ?

— დამიგდე შენ ყური...  
ჰხედავ ამ მიწოდორ-ველებსა,  
გლეხისა შრომით ნაშენებს,  
გლეხისა ოფლით სველებსა?  
მგოსნისა არის... ეს სახლიც  
პატარძალივით შემკული,  
მაგრამ არ ჰყოფნის... ცხოვრება  
ჰსურს უფრო დიდი — მეფური...  
— დახე!..

— საბჭოში მეფისთვის  
მას სიტყვაც უთქვამს ნაბული:  
დაგვიბრუნდესო თავადებს  
ბატონ-ყმობა და მამული...

— ბატონ-ყმობაო? რას ამბობ?  
ვინ მოუწონებს მაგასა?  
ვერს, ველარვინ ამოგვდებს  
ჩვენ ბატონ-ყმობის ლაგამსა!.. —  
მურმანა თანთან უმატებს,  
გამომეტყველი ბნელსავით,  
ყბებს გვერდზე იქცევს ყბედობით  
კბილისა კბილზე მღესავი,  
რომ მოაცალოს ტანჯულ ხალხს  
ერთი სიკეთის მთესავი.  
ალარა ჰზოგავს გლეხებში  
სიტყვებს ბოროტს და შხამიანს:  
იტყვის: პურსა სჭამს მგოსანი  
გლეხის სისხლითო ნამიანს.

— უჰ, მართლა, კაცო?

— ჰო, მაშა!

მდიდარი ყველა ავია,  
მებატონე და თავადი  
სუყველა მოსაკლაფია;  
მგოსანიც, თქვენთვის მწერალი,  
საქმით ხელმწიფის თავია...  
სადაც კი შეგზედეს ამგვარი  
მოკალ, სიცოცხლე წართვი,  
შევიწოდებს შურისძიება —  
მდიდართ დაღუპვის საათი. —

მეორე დილას გიგია  
სხვა გუნებაზე წამოდგა,  
რალაცა ჰსურდა, სურვილი  
ამოუთქმელი გამოდგა...  
და მეზობლისას გავიდა  
თოხისა სათხოვნელადა,  
თადეს კი ეჩქარებოდა  
სამინდისაკენ ველადა,  
შვილს უთხრა: მომეშველეო  
ბერიკაცს სათოხნელადა...  
და გაეყარნენ ერთმანეთს  
სამინდში შესაყრელადა.

თოხს იქნევს თადე მთელი დღე,  
თავს ნაბუარი გადასდის,  
დღე მიიწურა, შვილი კი  
არსად გამოჩნდა აქამდის.  
დალამდა. თადემ, მოღლილმა  
თოხი გაიღო მხარზედა,  
შინ წასასვლელად გავიდა  
ბინდისას შარა გზაზედა...

უგვანო შვილზე დარდები  
ბნელად წვებოდა ქვეყნადა  
და გაისმოდა ტყეებში  
ზუსთავილად და ზეფუნადა...  
ამ დროს ვილაცამ ტყის პირით  
გადმოაწოდა ბერდანი.  
გულში ეცემა მოხუცსა,  
სიტყვები, როგორც ელდანი:  
„ვინა ხარ? დადექ, თორემა  
გადავაცლაპებ ტყეიასა“,  
თანდილა პირსა დააღებს,  
ველარ დაჰკუჭავს ღიასა.  
უნდა რამ უთხრას და ენა  
მას ველარ მოუქნევია.  
ვერც გაქცეულა, მოღლილსა  
კუდი ვერ აუწევია.  
ყაჩაღიც გადმოიჭრება  
მოღერებულის თოფითა  
და, შეუყვირებს საცოდავს  
რისხვით, მუქარით, კოხვითა:  
„მოიტა რაც გაქვს ჯიბეში,  
გაიდრე რაც რამ გაცვია!“  
და ხმით ეცნობა თანდილას



თვის გამოზრდილი ბაჭია:  
 — ბიჭო, შენა ხარ გოგია?  
 რა გინდა ჩემი ჯიბიდან? —  
 ელდანაკრავი გოგია  
 პირს მიიბრუნებს იქითა  
 და ფეხს გადასდგამს ტყისაკენ,  
 პირშავი, გასაქცევადა,  
 მაგრამ თანდილა სწვდება მას,  
 გადაქცეული წყევალა:  
 — ბიჭო, ყაჩაღად გაჰსულხნარ  
 და აღარ ინდობ მშობელსა,  
 დღედაღამ შენთვის მზრუნავსა,  
 შენი სიკეთის მდომელსა?!  
 — დაიცა, მამი, ნუ ჯავრობ.  
 ბნელაში შენ ვერ გიცანი...  
 — შე ვერ მიცანი... გინდოდა  
 ოფლი და შრომა სხვისანი?!  
 — მაშ რა ვქნა მამი, დანიშნულს  
 რა მივეტანო, საიდან,  
 თუ კი არ დავუმოყვრდები  
 ზედსა ყაჩაღურს, შაითანს?  
 — ფუჰ შენს კაცობას, შენს უღვაშს,  
 შენსა მარჯვენას ზარმაცსა!  
 შე შენ სიმინდში გელოდი,  
 ჯეილს მთოხნელად მამაცსა,  
 შენ კი შარაზე ხალხს სძარცვავ  
 მამისა შესარცხვენადა?! —  
 უთხრა და ზელი უტაცა  
 იარაღს ასაყრელადა.  
 ჰსურს გამოჰგლიჯოს ხელიდან,  
 გადაქცეულმა ცოფადა,  
 რომ იქვე გაანადოძოს,  
 ვით საბუღარი ცოდვათა.  
 მაგრამ გოგია გულმშვიდი,  
 მკლავმაგარი და უდრეკი,  
 სდგას როგორც კეტი, გოდოლი,  
 ბილწი, მუდრეგთა მუდრეგი  
 და, როს დაატყობს მოხუცი,  
 წასართმევია ძნელადა,  
 ხელს უშვებს თოფსა და  
ლანძღვით
 მუშტს ასწევს დასარტყმელადა.  
 ამდროს გოგია შეუპყრობს  
 ორივე ხელს ერთი ხელითა,

ბრაზი აავსებს მოხუცსა,  
 დასწვამს სირცხვილით ცხელითა  
 და, ფიცხი, როგორც სიმწარის  
 კონზე სობრაზის ნაკვესი,  
 სხვას რომ ვერაფერს ვერ იზამს,  
 შვილს შეაფურთხებს სახეში:  
 ფუჰ, შენს შვილობას! შენს სვინდიას  
 შენს ყოფნას წუთისოფლადა.  
 შენი იმედის პატრონი  
 ვრჩები მარტოდ და ობლადა.  
 და თავის თავთან ჯავრობით  
 კვლავ გაუდგება შარასა.  
 მიდის და მიიწყევლება,  
 იძახის არა, არასა.

მთიდან ჩაცურდნენ მინდვრებში  
 თხილები ყრუ და ბნელები,  
 ჩაბუდდნენ თადეს გულშიაც  
 ფიქრები, როგორც გველები.  
 შიგ სისინებენ, წივიან,  
 იხლანებნიან ცივად,  
 თვალზე კი შხამი ასხია  
 ცხარე ცრემლების მძივად.  
 რა ქნას? არ იცის მოხუცმა.  
 რით დაიამოს ტკივილი?  
 ამ დროს მოესმის გულიდან  
 ერთ-ერთი ფიქრის კივილი:  
 „ცოლი შეჰრთე და გაუვლის  
 აენი ღელვანი შვილსაო,  
 ის დაადულებს, დაადგენს  
 აზრსა სასურველს, ტკბილსაო“..  
 მაგრამ მეორე იძახის:  
 „ვაჰ თუ გაცუდდეს ეგეცო,  
 ცოდვად დაიხსნა ორივე,  
 პატარძალიც და ნეფეცო“.  
 ისევ პირველი ეძახის:  
 „ბევრს ნულარ ჰვეიქრობ თადეო,  
 ცდა ბედის მონახევრეა,  
 ეგ საცდელიცა სცადეო“.  
 და გადასწყვიტა თანდილამ:  
 გაუძლოს ხარჯთა ქარ-ბუქსა  
 და საქორწილო გვირგვინი  
 დაადგას თავის ჭაბუქსა.

## VI

ტყემ მოიწყინა ზაფხული,  
 დაცარიელდნენ მინდვრები,  
 სარჩო მიზიდეს გლეხებმა,  
 ნამჯებილა ჩანს ყვითლები;  
 შინ კი ზეხილს ჰზნეჟს ნაყოფი,  
 როგორც მეცნიერს ფიქრები.  
 ვაზებს ჩაჰკვრია მტევანი,  
 ვით ძუძუთა ყრმა — დედასა;  
 ზოგი კი მოსაშორებლად  
 ჩამოკიდულა ქვედასა:  
 გაახალისებს, ამებს  
 ამ სანახავის მხედავსა  
 და შეაყვარებს სიცოცხლეს  
 ქვისა და რკინის მკვენტავსა...  
 მთა და მინდორი, ლურჯი ცა,  
 უსაზღვრობაში გაწვდილი,  
 პირმოწმენდილა ლამაზად,  
 ვით საქორწილო ყმაწვილი.  
 არც გულში უჩანს ბოროტი,  
 ვით მოზიარეს ნაწილი  
 და საიდანღა გაჩნდება  
 ამის შემცვლელი ნატილი?  
 მაგრამა დიდსა სიმშვიდეს  
 შფოთიცა დიდი სკოდნია.  
 ფერუთვალავი ბუნება  
 ხან ქუში, ხანაც მოთნეა.  
 და შეიცვალა ამინდი,  
 წელან მშვიდი და ნარნარი,  
 ღრუბელს გაება ღრუბელი,  
 როგორც მტრის ლაშქარს ლაშქარ.  
 ატყდა ქექა და ქუხილი,  
 დამანგრეველი, მაგარი  
 და ზეცის უწყვეტ გუგუნზე  
 მიწას გაჰქონდა ზანზარი...  
 ხუთ წუთს იგრგვინა და ელვამ  
 ხუთ წუთსა გრიხა რკალები,  
 ხუთ წუთსა დვარა ქვის ცრემლიც  
 ცამ მეხთამკვესი თვალებით  
 და გლეხის წლისა ნაშრომი,  
 მარტოობით თუ ნადურად;  
 ხუთ წუთში მოსპო სრულიად,  
 ხუთ წუთში გაანადგურა...

სეტყვა რომ ჰსეტყვავს, მურმანაც

3. „ჩვენი თაობა, № 5.

თავის ბნელ საქმეს აკეთებს-  
 სხვის ხელით იქნევს გლეხებზე,  
 სახრეს, მათრახსა და კეტებს  
 ბიჭებს მიუსევს გლეხობას  
 იგი მგოსნისა სახელით,  
 თან აცემინებს, თან ართმევს,  
 მათი დედ-მამის მძრახველი...

ამდროს სატახტო ქალაქით-  
 მგოსანი შოვა ჩვენადა,  
 დადგება საკოხტოში-  
 ცოტახანს დასასვენადა..  
 იმისი მოსვლა გლეხკაცებსა  
 გულს ჩაესხმება ლხენადა:  
 ეტყვიან თავის გასაჭირს,  
 მურმანასაგან წყენასა, —  
 გამოარკვევენ სიმართლის-  
 ნამდვილი სახით დენასა.  
 მაგრამ უეცრად მგოსანსა  
 კვლავ გაიწვივენ ქალაქსა  
 და ბრუნდებიან სათქმელნი-  
 კვლავ უთქმელობის ალაგსა.  
 მურმანას ეტყვის მგოსანი,  
 ზევ მოვალ შუადღისასო,  
 შინ დაშხვდი თადარიგითა,  
 ნურსად ნუ წახვალ სხვისასო.

გზად თადე ნახა მგოსანმა,  
 ჩავლილმა შუა სოფელზე,  
 რაღაცა სახემცივლილი  
 მიწოლილიყო ლობეზე.  
 — სალამი ჩემსა თანდილას,  
 სალამი გამარჯვებულნი.  
 რამ დაგაღონა, მოხუცო,  
 რაზე ხარ გაჯავრებული?  
 — რაზე არ, შენი ჭირიმე.  
 ფიქრმა და დარდმა შემქმამა.  
 არ მომივიდა წელს პური,  
 ვენახიც მოსპო სეტყვამა.  
 ბიჭი კი, ჩემი გიგია,  
 წამოიხარდა უცება  
 და ყელყელაობს საცოლოდ,  
 გული შინ აღარ უღდება,  
 დაუბეღვია კიდევაც  
 ერთი ლამაზი წასადა,

მე კი არც პური, არც ღვინო  
არ გამაჩნია არსადა.

— ნუ გეშინიან, თანდილავ,  
ვიპოვით მოსაპოვარსა,  
თუ ნებას მომცემ, პატივს გცემ  
ჩემებრ სიბერის მთოვარსა.  
შემონახული მაქვს კიდევ,  
მადლი პურად და ღვინოდა;  
ორივე მომირთმევია  
სალხინოდ, სანადიმოდა.

— შენ შეგაწუხო?... რა ვიცი...  
აბა რა საკადრისია...

მაგრამ, თუ სესხად მომცემდი,  
თუმცა... არ მიყვარს ნისია...

— არა, ეს უნდა მიიღო  
ძღვნად პირობისა თბილისა:  
მე უნდა ვიყო ნათლია  
მისი პირველი შვილისა.

— შენი მირონის ჭირიმე!

თუ დამინათლიავედები,  
სუყველაფერზე, ბატონო,  
შენი თანახმა ვაგზდები.  
მხოლოდ სისაწყლეს გლეხკაცსა  
ნუ ჩამომართმევ ცოდვათა,  
რა ვქნა, მიწისა სიმცირე  
მიწაზე ვვაჩენს ცოტადა:  
— აი მაგიტომ მივიღე  
სწორედ ამ წუთას ქალაქსა,  
უნდა რამ დავდო მალამოდ;  
მაგ თქვენს მტკივნეულს ალაგსა...

— გვიშველე რამე, ბატონო,  
და დაგიფასებთ ამაგსა. —  
და მიაწვება თანდილას  
ყელში სიამის ნაკადი —  
ვერ უპოვნია მას სიტყვა  
ჰადლობის გამოსახატი...  
ამ დროს, როგორაც ეშმაკი,  
მურმანა ჩნდება უცება,  
პატრონის დაძახებაზე  
მელურად ილაქტუება.  
მგოსანი ეტყვის: თანდილას  
უსამსახურე დღესაო:  
რაც გთხოვოს, მიე, სიტყვასა  
არ გადახვიდე ჩემსაო.  
და როს მგოსანი წავიდა,

თანდილა მოდის გონზედა,  
მურმან კი დაპირებებზე  
იმას იბარებს სწორზედა.  
მაინც გულსავეს წავიდა  
მოხუცი შინისაკენა,  
ამბავს მიუტანს გიგიას  
სასიხარულოდ, სალხენად.  
მაგრამ სად არის გიგია?...  
არავინ იცის გზა-კვალი,  
თუმც „სად წავაო“, იმედობს.  
მოხუცი, მისგან ნაწვალის...  
თან ელანდება სალხინოდ  
ბიჭები ჩოხიანები,  
წელზე არტყაით ხანჯლები  
შამილის ხანჯლისთანები.  
ქალებიც იკაზმებიან,  
კოპწია, ჩიხტიანები —  
ღიმილის მზეში ტოკავენ,  
ვით მშვენიერი ყანები.

## VII

ეტლით წასული მგოსანი  
იწვოდა გლეხის ცოდვითა,  
ფიქრობდა, იქნებ ღვისსნაო  
ტანჯული უმიწობითა...  
მაგრამ იუღდას, გამყიდველს  
ყური ეჭირა ცქვიტადა,  
მის ბინძურ გულში ბუდობდა  
ჯალათის ხელი მშვიდადა  
და ბოროტებას გაედო  
ის მოყვრებ შორის ხიდადა,  
ზედ მრავალ-ტანჯულ ხალხისთვის.  
ვაების მისაზიდათა...  
მურმანა შეჰხვდა გიგიას,  
როს დარდი სქამდა ათასი,  
როცა ის ჰყავდა ცხოვრებას  
უიმედობის ხახაში —  
შეჰხვდა და საზრდოდ მიართო  
ეშმაკის ტვინის ნახარში:  
— იცი, გიგია, მგოსანი  
რისთვის წავიდა ქალაქსა?  
რომ თქვენი კერძო მიწებიც  
კვლავ დაუმტკიცონ თავადსა.  
— რას ამბობ, რასა მურმანავ?  
— ჭეშმარიტებას! მართალსა!

და, თუ არ გინდა გიგია,  
 უფრო სისაწყლე საწყალსა,  
 ზეგ უნდა გზაში ჩაუგდე  
 იმ თქვენი ცოდვით დამწვარსა  
 და სამუდამით მოსწყვიტოთ  
 ამ წუთისიფლის სახლ-კარსა.  
 იქ მოვლენ სხვებიც, ვინც შენებრ  
 იმისგან სჭამდნენ ნაცარსა.  
 აჰა, ეს გასამრჯელოცა,  
 გზას შეგიმოკლებს სავალსა, —  
 მისცემს და კიდევ ჰპირდება  
 შემდეგისათვის მრავალსა.  
 მყისვე სთანხმდება გიგია,  
 უგუნური, ქკუთი ფერწყალი,  
 თან ეს ჯაშუში ჰგონია  
 ახალ დროების მერცხალი.

### VIII

თადე კი სახლში ტრიალებს  
 ქორწილის თადარიგისთვის,  
 მხოლოდ გიგია არა სჩანს,  
 მოხუცი ახრავს იმისთვის.  
 ამდროს კი ტყისპირს, გზის ახლოს,  
 ვიღაცა ვადაცმულები,  
 რაღაცას ემზადებიან,  
 თოფებით ჩამალულები.  
 იმათთან მივა გიგიაც  
 ნელ-საიდუმლო სტყენითა,  
 ნიშანს ეტყვიან ერთმანეთს  
 ქაჯნი ქაჯურის ენითა.  
 ერთი მეორეს ვერა სცნობს  
 ვერცა ხმით, ვერცა სახითა,  
 ვერც იხსომებენ ურთიერთს  
 ამ შფოთიანი ნახვითა.  
 ზოლო მურმანა — იუღა —  
 შახინჯი სულით, ზორცითა,  
 ვაჰყურებს სოფლის ბოლოსა,  
 ცხვირპირზე ოფლის ზოცვითა  
 და ნატრობს თოფის გაგარდნას  
 ქაჯი ქაჯურის ლოცვითა.  
 დღეს უნდა ბედი გადაწყდეს  
 სინათლისა და ბნელისა,  
 ან ჯოჯოხეთი დადგება,  
 ან შუქი ცისარტყელისა, —  
 ერთსა სიკვდილის სახე აქვს,

მეორეს — ქორწილ-ლხენისა...  
 — ხალხნო, მიპოვნეთ გიგია,  
 საით წავიდა, საითა,  
 ან იქნებ გლეხის მოკეთის  
 ძღვენს მიჰხვდა თავის თავითა  
 და ჩვენი სოფლის ბოლოში  
 ჰის შესახვედრად ჩავიდა?  
 ისიც თუ კეთილშობილობს  
 თავის ნათლიასავითა?!.

ამ დროს მოვარდა ამბავი,  
 ვით რისხვა, მეხი-მედგარი,  
 მოჰკლესო დიდი მეოსანი  
 ტყის შეღმართებთან შემდგარი. —  
 გარეთ გამოჰხდა ბოროტი,  
 კაცის გულ-ღვიძლში შემჯდარი:  
 და აწიოკდნენ გლეხები,  
 ოხვრა წავიდა ზეცადა...  
 მოჰხდა, რაც კაი ხანია  
 ბნელის მოციქულს ეწადა.  
 ყველა გაიქცა იქითკენ,  
 თადე შინ დარჩა მარტოდა,  
 თვალეზში ცრემლმა იელვა,  
 გული აძრახდა ფართოდა:  
 ფუი ამ ჩვენსა მხესაო!  
 ფუი ამ ჩვენსა მხესაო,  
 მარჯვენამოსატეხავმა,  
 ვინ ჩაიღინა ესაო?!.

### IX

ლამით მივიდა გიგია,  
 ნათრევი ნადირივითა,  
 სახეზე რაღაც ეტყობა  
 იღუმალეებით ცივითა.  
 არ ამბობს, მაგრამ აწუხებს  
 რაღაცა გულში დებული,  
 ხან სახლში შევა, ხან გარეთ,  
 როგორც ცეცხლმოკიდებულნი.  
 — სად იყავ, შვილო? — თანდილა  
 ეტყვის მას ამოკენესითა,  
 თან დაუმსტებს: ქორწილი  
 მოგიგლიჯესო ფესვითა.  
 — ქორწილი? როგორ? რას ამბობ?  
 მაგისთვის ჩვენ რა გვებადა?  
 მშიერ-მწყურვალნი, შიშველნი

ვისხედით მათხოვრებადა,  
და შენ საიდან გამხილი  
ბედის გამოცხოვრებ კეცადა?  
ან ვინ ჩაპოლიდა ჩემს ქორწილს,  
თუ კი ბედს მართლა ეწადა?..  
— შეილო, მგოსანი დამპირდა,  
დაგდებ მაგისტვის წვლილსაო,  
თანაც მე მომანათვლინებ  
გიგიას სიყრმის შეილსაო. —  
— ჰმ, მამაჩემო, დამცინი  
ბუ გამოტეხა მოგინდა?  
გამოგიტყდები: მე მოვკალ  
ვუშინ მგოსანი თოფითა.  
— შენ მოჰკალ? შენა?  
— დიახ, მე!  
— ფუჰ, შე უჯიშოვ! უვიცო!  
ამაყობ კიდევ მაგ საქმეს,  
რომ მოჰკალ კაცი უბიწო?!  
— თავადი იყო, მდიდარი,  
მეველფავი გლეხი კაცისა.  
მათი მოსპობა საქმეა  
გლეხკაცის თავის დაცვისა.  
გულს მინერგავდა ყოველდღე  
„ერთობის“ კაციც ამასა.  
გასამრჯელოც კი მომცა მან,  
გარჯილს ორიოდ წამასა.  
არა, აღარვის შევარჩინთ  
ჩვენი ნაშრომის ჭამასა,  
და განა შენ ეს არ მოგწონს,  
საწყალი გლეხის მამასა?!  
— რას ამბობ ქურდო, მცარცველო!  
მკვლელს აჰყოლიხარ ვილაცას!  
თქვენს სიტყვას, თქვენსა საქციელს,  
ჰკვათმყოფი ვინდა მიჰბაძავს?!  
— მამი! —  
— გაჩუმდი! მე მამას  
ნუ დამიძახებ დღეიდან.  
ძირს ჩემგანა ხარ წყეული,  
ხოლო ღვითთ მალლით, ზევიდან,  
ჩემს სახელს ნულარ ახსენებ,  
ნურც გამოსჩნდები მკვლელადა:  
ველარც მე გავყოფ თავს გარეთ,  
გამომზირალი ბნელადა,  
სანამ არ მომგვრა იმ ეშმაკს,  
ჰკვაზედ რომ დაგსვა თხელადა... —

მოხუცის ქირვეულობად  
ჩასთვლის ამ სიაგვაცესა  
და გარეთ გავა გრჯია,  
თავს გააჩილებს თადესა.  
მაგრამ გარეთაც, ვით მამა,  
მკვლელსა სწყევლიან გრძნეულსა,  
სწყევლიან, ვით გველს მახრჩობელს,  
ხალხის გულს შემოხვეულსა.  
შეწუხებული გიგია  
ახლა მიჰმართავს ტყეებსა.  
იქაც იგივე მოესმის,  
ენა აუღვამთ ხეებსა:  
„ფუი შენს ვაჟკაცობასა,  
მარჯვენას, ქვეყნად დენასო.  
შენთვის აფსუსი არ არის,  
ატარებ მეტყველთ ენასო?  
მოჰკალი დიდი მგოსანი,  
ლექით მომცემი შვებისო,  
ბუნების მლაღადებელი,  
გამცოცხლებელი მკვდრებისო!“  
თავზე ყორანიც დასჩხავლებს,  
ვით თავის წილადხვედრილსა. —  
სუყველა ზიზლით უყურებს,  
უმანკო სისხლით შესვრილსა,  
იქნებ საცოლომ მიიღოს,  
სხვა თუ ყრუა და უხეში?  
იქნებ მის მკერდში იპოვნოს  
თანაგრძნობა და ნუგეში?..  
მაგრამ იქ მისულს ძაღლიც კი,  
წინათ დამხლომი აღერით,  
დაეტაკება, ვით უცხო  
უცხოზე კბილებნალესი.  
გამოვარდება საცოლოც  
შემკრთალი, შეშინებული,  
მაგრამ, გიგიას რომ იცნობს,  
მიმართავს გაკვირვებული:  
„რა დაგმართვია გიგიავე,  
რათა ხარ სახეშეცვლილი?  
შუბლშემკვარტლილსა სიბნელით,  
გაქვს გამოხედვა შეშლილის.  
ხომ არ გახრჩობდნენ წუხელის,  
ან თუ ახრჩობდი შენ სხვასა,  
ან თუ შენ უფრო მეტად ჰგრძნობ  
ვავლახს, სიმწარეს ჩვენსასა,  
რომ მოჰკლეს დიდი მგოსანი,

გამხსნელი გლეხის ბედისა,  
ვისაც ბევრთაგან კაი რამ  
დაუთმევია ჩვენთვისა?!“  
გამოისტუმრებს საცოლედ,  
ყვედრებით განამწარებსა...  
ისევ შინისკენ წამოვა,  
ნელა შეაღებს კარებსა —  
იქაც მოხუცი დაუდგამს  
კვლავ წყევლის შეადრევანებსა:  
„მომშორდი, მომწყდი თავიდან,  
არ დამენახვო თვალითო,  
არცა გამოსჩნდე სოფელში  
შავ სამარცხვინო თავითო.  
თუ არ მოიკლავ შენ თავსა,  
თვითონ მე მოგკლავ მამარ —  
არჩიასშევებო მიწაში,  
ნულამც მიგილოს ცამარ...“

და დაიღვრიმა გვიგია,  
თავჩაქინდრული კერასა:  
ახლა იწყებდა მის გული  
წალმა-უტულმა ძგერასა.  
მამის სიტყვები ესმოდა,  
უკვირდებოდა წყევლასა  
და მაინც ვერა ჰხედავდა  
ნამდვილის გამოჩვენებასა.  
— ვაი დედასა! — წარმოსთქვა —  
მამ ვძულვარ ყველას, სოფელსა?  
წავალ და ისევ მოვძებნი  
ჩემსა მოკეთედ მცნობელსა! —  
თან შემოიკრა ბნელითმა  
მუშტი ორივე ყბაზედა  
და გამოვარდა შლევგივით  
დიდი ქალაქის გზაზედა...

## X

სამშობლო ცამ და მინდვრებმა  
ამოიოხრეს ძალზედა  
და ამოყარეს გულიდან  
ღრუბლები ქვეყანაზედა,  
შავ-ბნელ ფიქრებად გადაწვენენ  
ისინი მთიდან-მთაზედა  
და ღრუბლებს ვილაც მიარღვევს,  
ვით ნავი ტალღებს ზღვაზედა...  
ვენახში ვაზი ქვითინებს,

ცრემლები მოაქვს მდინარეს,  
შეატყობინებს თვის წუხილს  
მხარეს მღვიძარს თუ მძინარეს.  
და ტირის ბედსა ტანჯულთა,  
ტირის მათს წმინდა ზვარაკსა —  
მიეზიდება მსოფლიოდ  
ამბავს მძიმეს და მხარავსა.  
მაგრამ ვინ არის ყმაწვილი,  
შორს რომ მიარღვევს ღრუბელთა?  
თითქო ვერ ჰპოვებს, რაცა ჰსურს,  
თითქო ბედს ვერსად უყვლთა.  
ბოლოს მგოსნისა კარის წინ  
დადგება გახეტებული  
და მურმანასა კითხულობს,  
უსირცხვოდ აყუდებული.  
მაგრამ სად ჰნახავს მურმანას?  
გაპარულიყო სადღაცა —  
ალარვინ იყო მნახველი —  
ძირს დედამიწა, მალლა ცა...  
უფრო დაბნელდა გარშემო,  
უფრო ჩამოწვა ნალველი,  
მოკლულის ძალიც ღმუღოდა  
იქ უცხოების მნახველი...

## XI

გვიანი შემოდგომაა,  
ცა იღველდება წყნარადა,  
შავი ღრუბლები დაყრილან  
ცაში, მთაში და ბარადა,  
დაუკარგნია ბუნებას  
ხალსი ფასახარადა,  
ხევში ახველებს მდინარე,  
გაწბილებულად, მტკნარადა...  
საბადურის მთა მალალი  
ულრან ტყეებით ბნელია,  
იმისი თვალით განსჭვრეტა  
ნისლებში ძაან ძნელია.  
მაგრამ ვინ არის, რომ მიდის  
სულ ზევით, ზევით, ზევითა?  
არცა სიბნელე აბრკოლებს,  
არც ცა ცრემლების ფრქვევითა,  
არცა ტყეები უღრანნი,  
გულს ხვამიადის ხვევითა,  
აყუდებულნი! ცათამდე  
წირმოკუმული წყევითა?..

შეპყირხლებია მოხუცა  
 ყბებზე სიბერე თეთრად,  
 მოხრილი მიდის ზევიტყენ,  
 ფეხების მდემელი მედგრადა.  
 გულში კი რალაც აწუხებს,  
 რალაც ედება ცეცხლად.  
 მას ილლიაში ტული აქვს  
 აწოდებული ყუითა,  
 მასლა ენდომა დღეს იგი  
 თავის განზრახვა-ჭკუითა.  
 — გიგიავე, მომყე მარდათა,  
 რა უკან გრჩება ფეხები.  
 — სადღა მივდივართ, მამილო,  
 ტყე არის გაუტეხები.  
 აქ მოვჭრათ ბელის მასალა,  
 ხეები დასაკვეხები. —  
 იმასაც მჭრელი ცული აქვს  
 უკან ქამარში ვარჯმული  
 და მამას მისდევს ფეხდაფეხ,  
 ვით გოლგოთისკენ ჯვარცმული.  
 — ბიჭო, ის ბნელი ამბავი  
 სხვამ ხო არ იცის კიდევ;  
 რომ შენც ვაცხია მის სისხლი,  
 ვინც ჩვენი იყო დიდება?  
 — არა, მამილო. ერთმანეთს  
 ჩვენ არ ვიცნობდით მკვლელები.  
 კენტი-კენტი შეგვეყარა მურმანამ  
 ქუდრიაფხუტულნი, ბნელები... —  
 და ღრმად შევიდნენ უღრანში,  
 სად ბუნაგობენ დათვები.  
 იქა წიფლები ისე დგა,  
 როგორაც გოლიათები;  
 აუშვერიათ ცისაკენ  
 თვის ბანჯგვლიანი თათები,  
 თითქო ცას ეუბნებოდნენ:  
 „ცავ, გვითხარ გულის ნადები“...

წიფლების ერთი ოჯახი  
 ახლო შეკრულია ჯგუფადა  
 და ერთი სწორე, მაღალი  
 მათში ჩამდგარა ტურფადა.  
 — ეს გამოდგება კოჭებად,  
 მოვჭრათ, გავთალოთ სუფთადა —  
 სთქვა თანდილამა და ცული  
 დაჭკრეს ორივემ ტყუპადა.

ერთის მხრით სცემდა ხეს მამა,  
 მეორე მხრიდან — გიგია:  
 ერთი და ორი გაისმის,  
 ხის ამგვარ ქრაში რიგია.  
 ხუთხუთს რომ დააწყვილებენ,  
 მამა, ამტყდარი ჭკუაზე,  
 მეექვსეს შვილსა დაარტყამს,  
 თავსა გაუხეჩს შუაზე.  
 გიგია ჩაიკეცება,  
 ვით მოჭრილი ხე, მაღალი,  
 დაუღამდება სიცოცხლე  
 იმას ძველი და ახალი...  
 მოხუცმა იქვე გათალა  
 ხელდახელ ბარი, ნიჩაბი,  
 ღრმად ამოთხარა საფლავი  
 ვიწრო, როგორაც გვირაბი,  
 შიგ ჩავლა თავის გაზრდილი,  
 ნაპაგარი, ნაწვალი  
 და დარჩა მარტო, ობოლი,  
 ათასჯერ უფრო საწყალი,  
 ვიდრე როდისმე ყოფილა,  
 ბედ-იღბლის გამონაცვალი.  
 შემრე დაჯდა და დაიწყო  
 ქვითინი ზარიანადა;  
 სულ აზანზარდნენ წიფლები  
 ფოთლიან-ტანიანადა.  
 ყოველი ცრემლი იმისი  
 მიწას ერქმოდა დანადა  
 და თვით საფლავიც ტოკავდა  
 თვის ცოდო-ბრალიანადა.  
 „წყულმც იყავ“ — იძახდა ---  
 ჩემო მტანჯველო გრძნეულო,  
 ჯოჯოხეთისა საჭმისთვის  
 ამქვეყნად ამოწეულო.  
 და ნეტა იმ ვმირს, იმ ვაჟკაცს,  
 იმ წმინდამიზანმიწვილსა,  
 ვინც მოაშორებს ქვეყანას  
 ამ სამარცხვინო სიკვდილსა!“..

ტირილი იგი შეპრჩა ტყეს  
 ფოთოლთა თრთოლვად, შრიალად,  
 ქვითინი — შემოდგომისა  
 ტანთვამხდელ ქარის ღრიალად,  
 ცრემლი კი — მუდმივ ბალახად  
 გადაეფარა სამარეს,

ვით დასამალად წყვილი  
წყვილად ლაშქში ნაპარევს.  
ხოლო მიჭრილი წიფელი  
ახლაც იქა დგას მდუმარე,  
როგორც წარსული ცხოვრება,  
ცრემლით და ღველფით მდუმარე.

### ეპილოგი

განვლო დრომ... ნატვრა ასრულდა  
ბედკრულის ბედკრულ მამისა,  
გადაიწმინდა ღრუბელი

ძველი ცხოვრების ღამისა  
და გაუმჟღავნდა ცოდვები  
გასული ღამის ნადირსა...  
მეფევ და იმპერატორო!  
დროებავ ცრუვ და ცბიერო!  
დიღმა სტალინმა მოგაგოთ  
სასტიკი სამაგიერო  
და დღეს მგოსნისა წმინდა სულს  
ველარვინ ჰბლალავს ექვითა:  
ის სხივებს აფრქვევს ამაყად,  
როგორც მნათობი ზეცითა.

1937 წ.



# ქრისტიანული მემკვიდრეობა

ფრიდრიხ შილერი

## გ ა ს ე ი რ ნ ე ბ ა

(Der spärle rgang)

სალამი ჩემს მთას, მწვერვალს — წითლად გასხივოსნებულს,  
სინათლისმფრქვეველ, დიდებულ მზეს, ჩემი სალამი!  
სალამი მინდორს მოკისკასეს, შრიალა ცაცხვებს,  
ლამაზ რტოებზე მოქანავე ფრთოსანთა ლაშქარს.  
შენც გესალმები, ო, ლაქვარდო, — დაუსრულებლად,  
შავი მთის ირგვლივ, მოკამკამე ტყის სიმწვანეში,  
გარს რომ მეფრქვევი, შენსკენ ლტოლვილს საკნისებრ ბინით  
და უბადრუკი საუბარით თავმოებზრებულს.  
შენი ჰაერი მკურნავს, მავსებს სიცოცხლის ძალით  
და მაშვრალ თვალებს მიცისკროვნებს სხივები შენი  
ფერად-ფერადი ყვავილებით ელვარებს მდელიო  
და ეს სიჭრელე თვალს აამებს და ახალისებს.  
ველს თვალწარმტაცად გაუშლია ხალიჩა მწვანე,  
მიიკლაკნება მის სიღრმეში ბილიკი ვიწრო.  
ისმის ზუილი დაულალავ ფუტკართა გუნდის  
და ფარფატ ფრთებით ყვავილთ შორის დაჰქრის პეპელა.  
მზე მწველ სხივებს ღვრის, სიჩუმეა, მდუმარებს არე,  
მხოლოდ ტოროლას ტკბილი ჰანგი ატოკებს ჰაერს.  
მაგრამ უეცრად წამოიჭრა ბუჩქიდან ქარი  
და მოვერცხლილი ბალახები ააბიბინა.  
ტკბილი სურნელით მავსებს ღამე და ჩრდილოსანი  
დიდი წიფელი გრილ ფრთების ქვეშ მებატყება.  
იდუმალემა დაბურულ ტყის მიმკრთალებს მზერას  
და ხვეულ ბილიკს უნებურად მივყვარ ზევით,  
სად ხშირ ფოთლებში გამოსჭვივის შუქის ციალი  
და იღიმება ლაქვარდი ცა ლურჯი თვალებით.  
მაგრამ უეცრად საბურველი გადაირღვევა  
ტრიალი ლილო კვლავ მიბრუნებს დღის ბრწყინვალეობას.  
გადაიშლება ჩემს წინ სივრცე თვალუწვდენელი  
და მთების ბინდში იკარგება ქვეყანა ვრცელი.  
ციცაბო ტერფთან, სად იშლება უფსკრული ფართო.

ყრუდ მიდუღუნებს ნაკადული სარკედქცეული,  
ჩემს ირგვლივ ვხედავ მხოლოდ ეთერს დაუსრულებელს,  
სიმაღლის ხილვით თავბრუ მესხმის, უფსკრული მზარავს,  
მაგრამ მარადი სიმაღლისა და უფსკრულს შორის  
მიიმართება, მყარ ნაბიჯით, ყარიბი მგზავრი.  
უზვი ველები მოილტვიან ჩემსკენ ღიმილით,  
ბეჯითი შრომით თავს იწონებს ხეობა ვრცელი.  
შებნედე ზოლებს! მხვენელ-მთესველის მიწას რომ მიჯნავს  
ცერერას ხელით ჩაქსოვილი მინდორით ხალებში.  
კეთილშობილი კანონები, ღვთის ბოძებულები,  
გაექცა ტრფობას ცივ სპილენძის სტუკუნეში.  
მაგრამ გამიჯნულ მინდვრებს შორის ბილიკი მაინც  
მიიკლავება... იმალება ხშირად ლურჯ ტყეში,  
ზან მთას გადუღლის — მათი ძველი მამრთებელი.  
გლუვ მდინარეზე მისრიალებს ტივების მწყრივი.  
ისმის ნახირის ზანზალაკთა წკრიალი ნელი.  
მწყემსის სიმღერა საამური, აღვიძებს ექოს.  
მდინარის ირგვლივ სოფლებია გაშენებული,  
ზოგი ბუჩქნარში დამალულა, ზოგიც მთას ეკვრის;  
ადამიანი აქ კვალად გრძნობს ჯეჯილის სუნთქვას,  
დ მის მყუდრო ჭერს გარს არტყია მინდვრის სიმწვანე.  
ფანჯრებს წარმტაცად ჩაჰხვევია ვაზთა რკალები,  
ჩანან ქოხები დაბურულნი ლურჯი ფოთლებით.  
სვე-ბედნიერო სოფლის ხალხო, შენი ღრმა ძილი  
თავისუფლების ყიჟინს ჯერ არ დაურღვევია!  
ემორჩილები მარტივ კანონს, ბუნების მონა,  
მოწის დოვლათით შეზღუდულა შენი, სურვილი.  
თანაბარია შენს შრომასთან ცხოვრება შენი,  
მაგრამ—უეცრად ვიღაც მტაცებს ნანატრ მშვენიებას.  
უტბო ჩვენება, ეუფლება ველს მობიზინეს,  
უცებ ირღვევა ლალ ბუნების სახე მთლიანი.  
დიდი დიდს ეძებს, თანაბარი—თანაბარს ჰგუობს,  
ვხედავ წოდებებს ახლადშობილს: ალვისხეები  
ზვიად იერით საპატიოთ ჩამწყრივებულან.  
ყველაფერს წესი აჩნევია ხარისხისამებრ.  
აგერ მსახურნი—ხელისუფლების მაუწყებელნი.  
ოქროს გუმბათნი შორს სივრცეში უკვე ელავენ,  
კლდოვან ბორცვებზე გადაშლილა ქალაქი დიდი,  
გაურეკიათ ტყის ფანენები უდაბნოსაკენ;  
და სათნოება ქვას ანიჭებს ახალ სიცოცხლეს,  
ადამიანებს ახლოებს და აკავშირებს,  
და მათ შინაგან სამყაროსაც გრძნობით აართოლებს,  
შეხე, ბრძოლებში ვით იწრთობა რკინის ძალები,  
ღიად საქმეს ჰქმნის მათი ბრძოლა მტკიცე კავშირი.

მთლიანი სული ამოძრავებს ათას ხელს ერთად,  
და გრძნობით გამთბარ ათას მკერდში ჰფეთქს ერთი გული.  
ჰფეთქს სამშობლოსთვის, წინაპართა ადათებისთვის —  
სადაც მარბია საყვარელი მათი ნაშთები.

და ეშვებიან ცის წიაღით ღმერთები დაბლა,  
ყველა მკვიდრდება მათთვის ნაგებ სასახლეებში.  
მოაქვთ მიწისთვის საჩუქარი, ძვირფასი ძღვენი:  
ცერერა მშრომელთ გუთანს უძღვნის, ლუზას ჰერმესა,  
ბახუსი ყურძენს და მინერვა შტოს ზეთისხილის  
და საომარი რაში მოჰყავს თვით პოსეიდონს.

დედა ციბელა აბამს ეტლში კუნთმაგარ ლომებს  
და ღია კარში შებრძანდება მკვიდრ მოქალაქედ.  
წმინდა ლოდებო, თქვენ ფუძენო ცოდნის და სიბრძნის,  
შორეულ კუნძულთ ანათებდით ხელოვნების მზით,  
ახალ ადათებს და კანონებს აქ ჰქონდა კერა.

პენატებისთვის აქაურ გმირთ უღვრიათ სისხლი.  
მიაცილებდნენ მათ დედები—ჩვილი ბავშვებით,  
უმწერდნენ ხარბად, ვიდრე თვალებს მიჰფარდებოდნენ.  
მუხლთ მოიდრეკდნენ დიად ღმერთთა ტაძრის წინაშე,  
შესთხვოდნენ შველას, გამარჯვებით შინ დაბრუნებას.  
მათ გაიმარჯვეს... შინ დაბრუნდა მხოლოდ დიდება...

მათ გმირობაზე დალადებენ გრძნეული ქვებიც:  
„სპარტასკენ მსვლელო, მკზავრო, სთქვი, რომ ჩვენ გვინახულე  
კანონებისთვის დახოცილნი აქ ვაჟკაცურად“.

ძვირფასნო, მშვიდად განისვენეთ! დღეს თქვენი სისხლით  
მწვანობს ზეთისხე, სიხარულით ღვივდება თესლი.

და ხელოსნობა ცხოველდება და ვითარდება.

მდინარის ღერწმით ლურჯი ღმერთი თავს მიქნევს ნაზად;  
ხეს ცუელი სწვდება, აღმოხდება დრიადას კვნესა.

ხე ღარდობებით დაქანდება, ეცემა მკვდარი.

კლდის ნაპრალიდან დაეშვება ლოდი გრიალით  
და მთის ჯურღმულში იმალება მემდაროე.

ვულკანის გრდემლზე საამურად ზმაურობს ურო,  
ფოლადს ნაპერწკლებს აფრქვევინებს ძლიერი ხელი.

მარდად ბზრიალობს თითისტარი, ოქროს ხელს ახვევს,  
ძაფის სიმთ შორის დაზუზუნობს მოძრავი მაქო.

ნავთსაყუდელში მეზღვაურის ისმის ძახილი.

უცხო ქვეყნებში მიაქვთ გემებს ნაყოფი შრომის  
და უკან მოაქვთ უამრავი ძვირფასი ძღვენი.

მათ ლამაზ გვირგვინს ამოდ არხევს ანძა მაღალი.

შეხე, ბაზრები ფუსფუსებენ მზიარულ ხალხით,  
სმენას ანციფრებს საუბარი მრავალ ენაზე,

ვაჭარი მაღალ ფარდულეებში დოვლათს ალაგებს:

რასაც აფრიკის მხურვალე მზე ნაყოფს ანიჭებს,

რასაც ადულებს არაბეთი, ფულებს ამზადებს;

და ამაღთეა განძეულით ოქროს რქას ავსებს.  
ბედნიერება ნიჭით მოსავს ღვთაებრივ ბავშვებს,  
ლალ ნიდაგზე ხელოვნება ფრთებს შლის, იზრდება,  
და თვალს ახარებს შემოქმედი ყოფნისმსახველი.  
ამოდ ნაკვეთი ქვა მეტყველებს, სიცოცხლით სავსე,  
ხელქმნილი ზეცა ემყარება იონურ სვეტებს,  
ერთ პანთეონში თვით ოლიმპი მოთავსებულა.  
მჩატე, ირისის ფრენასავით, მშვილდით მალი  
რკალავს მდინარეს თვალწარმტაცი ხიდის უღელი.  
ზის სავანეში მშვიდი ბრძენი, დაფიქრებული,  
ხაზავს სახეებს, შემოქმედის დიად სულისმკვლელს.  
სწავლობს მავნიტის სიყვარულსა და მძულვარებას.  
იჭერს ჰაერში მსრბოლავ ბგერას, ეთერის სხივებს,  
ეძიებს კანონს თავზარდამცემ საოცრებაში  
და საყრდენ წერტილს მოვლენათა ფრთამალ სრბოლაში.  
კალმით ხორცს ასხამს, ამეტყველებს იგი მუნჯ აზრებს,  
რასაც დრო-ჟამის მდინარება გადასცემს მყობადს,  
გაოცებულ თვალს შემოაცლის ოცნების ბურუსს.  
და ღამის სულნი შორს გარბიან, შიშით შემკრთაღნი;  
ბორკილებს ამსხვრევს ბედნიერი ადამიანი,  
და ეშინია სირცხვილისგან არ განიძარცვოს.  
გონება უხმობს სანეტარო თავისუფლებას.  
წმინდა ბუნებით შორს მიილტვის ყინი ველური.  
ეპა, დაიმხვრენ ქარიშხალით გემთა ღუზანი,  
ცოფმორეულ ზღვამ მათ მრისხანე სტყორცნა ტალღები.  
და გააქროლა შორს, უსაზღვრო უფსკრულისაკენ.  
ზვირთთა მთებს შორის მიქანაობს უანძო ნავი.  
რვილი წარსკვლავნი მიიმალნენ ლურჯ ღრუბელთ მიღმა-  
ბიმღვრა მიწა და თვით ზეცა—წიალი ღვთისა,  
გაჰქრა სიმაართლე, წმინდა რწმენა და ერთგულება.  
იშვა სიყალბე, წაიბილწა სიცრუით ფიცი,  
შლის ლიკოფანტი სიყვარულის იდუმალ კავშირს,  
სთიშავს მეგობართ მაცდური და ბოროტი სული.  
უმანკოებას ხარბი თვალთ სწამლავს ღალატი,  
და გულს უგმირავს ცილმდებელი შხამიან კბილით.  
ბილწიან მკერდში გრძნობა ღვივის მუხანათური,  
ტრფობამ უარჰყო ღვთაებრივი კდემასინაზე.  
ჭეშმარიტებავე, თვალთმაქცობამ როგორ გაგძარცვა,  
და გამოსტაცა თვით ბუნებას წარმტაცი ხმები,  
მოწყურებულ გულს აღტყინების ეამს რომ ესმოდა!  
დადუმდა გრძნობა ჭეშმარიტი, ველარ მეტყველებს,  
კვებნით ხმაურობს სამართალი, ქოხში თანხმობა,  
კანონის ყალბი მოჩვენება სდგას მეფის ტახტთან.  
კვლავ დიდხანს გასძლებს შემზარავი შავი მუმი  
და მირაჟებით ყოფნა იერს შეინარჩუნებს,

ვიდრე ბუნება გაიღვიძებს და ფუტურო ჩონჩხს  
რკინის ხელი არ ეყვითება დაუნდობელი,  
მსგავსად ვეფხისა, რომ გაპგლიჯა რკინის გალია  
და მიაშურა ნუმიდიის ტყეს სათაყვანოს.  
რისხვით აღსდგება ხალხი და ცეცხლს მისცემს ქალაქებს,  
და ნამუსრევში კვლავ მოსძებნის დიად ბუნებას.  
განიხმეთ ბჰენო, ტყვეს მიეცით თავისუფლება!  
რომ მწვანე მინდვრებს კვლავ ეწვიოს გახარებული!  
შავრამ სადა ვარ? მიიმალა ბილიკი ვიწრო,  
ციცაბო კლდენი შავ უფსკრულით წინ მელობებს!  
თვალებს მიჰფარდა ამწვანებულ ბაღთა კალთები.  
ადამიანის შემოქმედ ხელს ვეღარსად ვამჩნევ,  
ვხედავ უსახო ნივთთა მთები, ბაზალტის კლდენი  
ელოდებიან გაცოცხლებას, გრძნეულ შემოქმედს.  
კლდის ნაპრალებში მიხხრიალებს რუ გამაღებთ,  
შაღალ ხეების ფესვთა შორის მიიკლაკნება.  
და ირგვლივ ვხედავ ველურობას, საზარ. უდაბნოს,  
შხოლოდ არწივი ბორიალობს ღრუბელთა ქვეშე.  
ადამიანთა ვაების და სიამის ხმანი  
ქარს აღარ მოაქვს. ჩემს მახლობლად ფრთების შრიალით,  
ნუთუ მარტო ვარ—შენს წიაღში, ლალო ბუნებავ?  
არა, ეს იყო საშინელი მხოლოდ სიზმარი.  
გაპქრნენ უხამსი სურათები საზარ. ცხოვრების  
და მათ თან გაპყვა მოჩვენება შიშისმფრქვეველი.  
კვლავ მიბრუნდება შენს უმანკო მკერდზე მხნეობა,  
და ჭაბუკური იმედებით მეფსება გული.  
ნება მარად სცვლის მიზანთ და წესს, — და საქმენი-კი  
ერთ ღერძის ირგვლივ ტრიალებენ ჩვეული ფორმით.  
სათნო ბუნებავ, მარად ნორჩი, მარად ცვალებად  
მშვენიერებით შენ პატივს სცემ ძველ ადათ-წესებს.  
და რასაც ბავშვი, ყრმა-ჭაბუკი განდობს, გაბარებს,  
მარად აცოცხლებ და ინახავ ერთგულ ხელებში.  
უღიადესი მკერდით ჰკვებავ ცვალებად ჰასაკს.  
შენი უცვლელი ლაყვარდის ქვეშ, წარმტაც მდელიში  
ენტებთან მახლობელი და უცხო ტომნი!  
შებე—მზე დიად ჰომიროსის ჩვენც გვაფრქვევს ღიმილს!

თარგმანი ხარიტონ ვარდლოშვილისა.

# გეოცხე საუკუნის ინგლისელი პოეტი

## ჟამის სტიქი

მალეა გორაკზე თამაშობდა კენტავრი სამი!  
ჩლიქი ასწია უცებ ყველამ და შემომხედა  
და დაჰკრა ფეხი!  
და დაჰკრა ფეხი! და დაყნოსა ჰაერი წამით.  
ცეცხლით აევსო მათ ძროხა ამაყი მეტად,  
ვინებით და მეხით!  
ვინებით და მეხით! მაგრამ უცებ ძახილით შესდგნენ,  
ასწიეს თავი, შეარხიეს და ვით ცხენები  
შებრუნდნენ წრეში!  
შებრუნდნენ წრეში! სასე სწრაფვით ისკუბეს შემდეგ,  
გადაიქროლეს გზა ტყისაკენ ჩქარი კენებით  
და გაჰქრნენ ტყეში!

## ღეირღრე

არ წააკითხოთ არასოდეს ეს ლექსი ქალებს!  
იგი ეკუთვნის კაცებს, შემდეგ მათ ვაჟიშვილებს,  
და იმათ ვაჟებს!  
გვიახლოვდება ჩვენთა გულთა გადაშლის ეამი,  
როცა ვიგონებთ ჩვენ ღეირღრეს და იმის ზღაპარს,  
ბაგეს, მტვრად ქცეულს.  
ოდესღაც ქვეყნად ის ვიღოდა: და ვაჟკაცები  
ეუბნებოდნენ თავის სათქმელს მის ხელს და თვალებს,  
ის მიუგებდა.  
ორმა ათასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ის  
იყო ლამაზი და სთელავდა ბალახს მღელვარეს,  
ხედავდა ღრუბლებს.  
ორი ათასი წელიწადი! ბალახიც ლელავს,  
ღრუბლებიც სჩანან, როგორც მაშინ, როცა ღეირღრე  
ცოცხალი იყო!  
მაგრამ მას შემდეგ ქალი აღარ დაბადებულა  
მისებრ ლამაზი: მისებრ ტურფა არ გაჩენილა

ასულთა შორის.

დე, გადგენ განზე ვაჟკაცები და ივალალონ!

შისი აღარვის შეეძლება აწ სიყვარულს

მიჯნურად ყოფნა!

ვერვინ დაეცეს მის წინაშე!.. ველარვინ უთხრას —

რა შეიძლება განა ეთქვას? მისთვის სათქმელი

აღარ არს სიტყვა!

ახლა ის მხოლოდ ამბავია ცეცხლთან სათქმელი!

აწ მეგობრობა იმ საბრალო დედოფალისა

აღარვის ძალუძს!

## ტ. ე. ჰაუზი

### შემოდგომა

შემოდგომაზე აგრილდა ღამით.

გამოველ გარეთ.

ვხედავ: ღაჟღაჟა მთვარე ღობეს გადმოსწოლია,  
როგორც წითური სახის ფერმერი.

თავი დავუკარ, ლაპარაკი არ დამიწყევია.

გარს კაფანდარა ვარსკვლავები შემოხვეოდნენ,

ფერგამკრთალები, ქალაქელი ბავშვების მსგავსი.

### თეზის სანაპირო

(დაცემული ჯენტომენის ფანტაზია ცივ, უამინდო  
ღამეს).

ოდესღაც მტირალ ჭიანურებში ვეძებდი ექსტაზს  
და ქვაფენილზე ქუსლთა ელვაში.

ახლა კი ვხედავ,

რომ პოეზიის არსი თურმე ყოფილა სითბო.

ღმერთო, დაუშვი ცოტათი დაბლა

ვარსკვლავთა ჩრჩილით შეჭმული საბანი,

რომ სიცივემ და წვიმამ ძილი აღარ გამიფრთხოს.

## უოლტერ დე ლა მარ

### ნაკოლეონი

„რაა სამყარო, ჯარისკაცებო?

იგი ვარ მე;

მე — ეს მარადი თოვლეთი არი,

მე — ჩრდილოეთის ცა არი ეს

ჯარისკაცებო, — ეს მარტოობა,

რომლის გზაზედაც ჩვენ მივიჩქარით,

ვარ მე.

# ს რ ი ბ ი ა კ

აკაკი გაჩეჩილაძე

## ლაპით კლდიაშვილი\*)

8.

ასეთივე პერსონაჟებია იმამაკაცთა შორის—კირილე მიმინეიშვილი და ლევან ქამუშაძე.

კირილეც დაუშრეტელი წყაროა სიხალისის. მართალია, ეკვირინესებური მზრუნველობა და გარჯა ოჯახისათვის მას არ აზნისათებს (ამ საქმეს მისი ცოლი უძღვება), მაგრამ იგი ნამდვილი განსახიერებაა ცხოვრების სიხარულისა. თუმცა მასში ბევრი ფუქსავატობაა, მაგრამ ყოველი მისი გამოჩენა მოთხრობაში სიცოცხლის ზეიმს მოწმობს. კირილე მოქეიფე, მოჩხუბარი აზნაურია; მას ჩოხას დაუფლეთენ ქორწილში, მაგრამ ამას არაფრად აგდებს; უკანასკნელად, ჯიმშერის სახლში მისული, ის ქირვეულობს, მოითხოვს ღვინოს, ილანძღება და როცა ესეც ვერ გასჭრის, — გულმოსული ეზოში გავარდება, ხმალამოღებული ერთს დავიდარაბას ასტეხს, მოახტება ცხენს და გაჭრება. მკითხველი იმანსოვრებს დ. კლდიაშვილის ამ ერთადერთს, სიცოცხლით საცხე, მოქეიფე, მუდამ მხიარულად განწყობილ აზნაურს.

კირილეს სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს ლევან ქამუშაძე (მოთხრობიდან „ქამუშაძის ფაქირება“). ის კაროყნას ენათესავება თავისი დუმილით, როგორც მხიარული კირილე მოხუც ეკვირინეს—თავისი ოპტიმიზმით...

ლევან ქამუშაძე ერთერთი მეორე ხარისხოვანი პერსონაჟია მოთხრობაში. ის არის ბიძა მოთხრობის მთავარი გმირის, ოტია ქამუშაძისა; ცხოვრობს ცალკე თავისი ცოლით; მასთან არავენ დაიარება, რადგან უკიდურესი ღარიბი აზნაურია; როცა მისი ბიძაშვილი, ოტია, ქალაქიდან მოიყვანს ქალს ცოლად, ოტიას დედა ეკვირინე შეგნებულად არ უშვებს მასთან თავის რძალს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს თვალს აუხეხს სონიას ქმრის ნათესავების სილატაკეზე; ეკვირინე ცდილობს შთააგონოს რძალს, რომ ლევანის ოჯახში იმიტომაც არ მიისვლება, რომ ამ უკანასკნელის ცოლი, ეფროსინე, მანვე სულია, მკითხაობს და სოფელში გავრცელებულია ხმა მისი კუდიანობის შესახებო.

ერთხელ სონიას გზაზე შეხვდება ეს „კუდიანი“ ქალი, ნამდვილად კეთილი მოხუცი დედაკაცი და ბოდის იხდის—ვერ დაგვატიყეთ, მაგრამ რით გცეთ პატივი, საშინელ გაჭირებაში ვიმყოფებითო. თან სთხოვს, „...ნუ დაგე-

\*) დასასრული იხ. „ჩვენი თაობა“ № № 3, 4.



კარგავ, შენ გენაცვალე, ამ ჩვენი გაჭირვებულობისათვის... შენ მაინც დაადგი შენი ბედნიერი ფეხი შენი ბიძის ქოხში... ნახე გაჭირვებული, გაახარე, დაგლოცავს, დაგმადლებს... საწყალი ველარსად შიღის-მოდის... რცხვენია ქვეყნის, ასე საწყლად რომ ჩავარდა და უბედურად... სახლს გარედ ველარავის ეჩვენება...“

სონიაც გადასწყვეტს ინახულოს ლევანის ოჯახი, მიუხედავად გაფრთხილებისა დედამთილის მხრივ. მას გამოუვებება ეკვირინე—„სახლის წინ გადმოხურულში რომ იჯდა, გაბერტყა კაბა მტვერისაგან და თავსაფრის სწორებით, მომღიმარი სახით შეეგება სტუმარს“.

სონია ხედავს უმწეობისა და სიღატაკის საშინელ სურათს.

„სახლის წინ მისავალი ისლით იყო გადახურული და დანარჩენი კი ყავრით. ყავარი მეტად გაშავებული იყო სიძველისაგან და ადგილ-ადგილ ჩამტვრეულიც იყო“.

სონია სამეფხე სკამზე ჩამოჯდება... შემდგომი თბრობისათვის სიტყვა დაუთმობთ ავტორს, რადგან ქვემოლმოყვანილი სცენის შინაარსის გადმოცემა შეუძლებელია, — იგი მთლიანად ნუანსებს ემყარება:

## 9.

„სონია დაჯდა. ეფროსინე შევიდა სახლში და კარი მოიგდო. ასე რომ სონიამ ველარ მოასწრო, შიგ შეეხედნა და დაენახა იჭაურობა. მან მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ამ ქოხის მეტი ეზოში არაფერი არა სჩანდა, სასიმიანდეც-ვი არსად იყო, სახლის ზემოტ შემშარი სიმინდი იყო, ჩალა უღონო, დაბალი. აქედან ჰქონდა ეფროსინეს გამოტანილი ეს სიმინდი, რომელსაც ის იყო არჩევდა.“

ცოტა ხნის შემდეგ ეფროსინე ისევ გამოვიდა სტუმართან და მას გამოჰყვა მალაის ტანის, ცოტათი ბეჭებში მოხრილი, მოხუცებული. ახალუხზე ყვირთელი თასმის ქამარი ერთყა და ზემოდან გაშლილი რამდენსამე ადგილას დაკრებული ჩოხა ეცვა; ახალუხის შესწინოლ საყვლოდან უჩანდა ქუჭკისაგან ძალზე გაშავებული პერანგი. მოხუცებულს მეტად სასიამოვნო პირისახე ჰქონდა, ყმაწვილ კაცობაზე ლამაზი კაცი უნდა ყოფილიყო. ეს იყო ლევან ქამუშაძე, ოტიას უფროსი ბიძა.

მან შეშინებული კაცივით, გადმოაბიჯა ზღურბლზე, გაუბედავად მივიდა წამომდგარ სტუმართან, უნახავ რძალთან, და ხელი ჩამოართვა; მერე თვალებზე გადაისვა მარჯვენა ხელი, შიიხედ-მოიხედა და უცბად წამოიძახა, თითქოს შოლოდ ახლა მოვიდა გონსაო:

— დაბრძანდით... დაბრძანდით, ბატონო — და ისევ მიყუჩდა.

ეფროსინე მისჩერებოდა ქმარს თვალებ აცრემლებული. სონია დაჯდა. ცოლის სიტყვაზე ჩამოჯდა ლევანიც.

— შენი რძალია, ლევან... შენ რომ ნატრულობდი!... — შემალეებული ხმით მიმართა ეფროსინემ.

— ვიცი!... წყნარად წაილაპარაკა ლევანმა.

— შენ რომ ნატრულობდი მაგის შეხედვას... ა, თავად მოვიდა ახლა შენს სანახავად!..

— ღმერთმა ყრველი სიხარული და სიკეთე ანახოს! ღმერთმა, ღმერთმა! — ხელები ალაპყრო მოხუცებულმა; მერე ისევ ჩაჩუმდა და გაბნეულად დაუწყო მზერა ხან ცოლს და ხან სონიას და ხმას აღარ იღებდა.

თვალ-ცრემლიანი ეფროსინე მიწაზე მორთხმული მისჩერებოდა ქმარს და თავსაფრის ყურით თვალებში ცრემლებს იწმენდა.

— ასეა, შენ დაგენაცვლე, სულ ასეა... დილიდან მოკიდებული საღამომდინ. ლამეც, ერთს წვიძინებს და მერე ისევ ნათლად უნდა გაათენოს. — ათრთოლებული ხმით უთხრა სონიას, მერე მიუბრუნდა ქმარს ისევ: — ხომ გააგებარდა, ლევან, ამის შეხედვა? ხომ გესიამოვნა?

— ჰმ!.. — გააქნია მან თავი პირზე ღიმილით, — ჰმ!.. — და ცოტა ხნის შემდეგ დაუ-  
მატა: — უკაცრავად ვარ ბატონო! მე უნდა შენახეთ... მომელოცნა, მარა... — და მან მხრე-  
ბი აიშმუშნა და წარბები ზევით ასწია და ისევ ჩაჩუმდა, ერთი-კი მარჯვენა ხელი გაშალა.  
ეფროსინემ ისევ თვალეზზე ცრემლები მოიწმინდა.

— აღარ არის, აღარ არის კაცი, შენ დაგენაცვლე! რა კაცი, რომ გენახა? — ხმა და-  
შვებით დაიწყო ეფროსინემ, რომელსაც თვალები მიაშტერა ლევანმა. — გაჭირვებამ ფიქრ-  
ში ჩააგდო, სირცხვილმა, ყველასთან დარცხვინილად რომ გრძნობს თავის თავის, გული მო-  
უხარჩა და რავარც ეხლა ზედაც, ასე მოაქცია. ბევრი ვებრძოლეთ სიღარიბეს, ბევრი ვით-  
მინეთ, ბევრი ვიმატადინეთ, მარა მაინც არაფერი გაგვეწყო... რაც დრო გადიოდა, უარესი  
და უარესი ამბები მოდიოდა ჩვენს თავზე. უმაცადინო კაცი არ ყოფილა, შენ გენაცვალე,  
მაგ საწყალი, მეც ცოტ-ცოტა შორიდან შემომდიოდა ხან ფულით, ხან ქათმით; კვერცხი,  
ღვინო, პური წამლის. ფასად და სამკითხაოში... მეც ვუწყობდი ამით ოჯახს ხელს... მარა  
ოჯახს ბევრი რამ სჭირია, ქალიშვილები გყავდა დასათხოვრები. ცოცხად აღარ მოვიცი-  
დეთ, თავ-თავისი ბედი ყველას მივუჩინეთ ჩვენს წესზე და რიგზე... ვივინდარას, შენი ჭი-  
რი შემეყარა, ვერ ჩავუგდეთ შვილი... ამას ბევრი მოუნდა, ვფიქრობდით, მერე რამეს ვი-  
შოვიდით, მარა კი ველარაფერი ვიშოვეთ... საშოვარიც რომ აღარ არის — რა უნდა გვეშო-  
ვა! შვილები ჯავრით კინადამ გადაგვერიენ, დაჭკრეს ხელი და ერთი აქეთ გადავარდა,  
მეორე იქით, ვითომ სოფლის გადაღმა, ეგებ ეშოვათ რამე, სახლში რომ აღარაფერი ეტუ-  
ლებოდით... სად არიან, ჩვენთვის გაუგებელი შეიქნა!... მოვალეებმა რომ შეგვაწუხებს, ცო-  
ტა რივიანი სახლი გვედგა, ის გავციდეთ, მოვალეები ცოტაზე შევაწყნარეთ ვითომ და  
ჩვენ ამ ქოხში შევებინეთ დროებით, ჩვენის ფიქრით, მარა ამაში უნდა დავლით ჩვენი  
წუთი-სოფელი, ცხადია. ა, შვილო, შეიხედე, რა საცოდავად ცყრივართ! ჩვენთვის არც სა-  
ხურავია, არც სფარავია... თითქო გარეთ ვეყაროთ! შენ შესმენილი ოჯახისშვილი რო ხარ,  
შვილო, შენი ბედნიერი თვალთ რომ ამ ჩვენს ამბავს შეხედავ, შენ მაინც ხან-და-ხან შე-  
გიცოდებ და შეგვიბრალებ! თვარა უიმედოთ ვართ, შვილო, უიმედოთ! ქალშვილებია  
და ვერც ერთი გასახარელ ცხოვრებას ვერ ეღირსა, იმათგან რა შემწობას და ხელისწყო-  
ბას მოვლოდე! ვაჟიშვილები იყვნენ და ორივემ ასე მოგვიძულა, რომ მშობელს კი არა,  
ასე ძალს არ მოიძულებენ, შენ გენაცვალე, ძალს არ მოიძულებენ!

ლევანი უკმაყოფილების ნიშნად ამაზე შეიშმუშნა და წყენის გამოსატყეღად წამო-  
იძახა: „ჰმ! ჰმ!“

— ეგებ არც იმათ ჰქონდეთ რამე, ბიცოლა? — სთქვა სონიამ.

— რა ვიცი, შვილო! აბა რითი ირჩენს თავს, ასე ცოლშვილიანად რომ გადავიარდა  
ჯერ უფროსი და მერე უნტროსიც ასე ამბის უკითხავად! ჩვენ რომ გვიყურო, ამას იტყვი,  
კაცის მკამელს უნდა შეეცოდოსო, და შვილმა მიგვივიწყოს?.. ა. ვარჩევ გამხმარ სიმინდს  
ყანაში თითო ტარობით და მომაქვს, დავკაკლაე და ეგება ვინმემ სამოწყალოდ წამილოს  
ეს ერთი კალათი წისქვილში დასაფქვავად. მრცხვენია, თავი მოვაწყინე ყველას დაფქულის  
თხოვნით... ჩვენთვის შვილო, არც საქმელი, არც სასმელი, არც წყალია, არც შეშა... ცხელ  
საჭამადს ეგებ ორ-სამ დღეში ერთხელ ვეღირსოთ, თუ არა და ცივ ჭადუნედ ეავდივართ,  
ჩემო შვილო! და ეფროსინემ ისევ ტირილი დაიწყო.

ლევანი გაყუჩებული იჯდა. ახლა მას თითქო არაფერი ესმოდა ეფროსინეს ლაპარა-  
კიდან, ისევ გულგრილად იმზირებოდა წინ.

სონია, გარეტებული იმით, რაც გაიგონა და რასაც თავისი თვალთ ხედავდა, ძლივს  
იმაგრებდა ცრემლებს. ამ სურათმა გული მოუკლა. ძლივს მოახერხა პასუხი ზივცა, ეფრო-  
სინესათვის, როცა ამან ისევ თავისი თავი შეაბრალა, სთხოვა, ხან-და-ხან ენახულა საცო-  
დაეი ბიძა.

— ეგებ შენთან მაინც ამოიღოს ხმა... ეგებ შენი შეხედვით გონს მაინც მოვიდეს,  
თვარა ეს უბედური ასე დავარდა, ასე დაეცა! ჯავრობს, დარდობს, რატომ მოგესწარი ამ  
დღესაო. ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკება... რა ექნათ, ალბათ, ასეთი  
ბედი გვექონებია უფლისაგან. ჯავრით და დარდით კაცი თუ სულ ხდება, თვარა რა საშვე-  
ლი ეძლევა, ჩემო გერიტო!... ელაპარაკები ამას, ვითომ ვამხნევებ, მაგრამ ვერასდერი ვერ  
შეგვამინე... ამ ბოლო დროს ასე მოიქცა, რომ არ უნდა კაცს შეახედინოს თავის თავზედ...  
რა ვუყო, რა მოვახერხო, ჩემო სინათლევ!... მაგის მამზერალი მეც ეტირი და ვეივი... აბა  
რა ექნა, რა შავ-წყალში გადავეარდე! ღმერთო, რა დაგიზავეთ ამისთანა! ვაიმე, ვაიმე,  
ვაიმე!

და მოხუცებულმა ქალმა ისევ ტირილი დაიწყო. ლევანი ისევ მიაჩერდა შტირალს, წამოდგა, მიბრუნდა, ორი ბიჯი გადადგა სახლში წასასვლელად, მარა თითქო რაღაც გაახსენდაო, უცებ უკან გაბრუნდა და ისევ დაჯდა თავის ადგილას.

სონიამ ვედარ გაუძლო ამით ყურებას, გულ-ამღვრეული, სასოწარკვეთილებით წამო-დგა წასასვლელად.

— მიბრძანდები? — უთხრა ლევანმა.

— უნდა გაიხლოთ, — მიუთო ათრთოლებული ხმით სონიამ.

— მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ! ღმერთმა ბედნიერად გამყოფოს, ბიძიკო! ღმერთმა ყოველივე მწუხარება გაშოროს! მადლობელი ვარ ნახვისათვის! — მოხუცებული თითქო გამოფხიზლდაო, რომ შეგებენათ, რამდენზედმე კიდევაც გაჰყვა მიმავალ სონიას, მერე ერთი შედგა, უცებ მოტრიალდა, გაბრუნდა სახლისაკენ, წავიდა აჩქარებული ნაბიჯით, შევიდა შიგ და კარებიდან დაუწყო მზერა სონიასა და ეფროსინეს\*.

## 10.

მოყვანილი ნაწყვეტის დასაწყისში სონია ვერ ახერხებს ლევან ქამუშაძის სახლში შეხედვას. ქვევით კი თვითონ ლევანის ცოლი ეუბნება მას „ა, შევილო, შეიხედე, რა საცოდავად ვყრივართ, ჩვენთვის არც სახურავია, არც საფარავი... თითქო გარედ ვეყართო...“ ამ დეტალებით ხაზგასმულია უკიდურესი შინაგანი სიცალიერე თვითონ სახლის—იქიდან მხოლოდ ღამე, სიბნელე იტყირება.

ამ ქოხიდან გამოდის ლევან ქამუშაძე.

მისი გარეგნობის ხატვის დროს მწერალი არ აღნიშნავს რაიმე საზარეულ ნიშანს, არა აქვს გამოყოფილი ისეთი პლასტიური წერილმანი, რომელიც ამ პერსონაჟის შინაგან ქვეყანას შეეფერებოდეს. პირიქით — „მოხუცებულს მეტად სასიამოვნო პირისაზე ჰქონდა“. დ. კლდიაშვილი სრულიად შეგნებულად ხატავს უბრალო აზნაურის ზომიერ გარეგნულ ნიღაბს და როგორც სხვა ეპიზოდებიდან ვეგბულობთ—ეს აზნაური კეთილი ადამიანიც ყოფილა. საერთოდ კი—ლევან ქამუშაძე უფერული, ჩვეულებრივი ადამიანია.

მაგრამ მას უცნაურად უჭირავს თავი გამოჩენისთანავე. სახლის ზღურბლზე ჭადმობიჯებისას ის თვალბზე გადაისვამს ხელოს (მკითხველი შემდეგ მისი ცოლის სიტყვებისაგან გაიგებს, რომ ლევანს ზშირად სძინავს) და გონს მოსული ესალმება სტუმარს — „დაბრძანდიო... დაბრძანდიო. ბატონო! და ისევ მიჩუმდა“...

ამის შემდეგ იწყება ეფროსინეს საუბარი ქმართან და სონიასთან, რომლის დროს ლევანი მხოლოდ მოკლედ უპასუხებს ხოლმე ცოლის შეკითხვებზე, მეტწილად კი სდუმს. როცა ცოლი აცნობს მას რძალს, ისმის ლევანის დასტური:

„— ვიცი!.. წყნარად წაილაპარაკა ლევანმა“.

მან რამდენიმე სიტყვით დალოცა სონია. „... მერმე ისევ ჩაჩუმდა და და გაბნეულად დაუწყო მზერა ხან ცოლს და ხან სონიას და ხმას აღარ იღებდა“.

მკითხველი თითქოს კიდევ ელის, რომ ლევან ქამუშაძე ბოლოს ალაპარაკდება, გვამცნობს თავის ტკივილს თუ სიხარულს, მაგრამ ამაოდ. ცოლი ეკითხება:

„— ზომ გაგებარდა, ლევან, ამის შეხედვა? ზომ გესიამოვნა?“

„— ჰმ!.. გაიქნია მან თავი პირზე ღიმილთ,—ჰმ!.. და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა — უკაცრავად ვარ, ბატონო! მე უნდა მენახეთ, მომელოცნა, შარბ...— და მან მხრები შეიშმუშნა და წარბები ზევით ასწია და ისევ მიჩუმდა. ერთი-კი მარჯვენა ხელი გაშალა“.

როგორც ვხედავთ, ლევანის სიჩუმე აქ ხაზგასმულია ავტორის მიერ მაშინ, როცა „ღარისპანის გასაჭირში“ კაროენას სიჩუმე თვითონ მკითხველმა უნდა იგრძნოს. მაგრამ ლევან ქამუშაძის დუმილი უფრო ღრმაა, უკეთ, მასში მეტია სიცარიელე, ისეთივე სიცარიელე, როგორც მის ყავარჩაშავებულ ქოხში გამეფებულა.

ეს არი ფლეგმა, გამოწვეული სიმშობით, გაჭირვებითა და მარტოობით.

ამის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ეფროსინეს სიტყვებიდან. როგორც თვითონ ღარისპანი ახასიათებს კაროენას, ისევე აქაც—ცოლი თავის ქმარს:

„— აღარ არის, აღარ არის კაცი, შენ დაგენაცვლე! რა კაცი, რომ გენახა!“ — ხმადაშვებით დაიწყო ეფროსინემ, რომელსაც თავალები მიაშტერა ლევანმა. — გაჭირვებამ ფიქრში ჩააგდო, სირცხვილმა, ყველასთან დატყვევებულად რომ გრძნობს თავს, გული მოუხარჩა და რაეარც უნდა ხედავ, ასე მოაქცია...“ შემდეგ ეს მოხუცი ქალი დაწვრილებით აცნობს სონიას ქმრის ბიოგრაფიას: ლევანს ბევრი უბრძოლნია სიღარიბესთან; ქალიშვილები დაუთხოვებიათ და მათს მზითევს წაუღია ყველაფერი; ვაჟიშვილებს აღარ მოუსურვებიათ ღარიბ ოჯახში დარჩენა და გადავარდნილან; „სად არიან, ჩვენთვის გოგუბელი შეიქნაო“ — წუწუნებს ეფროსინე, და ბოლოს, როცა თავის ორ ვაჟს იგონებს და საყვედურობს—„ორივემ ასე მოგვიძულა, რომ მშობელს კი არა, ასე ძაღლს არ მოიძულებენ, შენ გენაცვალე, ძაღლს ორ მოიძულებენ“—ლევანი კმაყოფილების ნიშნად ამაზე შეიშმუშნება და წყენის გამოსათქმელად წამოიძახებს—„ჰმ! ჰმ!“ მკითხველმა თვითონ უნდა არკვიოს, ვის მიემართება ლევანის წყენა—ცოლს, რომელიც შვილებს აუვათ იხსენიებს, თუ თვითონ მის ვაჟებს, რომლებმაც სიბერის ეპოს უბატონოდ მიატოვეს მამა. მაგრამ აქ ყველაზედ საინტერესო ის არის, რომ ლევანის უსიტყვო ყმული („ჰმ! ჰმ!“) მშვენივრად ადასტურებს მის შესახებ ცოლის ნათქვამს — „ასე ძაღლს არ მოიძულებენო“.

მეორე მნიშვნელოვანი დეტალი ჩვენს მიერ ხაზგასმულ სცენაში ის არის, რომ ლევანი ცოლს მიაშტერდება საუბრის დროს. ეტყობა, იგი ისეა შეჩვეული თავის თავზე ერთიდაიმავეს მოსმენას რომ უკვე აღარ უშლის ხელს ცოლს ლაპარაკის დროს, პირიქით, ისევე უსმენს მას, როგორც სტუმარი. ლევან ქამუშაძეს შეუღლისათვის დაუთმია საკუთარი მდგომარეობის დახასიათება სხვასთან, უცხოთან, თვითონ კი სდუმს. იგი თითქოს ინდიფერენტულადაც არის განწყობილი იმ სიტყვებისადმი, რომელსაც, ალბათ, ხშირად ისმენს ხოლმე ცოლისაგან თავის თავზე.

მაგრამ დ. კლდიაშვილი ამ ფსიქოლოგიურ განწყობილებას საკუთარი რემარკებით არ გადმოგვცემს, — პერსონაჟის შინაგანი პორტრეტი მას შესრულებული აქვს ფლეგმის გარეგნული დეტალების ხაზგასმით:

„ლევანი გაყუჩებული იჯდა ახლამას თითქო არაფერი ესმოდა ეფროსინეს ლაპარაკიდან, ისე გულგრილად იმზირებოდა წინ“.

დაკვირვებულ მკითხველს შეუძლია სრული სისრულით წარმოიდგინოს ამ აბზაცში ფლეგმაზორიული იმერული აზნაური!

დ. კლდიაშვილს მშვენივრად ესმის ფასი მის მიერ ასე ბრწყინვალედ, აქნადა და თავდაპირილად, გასაოცრად დახატული სურათისა და სავსებით დაჯერებული შენიშნავს:

საონია, გარეტებული იმით, რაც გათვონა და რასაც თვალით ხედავდა ძლივს იმაგრებდა ცრემლებს ამ სურათმა გული მოუკლა“.

მაგრამ სურათი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

რომ სიმშლი, გაჭირვება და მარტოობა ანვითარებს თვითანალიზს, დაფიქრებას საკუთარ ბედზე, გარეშე ფატალური კანონების წინაშე უმწეობის შეგნებას და ამის გამო თავის თავში ჩაყურვას, — ეს შესანიშნავად იცის დავით კლდიაშვილმა. ეფროსინე ამბობს თავის ქმარზე: „ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკებაო“. უკიდურესი სუბიექტივიზმი ადამიანისა ყოველთვის მხილდება ხოლმე არაჩვეულებრივ მდუმარებაში სხვასთან და საკუთარ თავთან საუბარში. ძალიან ხშირად ეს ავადმყოფობა იღებს ფსიქოლოგიური ანომალიის სახეს. ფლეგმაორეული ადამიანები, თავისთავში ჩაყურულნი ან დიდი მწუხარებისაგან გაოგნებულნი ვერასოდეს ვერ ახერხებენ კარგად საუბარს სხვებთან, რადგან ასეთი საუბრისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყურადღების თანაბარი გაყოფა, მისი მომართვა სხვისი ლაპარაკის გულდასმით მოსასმენად. „განბნულად მომზირალთათვის“ ამის მოხერხება ყოველთვის თავისთავზე ძალდატანებას მოითხოვს.

ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რათა კარგად იქნეს ათვისებული დავით კლდიაშვილის მიერ შესრულებული სურათი, რომლის შინაარსი მთლიანად ქვეტექსტშია ჩატანილი და რომელიც ავტორის თხრობაში ნუანსებზე, უთქმელ ხარვეზებზეა აგებული. ამ ნუანსების გახსნა მკითხველისათვის მიუზღვია ავტორს.

„ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!“ — ამ უმწეო ამოძახილით ამთავრებს ლევანის ცოლი სონიასთან თვისი ოჯახის უბედურობის თხრობას და მოაწყვება ტირილს.

„...ლევანი ისევ მიაჩერდა მტირალს, წამოდგა, მიბრუნდა, ორი ბიჯი გადაადგა სახლში შესასვლელად, მარათითქო რაღაც გაახსენდაო, უცებ უკან გამობრუნდა და ისევ დაჯდა თავის ადგილას“.

პირველი შეხედვით ლევანის ეს უცნაური მოქცევა მას გიჟს ამსგავსებს. მართალია, მასში უკვე მუშაობს ავადმყოფობის ელემენტი, მისი ბუნება სულიერი კატრაციის საზღვარზეა მდგარი, — მაგრამ მოყვანილ აზვაცს აქვს თავისი, ადვილად ასახსნელი, შიფრი და ის უნდა წაიკითხოს მკითხველმა:

ლევან ქამუშაძეს, უცუველია, მობეზრიდა ცოლის მოთქმა; შესაძლოა ამ მოთქმამ გააღიზიანა მისი ის წერვი, რომელიც აიძულებს მას თავისთავთან ყოფნას, თავისთავის უხმო გამოტირილს; ლევანი გადასწყვეტს ისევ სახლში შევიდეს, მაგრამ უცებ გაახსენდება, რომ აქ სტუმარი ზის, პირველად მისული მათთან, და ის კვლავ თავის ადგილს უბრუნდება.

„სონიამ ველარ გაუძლო ამათ ყურებებს, გულ-ამღვრეული, სასოწარკვეთილებით წამოდგა წასასვლელად“.

სურათი მთავრდება გასაოცარი აზვაცით:

„მოხუცებული თითქო გამოფხიზლდაო, რომ შეგეხედნათ, რამდენზედმე უბედურად გაჭყვა მიმავალსონიას, მერე ერთი შედგა, უცებ მოტრიალდა, გაბრუნდა სახლისაკენ, წავიდა აჩქარებული ნაბიჯით“.

შევიდა შიგ და კარებიდან დაუწყო მზერა სონიასა და ეფროსინეს.

ლევან ქამუშაძე გამოათხიზლა იმის შეგნებამ, რომ მალე უნდა დაუბრუნდეს თავისთავს, თავის ფლეგმას, თავის ბნელ ქოხს, საიდანაც იგი, როგორც მორჩენება, გამოჩნდებოდა ხოლმე დღის სინათლეზე. დიდმა უბედურებამ მას იმდენი შინაგანი ენერგიაც კი არ დაუტოვა, რომ სტუმარი ჭიშკრამდე მიაცილოს. ლევანის უაღრესად ზრდილობიანი ადამიანია, მაგრამ მაინც მიატოვებს რძალს შუა გზაზე, უცბად მიტრიალდება, დადგება თავისი ცარიელი სახლის ზღურბლთან და იქიდან იცქირება ნამძინარევი თვალებით... თავის სახლსავით ცარიელი და ბნელი თვალებით, არაფრის მთქმელი გამომეტყველებით!

დავით კლდიაშვილი აქ აღწევს აბსოლუტურ ოსტატობას. ფსიქოლოგიური ზატვის მხრივ ახალქართულ პროზას ბევრის სწავლა შეუძლია ასე ფაქიზად ნუნასირებული ადგილებისაგან.

## 11.

ლევან ქამუშაძე კიდევ ორჯერ ჩნდება მოთხრობაში, მაგრამ არც ერთხელ არ უჩივის ვისმე თავისი ცხოვრების გამო. ის არ საყვედურობს სხვებს ან საკუთარ ბედს სასიკვდილო აგონიის დროსაც.

მეორედ ის ჩნდება მაშინ, როცა მისი ძმა ომანი მიუყარდება სახლში და გამოითხოვს ეფროსინეს, რადგან ამ უკანასკნელის კუდიანობას აბრალებს თავისი ვაჟის ავადმყოფობას. გაღებულ სახლიდან ისმის მისი ხმა:

„—რა გინდათ!? — გადმოძახა ერთი, ღონიჯშემოყრილმა, წელში გამართვით ლევანმა, — რა გინდათ?! — შეუყვრა წყრომით და, მეტის ჯავრისაგან ათრთოლებული, სიტყვას რომ ველარ ახერხებდა, შერჩა ერთ ადგილას გაქვაბულივით“.

ლევან ქამუშაძე არ გადმოიდის ზღურბლის გადმოღმა, მას არ სურს თავისი ბნელი საკანის დატოვება.

მესამედ და უკანასკნელად დ. კლდიაშვილი აღწერს მას სარეცელზე მდებარეს. „სკამლოგინზე მწოლიარე, აღარც-კი სჩანდა საბნის ქვეშ გაფთოებული-აბურძგენილ თავის მეტი. ღრმად ჩავარდნილი თვალები ხანდახან გამოიხედავდნენ, მოევლებოდნენ მის გარშემო მდგომთ და ისევ დაიხუჭებოდნენ“.

მასთან მიდიან ნათესავები—მათ შორის ეკვირინე, სონია და ოტია ქამუშაძეები. შეკითხვებზე ლევანი უპასუხებს მშვიდათ და აუღელვებლად. არაერთარი სამღურავი არ ისმის მისგან:

„სიკვდილი სჯობდა, რძალო!... სიკვდილი!...“ — ეუბნება იც ეკვირინეს. ლოცავს სონიას და შემდეგ:

„მისი ტუჩები კიდევ ცმაცტობდნენ. ალბათ ის რაღაცას ამბობდა კიდევ, მაგრამ სრულიად მისუსტებული ზმა აღარ ისმოდა და ამასთანავე თვალები ისევ მიხუჭა. —

ისევ სიჩუმე. ისევ შეკავებული ქეთინი ისმოდა მხოლოდ.

— ნეტავი მალე მაინც სული გეყრებოდეს... წვალობს, სხვა არაფერია! — გამწარებით წაილაპარაკა ეფროსინემ და გამხდარ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა“.

ლევანი თავის ძმას კითხულობს.

„კარების ზღურბლზე ომანმაც გადმოაბიჯა. იგი მიუახლოვდა მომაკვდავს, მოიგლიჯა თავიდან ქუდი და ათრთოლებული ხმით ჩასძახა ძმას:

— ლევან!.. ლევან!.. რას შერები, კაცო?.. რავე ხარ?

ლევანმა გაახილა თვალები და ხმა-ამოუღებელიც მიაშტერდა თავზე მდგომ ძმას.

— რას შერები, კაცო? — გაიმეორა ომანმა.

— ვკვდები, ძმაო!.. მადლობელი ვარ, მადლობელი! — ცოტა ხნის გაჩუმების შემდეგ დაუმატა მან.

ომანი შერია თავის ადგილს ხმა-გაკმენდილი.

— მშვიდობით... მშვიდობით, ავო კაცო!.. აწი მაინც ტკბილად... ტკბილად იყავით!.. ეფროსინე! უბედურო... ომან... თუ ძმა ხარ... კმარა, იცით!.. სირცხვილია.. კმარა, რაც გვინახავს.. თქვენ იცით... კმარა, კმარა!..

ომანის თვალბუზე ცრემლები ბრწყინავდნენ. ეშინოდა ხმის ამოღება, რომ იქაურობა არ გაეყრუებინა თავისი ძლიერი, გულმკერდიდან ამოხეთქილი ხმით.

სახლში კიდევ შემოვიდა რამდენიმე ქალი და კაცი: მომსვლელები თანდათან ემატებოდნენ. ამ გამომშვიდობებაში ისე ამოხდა სული ამ მოხუცებულს, რომ ვერც კი გაიგეს. იგი მიიცვალა წყნარად, მშვიდობიანად, უშფოთველად<sup>4</sup>.

სიკვდილი თითქოს ბუნებრივი გაგრძელებაა ლევანის დაცარიელებულ ცხოვრებისა, მისი სიჩუმის!

სიკვდილი აქ ნაჩვენებია ისევე ძუნწი ფერებით, როგორც პერსონაჟის ფლეგმა და ფსიქოლოგიური სიკალიერე!

ასეთია ხვედრი დ. კლდიაშვილის აზნაურებისა.

„სონია მარტოდ იყო ოთახში და მართლაც მოწყენილი მისჩერებოდა მუთაქაზე მიწოლილი, კვამლისაგან გაშავებულ ოთახის დაბალ კედელს. ეს ყოველმხრივ მარტოდ ყოფნა იმ სიჩუმესთან, რომელიც მის გარშემო სუფევდა, ეს დაბალი დახრივნილი ოთახი, სანახევროდ ჩამობნელებული ყოველივე ეს სულს უბუთავდა მას და გულს უწუხებდა. იგი წამოდგა და ნელის ნაბიჯით მივიდა კარებთან, კარის ჩარჩოს მიაწვა და ეზოში მზერა დაიწყო. კარგა ხანს იდგა ასე სონია, მაგრამ ვერც იმ სურათმა, მის თვალწინ რომ იშლებოდა, თავისი სილამაზით გული ვერ გაუხსნა და სევდა ვერ გადაუყარა. ეს მიყრუებულობა — მივარდნილობა უფრო უძძიმებდა გულსა და აღონებდა.

— ღმერთო ჩემო ამ მიყრუებულებაში უნდა დავლიო ჩემი სიცოცხლე? — გაიფიქრა მან და რაღაცამ თითქო ყელში წაუჭიარო და თანვე თვალბუზი ჩამოებინდა“.

ასეთია პირველივე განცდა ქალაქიდან იმერეთის სოფელში, ქამუშაძისას რძალად მიყვანილი ქალისა.

აი რას ფიქრობს ეს პერსონაჟი მოთხრობის დასასრულს — ნახულისა და განცდილის გამო:

„მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია არც ცოლსა და არც ქმარს; სონიას თვალწინ ედგა ლევანი, საწყალი ეფროსინე, სეფე მარუშაძე ჩავით მხარზე, ტიტველა მისი შვილები, გადარეული სარდიონი, მოხითხითე პორფირი, გაჯუტებული მისი ძმა ბეგლარი და ქმარი ოტიაც. ესენი ირეოდნენ ერთმანეთში, ფუსფუსებდნენ, მის წინ ხმაურობდნენ, ვინ რას ჩასჩიინებდა, ჩასჩხაოდა და მოსვენებას არ აძლევდა ღონემიხდილს ქალს.

ამავე დროს გარეთ, ბალკონზედ გამხლართული ოტია, ძილ-გამფრთხალი, მიცვლებულ ლევანზე ფიქრში იყო გართული. ამ ფიქრში თავის თავი ეხატებოდა მომავალში: თუ იგი დროზე მართლაც აქაურობას არ გაეცლებოდა, თუ სხვაგან უფრო მოსახერხებელ ადგილს არ შეაფარებდა თავს, მასაც ასეთივე ბოლო ეწებოდა. ისიც გააქცევდა შვილებს აქეთ-იქეთ და თავის ბიძასაებრ მშვიერი, მწყურვალის, უპატრონო ასეთ საცოდაობაში დაღვდა თავის გაჯახირებულ სულს“.

ეს ნაღვლიანი ეზო და იქ მოფუსფუსე გმირები — თავიანთი ბედითა და უბედობით, — მიაგავენ შემოღვრამის ნაშუადღევს ანაზღაურულად მოვარდნილ ქარის მიერ ველიდან მაღლა ატაცებულ ფოთლების ორომტრიალს და ამავდროულების უხმაურო ცვენას ისევე მიწაზე.

ერთად ერთი ყვითელი ფოთოლი, რომელიც კიდევ დიდხანს ფარფატებს ჰაერში და გვიან ეცემა მიწაზე, ან სადმე ვენახის მესერს დაღლილი რომ მიეფინება ხოლმე, — მე მაგონებს როსტომ მანველიძეს, — ზანტ და მიზანტრობ იმერელ აზნაურს!

ის დიდხანს უმკლავდებოდა გარეშე ბედისწერას, სანამ რევოლუციის ქარმა არ იმძლავრა და ისიც არ დააწვინა.

და მაშინ მანაც გაიზიარა ლევან ქამუშაძის ბედი: სიკვდილის ფანტომს დიდხანია გაეშალა ფრთები და უღარაჯებდა ნაღვლიანი ქვეყნის ამ უკანასკნელ მგზავრს.

## 12.

დავით კლდიაშვილმა იშვიათის სიძლიერით დაგვიხატა ბინდნაკრავი ქვეყანა — დასახლებული გაჭირვებული ადამიანებით, მყარნიადგს მოკლებული აზნაურებით, რომელთაც შერჩენილი ამპარტაუნობა ხელს უშლით გლახებით ახლოს იყვნენ მიწასთან და რომელთა თავგადასავალის ფინალი ყოველთვის დრამატიული შუქით არის განათებული, — თავის უკუღმართ ბედზე მოლულლულე, ან მდუმარე ფლევმაში გადასული ადამიანებით დასახლებული ქვეყანა!

ამ ქვეყანაში იმდენი სევდა, მოწყენა და მარტოობაა, რომ მკითხველს ბოლოს აღარც ახალისებს პერსონაჟთა სასაცილო უხერხულობანი.

ამ მოწყენის შემგრძნობი გული და ასეთი ფერების ამთვისებელი თვალი. შერჩა მწერალს სიბერეშიაც.

„მე მგონია, — ჰყვება სერგო კლდიაშვილი, — რომ დავითი ახლაც ცოცხალი იქნებოდა, რომ არ სცოდნოდა საოცარი მოწყენა. დავითი მარტოობას ვერ იტანდა. დავითს მაღალი, ძლიერი ხმა ჰქონდა. ხმა პირდაპირ გულიდან ამოდებოდა. მარტოობის გრძნობა ნოერეოდა, ისეთი ხმით იწყებდა ყვირილს, რომ ხმა შორს ისმოდა. ყვიროდა გაბმით, გუგუნით. როცა ერთხელ ვკითხე, რად ყვირის ასე უცნაურად, გულაჩუყებით მითხრა:

— მ ა რ ტ ო ვ ა რ !“

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოწყენისა და მარტოობის ეს გრძნობა მწერლის ბუნებაში ჩაისახა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მან, ქამუშაძის რძალსავით, პირველად დაინახა საკუთარი ქვეყნის ღარიბი ეზოების, პატარა ადამიანების უნუგემო მდგომარეობისა და გაჭირვებათა ერთფეროვნება.

და ეს დიდი მხატვარი, დავით კლდიაშვილი, სიბერის ეამს ამაოდ აფრთხობდა ყვირილით თავის ქვეცნობიერებაში დაბუდებულ ლანდებს; შესუსტებულ მხედველობაშიაც ძველი იმერეთის შემოღვამის ნაშუადღევის ფერები ჩარჩენოდა.



## იძულებული ვასუხი\*)

ჩემს წერილს „ვეგენი ონეგინის“ თარგმანის შესახებ, რომელიც წარსულ წლის უზრუნალ „მნათობის“ მე-7 ნომერში იყო მოთავსებული, პუშკინის ამ რომანის მთარგმნელი გრიგოლ ცეცხლაძე ძალიან გაუცეცხლებია. ამ წლის სალიტერატურო გაზეთის მე-5 ნომერში ვრცელს წერილს მიძღვნის, რომელშიც მტუქსავს და მარიგებს, უვიცად მთვლის, აუგით მიხსენიებს და ამტკიცებს, ვითომ იმის თარგმანს ტყუილს წუნსა ვდებდე. მისი წერილი მეტად ჯამბაზურად არის შედგენილი და პასუხად არა ღირს, მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა თაობა, რომელიც ზურგს უკან მოგვდევს, შესაძლებელია შეაცდინოს ცეცხლაძის მრავალმა შემცდარმა მოსაზრებამ და ამიტომ ჩემ ზნეობრივ მოვალეობადა ვთვლი, ერთხელ და საბოლოოდ გამოვეხმაურო და იმის უმეცრებას ფარდა ავხადო.

ცეცხლაძე თავის წერილს იმითი იწყებს, რომ, მართალია „ГРОХОТ МУЗЫКИ“-ს მნიშვნელობა არ ვიცოდი და ლექსიკონიდან შევადომით ამოვწერე „მუსიკის ცხავად“, მაგრამ ეს უბრალო ლაფსუსია და სხვა არაფერი. ჩვენ-კი ბრალსა ვდებდით მთარგმნელს, რომ მან არც ის ენა იცის კარგად, რომლიდანაც უთარგმნია და არც ის, რომელზედაც აქვს გადმოთარგმნილი. ეს აზრი ცეცხლაძეს ლანძღვად მიუჩნევია, ჩვენ-კი გვეგონია, რომ თუ იგი მართალია, ლანძღვად არ ჩაითვლება, უმეცრების აღმნიშვნელია და ამას კი ახლაც დავამტკიცებთ.

„ვეგენი ონეგინის“ თარგმანში ჩვენ შევნიშნეთ, რომ ათმარცლოვანს ლექსში სამოცდახუთ ალაგას თერთმეტ და თორმეტ მარცლოვანი სტრიქონია გამოჩენული. ამის შესახებ აი რა პასუხს გვაძლევს გრიგოლ ცეცხლაძე: „ახნაზაროვს გაუგონია, ხმოვანი ასო ჰქმნის მარცვალსო, მაგრამ ის-კი აღარ სცოდნია, რომ არსებობენ ორხმოვანა მარცვლები, როცა ორი ხმოვანი ერთად ხვდება, ხშირად ერთი მათგანი გამოითქმის მოკლედ, მეორე გრძლად და ჰქმნიან ერთ მარცვალს. ამას ეწოდება დიფთონგი. ეს იცის მეშვიდე კლასის მოწაფეშე, მით უმეტეს ეს მშვენივრად იცოდნენ ძველმა პოეტებმა, ჩინებულად იციან ახლებშეცაო.“ და ამ თავის მეცნიერულ აზრის დასასაბუთებლად ორი მაგალითი მოჰყავს. პირველი — ა. ჰავკავაძის ლექსიდან ამოღებული სტრიქონი:

„ვაი დრონი, დრონი ნაგებნი მტკბარად,  
წარილტვენ, განჰქრენ სიზმარებრ ჩქარად“

და მეორე — ბესიკის ათმარცლოვან ლექსიდან: „სევდის ბალს“:

„რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,  
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე“.

და დასძენს: „აქ მოყვანილია ათმარცლოვანი ლექსები, სადაც თერთმეტ და ათხმოვანნი ტაეები მშვენივრად არიან რიტმიულად შეწყობილი და ვერავინ იტყვის, რომ მეტნაკლები მარცვალი იყოს, იმიტომ, რომ სიტყვებში „ვაი“ და „რა ია“ იძლევა დიფთონგს. ეს ორი პოეტი განსაკუთრებით იმიტომ მოვიყვანე, რომ ისინი ცნობილი არიან, როგორც ლექსის საუკეთესო ოსტატები და მუსიკალურ სმენის მქონენი. თანამედროვე პოეტებიდანაც მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ წერილის გაგრძლებას ვერიდებით. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ჩემს თარგმანში“.

\*) ბეჭდავს რა ამბ. ა. ახნაზაროვის წერილს, რედაქცია უფლებას იტოვებს უახლოეს ნომერში გამოსთქვას თავისი აზრი პუშკინის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის საკითხზე.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ამ ახლადმოვლენილ ენათმეცნიერის ეს ახალი აღმოჩენა. თურმე ჩვენს ახალ ქართულს სალიტერატურო ენას დიფთონგი ჰქონია და ჩვენ-კი, საბრალოს, ვერ გავგვიგია და ვერ შეგვიგინია. ცეცხლაძეს გაუგონია, ალია მომკვდარო და ის კი არ იცის, რომელი ალია ეს მკვდარი ალია. ამგვარად, ამ ახალი მეცნიერის აზრით, ლექსის ყოველ სიტყვაში, სადაც ორი ხმოვანი ასო ერთად ხვდება, დიფთონგი იბადება და ეს ორი ხმოვანი ასო ერთ მარცვლად უნდა ჩაითვალოს. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: შუალამე — (უა) უარჰყო — (უა) პოლია — (ია) ტატიანა — (ია), გილიო — (იო). ჩვენ-კი მოვასხენებთ თავმომწონე მეცნიერს, რომ ახალ სალიტერატურო ქართულს ენაში დიფთონგი არა არსებობს. რა არის დიფთონგი? დიფთონგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ორ-კეცს. ბერძნულს, ე. ი. ორის ხმოვანს ასოს ერთს მარცვალში მოქცეულს. ტანია, ტატიანა და კნიაჟნა, რომლებშიაც ის დიფთონგსა ჰხვდება, ასე იმარცვლება: ტა-ნი-ა, ტა-ტი-ა-ნა. უნი-აჟ-ნა, როგორც ამ დამარცვლიდან დაინახავთ, არც ერთს ამ სიტყვაში ორი ხმოვანი ასო ერთს მარცვალში არა გვხვდება. ქართულს ენაში, როგორც „აი“, ისე „ია“ შეიცავს ორ მარცვალს და არა ერთს და, მაშასადამე, დიფთონგს არ წარმოადგენს არც თითონ სიტყვები „აი“ და „ია“ და არც ის სიტყვები, სადაც ეს ორი ხმოვანი ასო ერთად გვხვდება. ამის დასარწმუნებლად ვურჩევთ გ. ცეცხლაძეს წაიკითხოს თუნდა ილია სიხარულიძის ქართული ენის გრამატიკა, საიდანაც ისწავლის, რომ „მარცვალს შეიძლება მხოლოდ ერთი ხმოვანი ბგერა შეადგენდეს, და რომ სიტყვა ილია ასე იმარცვლება ი-ლი-ა, აიღე ა-ი-ღე და სხვ.“ იხ. ილია სიხარულიძის „ქართული ენის გრამატიკა“ 1935 წ. გამოცემული, გვ. 15). სიტყვა ტატიანა ოთხ მარცვლოვანია და ასე იმარცვლება: ტა-ტი-ა-ნა. აქ ორი ხმოვანი ასო ერთს მარცვალში არა გვხვდება, დიფთონგისათვის-კი საჭიროა ორი ხმოვანი ასო ერთს მარცვალში. ახალს ქართულ სალიტერატურო ენას დიფთონგი არ მოეპოვება და ამის გამო ცეცხლაძემ ვერც ერთი თანამედროვე პოეტის ლექსში ვერ მოახსია დიფთონგი და თვალთმაქცურად თავს იბოდიშებს: „თანამედროვე პოეტებიდანაც მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ წერილის გაგრძელებას ვერიდებით“. ჩვენ-კი ვაცხადებთ, რომ რუსთაველიდან მოკიდებული დღევანდლამდე არც ერთს ქართულს მწერალს დიფთონგი არ უხმარია და თუ ვისმეს უხმარია, ეს სამწუხარო შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ის ორი მაგალითით, იკითხავს მკითხველი, რომელიც ცეცხლაძეს აქვს ამოწერილი ა. ჭავჭავაძისა და ბესიკის ლექსებიდანა? გავსინჯოთ ეს ორი მაგალითი: ა. ჭავჭავაძის მოყვანილ ლექსის სტრიქონში „ვაი დრონი, დრონი ნაგებნი მტკბარად“ უნდა იყოს: „ვაჰ დრონი, დრონი ნაგებნი მტკბარად“ და არა „ვაი“. ამ ლექსების პირველ გამოცემაში, რომელიც დაიბეჭდა 1881 წ. ექვ. ხელაძის სტამბაში, სწერია „ვაჰ“. ეს შორისდებული ჰიფ-თი ბოლოვდება, რომელიც ხმოვან ასოს არ წარმოადგენს, და ქართულ ანბანიდან დიდხანია განდევნილია. პროფესორი ჩუბინიშვილი თავის გრამატიკაში სწერს: „ასო ჰეი არ იხმარება არც თავად არც საშუალებად, არც ბოლოს ლექსთა, არ გამოითმის და არის სრულებით უსარგებლო ქართულს ენაში“-ო. ეს ასო ცეცხლაძეს ი-ნად ამოუწერია, ან შეიძლება სხვისი შეცდომა გადმოუწერია, რომ დიფთონგის ცრუ არსებობა გაამართლოს. ამგვარად ამ შორისდებულში „ვაჰ“ ერთი ხმოვანი ასოა და არა ორი და ამიტომ დიფთონგს არ წარმოადგენს. რაც შეეხება მეორე მაგალითს — ბესიკის მუხამბაზს, რომელსაც ცეცხლაძე „სევდის ბაღს“ უწოდებს, იგი დაბეჭდილია ბესიკის ლექსებში, რომელიც 1885 წელს გამოცემულია ზ. ქიქინაძის მიერ. ბესიკის ლექსების მთელს კრებულში ვერსად დიფთონგს ვერ მოსძებნით. მხოლოდ ამ მუხამბაზში, რომელიც ორმოცდახუთ ათმარცლოვან სტრიქონისგან შეესდგება, მე-19 სტრიქონში, სახელდობრ: „რა ია გამიწყრა ნარგისს მიემართე“-ო, თერთმეტი მარცვალია და ცეცხლაძესაც ეს სტრიქონი მოჰყავს მაგალითად და აქ „ია“ დიფთონგი ჰგონია, ნამდვილად-კი აქ აშკარა კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს დაბეჭდილი: „რა ია გაწყრა, ნარგისს მიემართე“. ეს ლექსი თუ სადმე ისეა დაბეჭდილი, როგორც ცეცხლაძეს აქვს აღნიშნული, ყველგან შეცდომად უნდა ჩაითვალოს და უნდა შესწორდეს. ეს რომ ასეა და „ია“ დიფთონგს არ წარმოადგენს, ამას ამტკიცებს ბესიკის იმავე ლექსის მე-10 სტრიქონი, სადაც აგრეთვე „ია“-ა მოხსენებული, მაგრამ ათმარცლოვანია: „იისა ვკითხე, მუნ იღვა ნა-ღი“ — დიფთონგი რომ იყოს, აქაც ბესიკს თერთმეტი მარცვალი ექნებოდა. ცეცხლაძე ამ კორექტურულ შეცდომას ჩასწივდებია და ამითი უნდა გაამართლოს „ეგვგენი ონგენის“ მა-ზინჯი თარგმანი. აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი „წყალწადებული ხაგსს ეჭიდებოდაო“. ეს ზინჯი თარგმანი. აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი „წყალწადებული ხაგსს ეჭიდებოდაო“. ეს ზინჯი თარგმანი. აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი „წყალწადებული ხაგსს ეჭიდებოდაო“. ეს ზინჯი თარგმანი. აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი „წყალწადებული ხაგსს ეჭიდებოდაო“.

არსებობს, თორემ თუ სიტყვა ტანიასა და ტატიანაში დიფთონგია, ამავე რომანის ყველა ის სტრიქონი, სადაც ეს სიტყვები გვხვდება, რატომ თვით ცეცხლაძეს თერთმეტმარცლოვანა არა აქვს. მაგალითად, იმავე თარგმანში ასეთ სტრიქონებს შეხვდებით:

- „ეძახდნენ უფროს დას ტატიანას“ 24/2.
- „ამრიგად ერქვა მის ტატიანა“ 25/2.
- „არ იტაცებდა ტატიანას გულს“ 27/2.
- „და დღე იმარჯვებს უკვე დიადი“ 28/2.
- „ზამთარში, როცა ღამის წყვედადი“ (იქვე).
- „მან საიდუმლოდ აღმოაჩინა“ 32/2.
- „გარდაიცვალა მოხუცი ქმარი“ 36/2.
- „ბატონი იყო იგი გულლია“ (იქვე).
- „ამა ლოდისა ქვეშე მარხია“ (იქვე).
- „მას დაუწერა ეპიტაფია“ 37/2.
- „ტატიანა სწერს, იდაყვ დაყრდნობით“ 21/3.

ამისთანა ადგილს ბევრს დავასახელებდით, მაგრამ ესეც ვგონებთ კმარა. ახლა ვკითხოთ ცეცხლაძეს — სადა სტყუის, იქ, სადაც თერთმეტ მარცვალსა სწერს და აი-ს და ია-ს დიფთონგათა სთვლის, თუ იქ, სადაც ათმარცვლიანი სტრიქონები აქვს, თუ „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“? ეს ვაუბატონი ზოგვან გლახუნა ტერენტეს ძეა. და ზოგვან ტერენტ გლახუნას ძე, სადაც როგორც მოუნდება და მოუხდება. არ გვინდა ახირებული მთარგმნელი გრიგოლ ცეცხლაძე და პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე წავაჩხუბო ერთმანეთს, თორემ პოეტ გრიგოლ ცეცხლაძეს რჩეულ ლექსებიდანაც მოვუყვანდით მაგალითს, რომ იგა-აი-სა და ია-ს დიფთონგათ არა სთვლის: ავიღოთ თუნდა ათმარცლოვანი ლექსი „სამშობლო მხარე“, სადაც პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე სწერს:

- „რომ გადაიქცა ნამდვილ ამბავად“
- „და ვჭვრეტთ დღევანდელ დარებს მზიანებს“
- „სამშობლოს ახალ ადამიანებს“
- „აღორძინების ვარდნი, იანი“
- „ამაღლებული ადამიანი“.

(იხ. რჩეული ლექსები გრიგოლ ცეცხლაძისა, ფედერაციის გამოცემა 1939 წ. გვ. 5). ახლა დავანებოთ ამ „ორ“ ცეცხლაძეს თავი, თითონ მოურიგდნენ ერთმანეთს და ჩვენ განვაგრძოთ მთარგმნელ ცეცხლაძის პასუხის განხილვა. \*)

ჩვენ ვუკუთინეთ, რომ ცეცხლაძეს ერთ ადგილას ათმარცვლის მაგიერ ცხრა მარცვლი აქვსო. ცეცხლაძე თავს იმართლებს: ეს მართალიაო. მაგრამ აქ გამოტოვებული მარცვლის მაგიერ ვარსკვლავია ჩასმულიო და ორიგინალშიცა ჯერ საბოლოოდ არაა გამოტოვებული როგორ უნდა იკითხებოდეს ეს: ზოგ გამოცემაში დაბეჭდილია: „Тут был заслуживший“ ზოგი გამოცემა ვარსკვლავების მაგიერ ფრჩხილებში სვამს: „პროლასოვს, ზოგი „საბუროვს“. მე კი ვარჩიე საბოლოოდ გამორკვევამდე გამომეტოვებინა ეს სიტყვაო. ჯერ ერთი, რუსეთის აკადემიის მიერ 1933 წ. აკადემიკოსის ცილკოვსკის რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოცემულს პუშკინის „ვევერა ონეგინ“-ში სწერია: Тут был Сабуров заслуживший. ამიტომ ცეცხლაძეს თამამად შეეძლო ვარსკვლავის ნაცვლად ეს გვარი ჩაეწერა. მეორე, ცეცხლაძე აქაცა სტყუის, თუ მართლა არ იცოდა „საბუროვი“ ჩაეწერა, თუ „პროლასოვი“ და რომელი-

\*) ეს წერილი უკვე დამთავრებული და რედაქციაში გასაგზავნად გამოზადებული მქონდა, რომ დაიბეჭდა და გამოვიდა საბლიტგამის მიერ გამოცემული ორი წიგნაკი: 1) ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩეული ლექსები ი. გრიშაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით და 2) ბესიკის ლექსები პროფ. ა. ბარამიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით. ამ წიგნებში ეს ორი საკამათოდ გადაქცეული, ვითომდა დიფთონგის შემცველი სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: „ვაჰ დრონი, დრონი ნაქებნი მტკბარად“ (იხ. ა. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები 1940 წ. გამოცემა, გვ. 28). „რა ია გაწყრა ნარგიზს მივმართე“ (იხ. ბესიკის ლექსები 1940 წ. გამოცემა გვ. 13). ამგვარად ჩვენს თავმომწონე მეცნიერს ეს ორი საბუთიც ხელიდან გამოეცალა და ახლა რაღას დაეყრდნობა? ალბათ იტყვის ლაფსუსითა და თავს ამითი მოიზოდინებს. ან იქნება სოჭვას არც ი. გრიშაშვილსა და არც პროფ. ა. ბარამიძეს მუსიკალური სმენა არა ჰქონიათ და ლექსის ოსტატები არა ყოფილანო.

ლაც რუსულს გამოცემის მიზნად, რატომ ყურადღება არ მიაქცია, რომ იმ რუსულს გამოცემაში ეს სტრიქონი, როგორც თითონვე აღნიშნავს, ასეა დაბეჭდილი „Тут был заслуживший“ და ვარსკვლავების მაგიერ „Сабуров“-ს ჩასწერთ თუ „Проласов“-ს რუსული ლექსი სწორედ გამოდის:

Тут был Сабуров заслуживший  
Тут был Проласов заслуживший.

ესე იგი ამ გვარების შესაფერად რუსულში სამის მარცვლის ადგილია დატოვებული. ცეცხლაძე-კი ვარსკვლავიან სტრიქონს ასე სწერს: „იქ იყო, ვინც დაიმსახურა“. ამ უგვარო სტრიქონში ცხრა მარცვალია და „პროლასოვს“ ჩასწერთ თუ „საბუროვს“ სულ ერთია, თორმეტი მარცვალი გამოვა. ამგვარად დასტურდება, რომ ცეცხლაძეს რუსულისათვის მიუხედავად და მიბაძვის უნარიც არა ჰქონია, რადგან თუ მართალსა სწერს, გვარის ჩასაწერად სამი მარცვლის ადგილი უნდა დაეტოვებინა და არა ერთისა.

ჩვენს წერილში აღნიშნეთ ცეცხლაძის რითმის უფარვისობა და ის გარემოება, რომ იგი რითმის როლს ასრულებინებს კავშირს „და“-ს, ნაცვალსახელს „ის“, „მე“-ს, „ან“-ს და სხვათა შორის ვწერდით, რომ არც ქართულს კავშირს „და“-ს, არც რუსულს „ა“-ს ფრანგულს „et“-ს და გერმანულს „und“-ს არასოდეს რითმის როლი არ აუსრულებიაო. ამის უარსაყოფად ცეცხლაძეს ვერც რუსულსა და ვერც აწინდელს ქართულში მაგალითი ვერ მოუძებნია, ხელი შორს გაუწვდენია და მიაკოვსკისა და რუსთაველს ებოტინება. რაც შეეხება რუსულს „ა“-ს, როდესაც ჩვენს წერილს ვწერდით, მხედველობაში გვყავდა რუსეთის ენის დამამშვენებელი პუშკინი, ლერმენტოვი, ნიკოლაევი, უუკოვსკი, კოლცოვი, ნადსონი და სხვ. ჩვენ დღევანდელ რუსეთის პოეტებამდე და ფიქრადაც არ მოგვეგონა ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთი გვეძებნა მეტად თავისებურ და ნიჭიერ პოეტის მიაკოვსკისა და იმ ჯგუფის მწერლებში, რომელსაც ის ოდესღაც ეკუთვნოდა. რაც შეეხება მეორე მაგალითს, ცეცხლაძეს გურამიშვილიდან მოყოლებული დღევანდელ პოეტებამდე ვერავისთვის ვერ უპოვია ერთმარცლოვანი რითმა კავშირი „და“ და თუნდა ეპოვნა კიდევ და შეცდომით ეხმაროს ვისმეს, ეს მაგალითად მოსაყვანი არ არის და ამის დამწერს ნაკლად უნდა ჩაეთვალოს. ცეცხლაძე რუსთაველს იმოწმებს, მაგრამ ეს საბუთიც არაფრად გამოდგება. მართალია რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ორგან თუ სამგან ხმარობს რითმის დასაბოლოვებლად და არა რითმად „და“-ს, მაგრამ ასეთს შემთხვევაშიც ყველგან მრავალმარცლოვანი რითმა აქვს, როგორც ეს შეჰფერის. ქართულს ენას და ერთმარცლოვანი-კი არსად მაგალითად, ცეცხლაძე სწერს: ბორცვი და — გამოჩნდა 12/5, კვლავ და — აღსრულდა 30/5, კი — იგი 27/2, სიამე — მას მე 39/2, ტყის — ის 6/8 და სხვ. ჩვენის აზრით, რითმად შეკეთილმორგანებული უნდა იყოს სიტყვები და არა სიტყვის ისეთი უაზრო ნაწილაკები, როგორც არის კავშირი „და“, ნაცვალსახელი „ის“, „მე“, „შენ“, „ან“, „კი“ და სხვ. ცეცხლაძის თარგმანში ხშირად შეხედებით ასეთს უაზრო ერთმარცლოვან რითმას. გავსინჯოთ ხლა მის მიერ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყვანილი ადგილები:

„თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემოდრწუნდა,  
ვერ ვასმინე საუბარი, მით დაეყოვნე ხანი მუნ და“.

(იხ. უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ტაბი 90),  
როგორც აქ ისე ცეცხლაძის მიერ მოყვანილ სხვა მაგალითებში „მარეკი და — აიკი — და ტ. 270, „დაება და — დაება“ ტ. 734, „ნუ დასკრი და — ვაგრიდა ტ. 914, არა უნდა — იგი მუნ და ტ. 609, რუსთაველს არსად ერთმარცლოვანი რითმა არა აქვს. „და“-ს კავშირადც ხმარობს და რითმის დამატებადც. ცეცხლაძე-კი, სადაც კავშირი „და“, ნაცვალსახელი „ის“, „მე“ და „ან“ აქვს ნახმარი, ყველგან სიტყვებს კი არ არიტმებს ერთმანეთს, არამედ უაზრო ერთმარცლოვან სიტყვის ნაწილაკებს, რაც ქართულს ენას არასწავს. ასეთის რითმის შესახებ, ჯერ კიდევ სიტყვიერების თეორიის შემდგენელი მ. კელენჯერიძე სწერს: „ერთმარცლოვანი რითმა ქართულში ძვირია და სასაცილოც, რადგან იგი პოეტის უნიკობას ამტკიცებს“-ო (იხ. მ. კელენჯერიძის „თეორია სიტყვიერებისა“ ქუთაისი, 1899 წ. ნაწ. 1 გვ. 123).

შემდეგ ცეცხლაძე განაგრძობს: „რეცენზენტს მოჰყავს თარგმნიდან ცალკეული სიტყვები და ამბობს: მთარგმნელის თარგმანით: Вздор — მიქარავა, Толстѣй — ლობი, Кушак — ქამარი. ახანაზროვზე ზედ გამოქრილიაო სწორედ „ონგინის სიტყვები“:

Старик, имея много дел,  
В иные книги не глядел“.

ჯუბასუბებთ, ეგ კიდევ დიდად დასაძრახისი არ არის, უფრო სამწუხაროა თვით ცეცხლადის მდგომარეობა. პუშკინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ქართული სცოდნოდა და ცეცხლადის თარგმანი წაეკითხა, ასე იტყოდა:

„Младой, имея мало дел,  
Переводить вдруг захотел,  
Но языками не владел  
И зря пыхтел он и потел“!

„ზემო აღნიშნულ სიტყვებსაო, სწერს ცეცხლაძე, ასევე სთარგმნის უნივერსიტეტის მიერ 1937 წ. გამოცემული რუსულ ქართული ლექსიკონიკაო.

აი, სწორედ ის გარემოება, რომ ცეცხლაძე ისეთ სიტყვების ახსნას როგორცაა Грохот музыки, Кушак, Пояс, Толстый ლექსიკონში დაქვებს, ნათლად ამტკიცებს, რომ იგი მტკნარი უფიცია რუსულის ენისა, რადგან ამ სიტყვების ასახსნელად არცერთი რუსულის მცირეოდნად მცოდნეც კი ლექსიკონს არ მიჰმართავს. სამწუხაროდ ცეცხლაძემ ლექსიკონის მოხმარებაც კარგად არ იცის. ეს არცოდნა თითონვე აღიარა, როდესაც სწერს, რომ ლაფსუსი მომივიდა და Грохот музыки „მუსიკის ცხავად“ ამოვწერეო, ერთხელ კიდევ რომ ჩაიხედოს ლექსიკონში, დარწმუნდება, რომ ამ სამის რუსულის სიტყვის ამოწერის დროსაც ლაფსუსი მოსვლია. იმ ლექსიკონში, რომელსაც იგი ახსენებს, ამ სიტყვებს პირველ რიგში ზუსტად შესატყვის სიტყვებითა სთარგმნის და შემდეგ სხვა სიტყვებს დაურთავს ასახსნელად და განსამარტებლად. მაგალითად: ეს სიტყვები ლექსიკონში პირველ რიგში ასეა გადმოთარგმნილი: Вздор — სისულელე, Толстый — მსხვილი, სქელი, Кушак — სარტყელი და Пояс — ქამარი და ამ თარგმნის შემდეგ ლექსიკონს ტერმინის განსამარტებლად მოჰყავს სხვა სიტყვები. ცეცხლაძეს ამ პირდაპირ ნათარგმნ სიტყვებისათვის გვერდი აუქცევია და ლექსიკონის განმამარტებელი სიტყვები თარგმნად მიუღია. ლექსიკონის თანახმად Кушак უნდა ვთარგმნოთ სარტყელად და არა ქამრად, Пояс-ი ქამრად და არა სარტყელად, Толстый მსხვილად და არა ლოხად. რაკი ცეცხლაძეს ავტორიტეტები ასე სწამს, ჩაიხედოს ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში და იქ ამოიკითხავს, რომ ლოხი არისო ზანტი, ზარმაცი, მძიმე ცხოველი, Ленивый скот ლოხი კამბეჩი, неповоротливый буйвол და არა Толстый. სქელ კაცს შეიძლება დაცინვით ლოხსაც უწოდებენ და ალბათ ამ აზრით არის ნახსენები ეს სიტყვა უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში. ცეცხლაძეს კი ეს ლექსიკონი ვერ მოუხმარებია, და ამიტომ მისი თარგმანი სისწორეს მოკლებულია.

ჩვენს წერილში ნათქვამი გვექონდა, რომ მთარგმნელი ცეცხლაძე ძალიან დაუდევრად ეკიდება დედნის სიტყვიერ აღნაგობას და ხშირად ზედ-მეტს სიტყვებს უმატებს, რითაც დედნის აზრს სცვლის და სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ამისი რამდენიმე მაგალითი გვექონდა მოყვანილი, სახელდობრ: პუშკინის Наследник всех своих родных — ცეცხლაძემ ასე გადმოთარგმნა „თვის წინაპართა პირმშო მემკვიდრე“, მეორე, ლომის ხელოვნური ნაქვებები მოსკოვის სახლების ქიშკარზე გააცოცხლა და დინჯ ლომებად გადაქცია და მესამე, პუშკინის სიტყვები:

„Отец понять его не мог  
И земли отдавал в залог“.

გადაასხვავებრა და ჩაუმატა სიტყვა „ბანკი“ რითაც დედანს აზრი შეუცვალა, ამას გარდა, დიდადი მაგალითი გვექონდა აღნიშნული მთარგმნელის მიერ რუსულისა და ქართულის ენის დამახინჯებისა. ცეცხლაძე ამ მაგალითებს გაუჩუმდა. მამა-პაპის პირმშო მემკვიდრეობა და ქიშკარებზე დინჯად მსხდომი ლომები გადაყლაპა (ადვილად მოენელებინოს) და გამოევიდა ერთს ჩვენს ფრაზას სახელდობრ: იქ, სადაც ჩვენ ვამბობდით, რომ პუშკინის ლექსის თარგმანში ზედმეტად „ბანკი“ ჩაუმატაო და სხვათა შორის დაეძენდით, რომ მე-19 საუკუნის მე-20 წლებში საადგილმამულო ბანკები არ არსებობდაო, ცეცხლაძე ჩასცივბია ამ ფრაზას და გვიმტკიცებს, რომ ასეთი ბანკები იყოო, თითქოს უმთავრესი მნიშვნელობა ბანკის არსებობასა ჰქონდეს და არა იმას, რომ პუშკინს ბანკი არ უხსენებია და ცეცხლაძემ კი ეს, სიტყვა ზედმეტად ჩაუმატა, აი, სიტყვის ბანზე ავდება ამასა ჰქვიან. თავის აზ-

რის დასამტკიცებლად, რომ ვითომ მაშინ საადგილმამულო ბანკი არსებობდა, ცეცხლაძეს მიუმართავს ბროკპაუზისა და ეფრონის მცირე ენციკლოპედიურ ლექსიკონისათვის, ჩვენ ხომ ვიცით, რომ როდესაც ცეცხლაძე ლექსიკონში იხედება ყოველთვის წაღმას უკულმად ამოიკითხავს ხოლმე, ამ შემთხვევაშიც ასე მოსდის. იგი თავის ლექსიკონით ამტკიცებს, რომ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები რუსეთში დაარსებულ იქმნა 1754 წელსაო. ნამდვილად-კი, ამ წელს დაარსებულ იქმნა სათავადაზნაურო სესხის გამცემი ბანკები და არა სათავადაზნაურო საადგილმამულო (იხ ბროკპაუზისა და ეფრონის ვრცელი ლექსიკონის მე-4 წიგნი გვ. 917), სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკები-კი დაარსებულა 3 ივნისს 1865 წ. (იხ. იქვე გვ. 932). ცეცხლაძეს აქაც სწორე ცნობა ვერ ამოუკითხავს, მაგრამ საქმე ამაში არ არის. ვთქვათ, 1820 წელს სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი არსებობდა—და ჩვენა ვცდებით, აქაო და ბანკი არსებობდაო, იმიტომ ჩაუმატა ცეცხლაძემ თარგმანში ზედმეტად სიტყვა „ბანკი“, როდესაც პუშკინს ეს სიტყვა აირა. აქვს ნახსენები? ან განა თვითონ ცეცხლაძეს-კი სჯერა, რომ ონეგინის მამა მიწებს ბანკში აგირავენდა? პირიქით, არა სჯერა და მხოლოდ ოცობოდოს ედება, აი ამასა ჰქვიან მის მიერ, ხსენებული წილალობილა. აი ამისი საბუთიც პირველი თავის მე-7 ხანაში ჩაუმატა, რომ ონეგინის მამა მიწებს ბანკში აგირავენდაო, და იმვე თავის მე-51 ხანას-კი ასე გადმოგვცემს:

„მაშინ მოუკვდა მამა და გლოვდა,  
ონეგინის წინ უცებ შეგროვდა  
მევაზშეების მსუნავი კრება“.

თუმცა თავის თარგმანით აქაც ამახინჯებს დედანს, რადგან პუშკინს აქვს არა მევაზშეების მსუნავი კრება, არამედ Займодовцев жадный полк, მაგრამ ვკითხოთ ერთი, თუ ონეგინის მამა მიწებს ბანკში აგირავენდა, ეს მევაზშეები საიდან გაჩნდნენ? აშკარაა, რომ ბანკში კი არ დაუგირავენია, თორემ ბანკს, რომელიც შედავათიონს სესხს აძლევს, განა მევაზშე დაერქმევა? აშკარაა ცეცხლაძის მარცხენა ხელმა არ იცის, რასაც მისი მარჯვენა ხელი სწერს.

შემდეგ რუსიციზმის ხმარების შესახებ იგი გვეთანხმება, რომ ჩემ მიერ დასახელებული ადგილები რუსიციზმებია, მაგრამ, „ისინი არ წარმოადგენენ მიანიცადამაინც შეუწყნარებელ რუსიციზმებსო“. არ გვესმის, რას ნიშნავს შეუწყნარებელი და შესაწყნარებელი რუსიციზმი. რუსიციზმი რუსიციზმია და აქ შეწყნარება რა შუაშია? შემდეგ სწერს, რომ რუსულსა და უცხო ენის სიტყვებს იმ შემთხვევაში ვტოვებ და არა ვთარგმნი, როდესაც მისი ამსახველი სიტყვა არა გვაქვსო... აქაცა სტყუის. მის მიერ ამონაწერ სიტყვებში უმეტესი მშვენიერად გადმოითარგმნება ქართულად, როგორც, მაგალითად: Хандра — სევდა, Тиран — მტარვალი, аплодисменты — ტაშის ცემა, портрет — სურათი, план — გეგმა, печь — ღუმელი, шкаф — კარადა, аршин — ადლი, туз — კიკო და სხვანი. ცეცხლაძის უბედურება იმაშია, რომ ზოგან იგი პუშკინის წმინდა რუსულ სიტყვასაც-კი უცხო ენის სიტყვით სთარგმნის. აი ერთი ამისი მაგალითი: სადაც პუშკინი სწერს ტატინას მამის შესახებ:

Отец се был добрый малый,  
В прошедшем веке запоздалый;

(თავი მე-2, ხანა 29), ამას ცეცხლაძე ასე გვითარგმნის:

„მამა იმისი, კაცი კეთილი,  
იყო ეპოქას ჩამორჩენილი;

როგორც ხედავთ რუსული век-ი ბერძნული სიტყვით ეპოქით გადმოქცეა, თუმცა ეპოქა ნიშნავს ხანას და არა საუკუნეს.

აქვე მოიყვანთ რამდენსამე მაგალითს ცეცხლაძის რუსულის ენის უცოდინარობისას: პუშკინი:

Мазурка раздалась. Бывало,  
Когда гремел мазурки гром,  
В огромном зале все дрожало.  
Паркет трещал под каблуком.  
Тряслися, дребезжали рамы;  
Теперь не то: и мы, как дамы,  
Скользим по лаковым доскам.

Но в городах, по деревням,  
Еще мазурка сохранила  
Первоначальные красы:  
Припряжки, каблуки, усы.“ 42/V.

ცეცხლაძე ამ სტრიქონებს ასე გვითარგმნის:

„უკვრენ მაზურკას. ძველად მის ხმაზე  
გრგვინვა გრიალი ისმოდა მეტი,  
მთლად ზანზარებდა დიდი დარბაზი  
და ტკრციალებდა ფეხქვეშ პარკეტო,  
ირგვლივ ჩარჩონი შეირყეოდნენ,  
დღეს-კი ვით ქალნი, ჩვენც მარტოოდნენ.  
ფეხს ვასრიალებთ ნაზად და ფრთხილად.  
ეს ქალაქებში, მაგრამ იქ სოფლად  
შეინარჩუნა მაზურკამ კვალად  
თავდაპირველი თავის შნოები:  
შებტომა, ქუსლი და უღვაშები“.

შეადარეთ ეს ორი ამონაწერი და დარწმუნდებით, როგორი მთარგმნელია და მცოდნე რუსულის ენისა. იქ სადაც პუშკინი სწერს *тряслися рамы*, ცეცხლაძე მოგვითხრობს: ჩარჩონი შეირყეოდნენ (კი არ ირყეოდნენ, შეირყეოდნენო, ალბათ მერმისში, ოდესმე!).

პუშკინის *Скользим по лаковым доскам* ასე აქვს გადმოცემული: ფეხს ვასრიალებთ ნაზად და ფრთხილად.

პუშკინი: *Мазурка сохранила первоначальные курсы.*

ცეცხლაძე: „მაზურკამ შეინარჩუნა შნოები“. რა არის ეს შნოები? *красы* თუა, მაგრამ შნოს განა მრავლობით რიცხვი აქვს? ეს წვრილმანია. საქმე იმაშია, რომ ცეცხლაძეს თითონ ლექსის აზრიც ვერ გაუგია. როდესაც პუშკინი *лапшарაკობს*: ახლავს „*Скальзим по лаковым доскам, но в городах, по деревням, Мазурка сохранила первоначальные красы*“ ამითი იმის თქმა უნდა, რომ დედაქალაქში დავსრიალებთ იატაკზეო, ქალაქებსა და სოფლებში-კი, ისევ ძველებურად დარჩაო. ცეცხლაძეს პუშკინის რუსული ვერ გაუგია და ამბობს: „ეს ქალაქებში, მაგრამ იქ სოფლად“. პუშკინი უპირისპირებს დედა ქალაქს სხვა ქალაქებსა და სოფლებს, ცეცხლაძე-კი ქალაქებს სოფლებს უპირისპირებს.

პუშკინი: *Мечтам и годам нет возврата* 16/IV.

ცეცხლაძე: „ოცნებას და წლებს დავსტირი გულით“

პუშკინი:

*Враги его, друзья его  
(Что может быть, одно и тоже)  
Его честили так и сяк.* 18/IV.

ცეცხლაძე: „მოშურნე მტრები და მეგობრები

(რაც შესაძლოა ურთ-ერთს არ ჰშორავს)

მას არ ზოგავდნენ საქოლად ქვებით“.

დანტკები თარგმნის სისწორითა და ქართულის ენით. *честили* თურმე ქვებით ჩაქოლვა ყოფილა და ან რა არის „ურთ-ერთს არ შორავს“ და „მოშურნე მტრები“?

პუშკინი:

„На суд взыскательному свету  
Представить ясные черты  
Провинциальной простоты,  
И запоздалые наряды,  
И запоздалый склад речей;  
Привлечь насмешливые взгляды“. 27/VII.

ცეცხლაძე:

„ის ქალაქის ხალხს პიტისპირ ნახავს,  
უნდა წარუდგეს ნათელ შნოებით,

მროვინციალურ უბრალოებით  
ჩაცმა-დახურვით ძველებურ მოდის  
და ლექსიკონით სოფლურ სიტყვათა;  
მოსკოვის ფრანტთა და ცირკეათა  
დამცინავ მზერას იქ მიიპყრობს ის“...

როგორ მოგწონთ ამ თარგმანის სიზუსტე ან ქართული ენა?  
შეადარეთ ყოველი სტრიქონი ერთმანეთს, სხვას რომ თავი დავანებოთ Ясные черты  
провинциальной простоты ყოფილა „ნათელ უნოებით პროვინციალურ უბრალოე-  
ზით“ და ან რითმა „ძველებურ მოდის — მიიპყრობს ის“.

პუშკინი:

„Но, так и быть: простимся дружно,  
О юность легкая моя!  
Благодарю за наслажденья,  
За грусть, за милые мученья,  
За шум, за бури, за пиры,  
За все, за все твои дары  
Благодарю тебя. Тобою  
„Среди тревог и в тишине“.  
Я наслаждался.. и в полне; 45/VI.

ცეცხლაძე:

„კარგი: დავშორდეთ ძმურად და ტკბილად,  
დარდიმანდობავ და სიჭაბუკევე!  
მადლობელი ვარ, რაც მასვი ტკბილი  
და რაჟ მაწამე გულის ტკივილით,  
გმადლობ ლხინისთვის, განგაშისათვის  
და ყველა, ყველა ფეშკაშისათვის.  
მადლობელი ვარ, რადგან მე შენით,  
ორომტრიალში, თუ ჩემთვის წყნარად,  
ხშირად ვტკბებოდით... საესებით კმარა:“

შეადარეთ ეს ორი ამონაწერი, მკითხველო, და დასტებით დარდიმანდობით, განგაშითა და ფეშკაშით!..

მაგრამ კმარა. ასე რომ გავყვეთ, მთელ წიგნის ამოწერა მოგვიჩნდება და მგონი ისეც მოვაბეზრე თავი მკითხველს ამ თარგმანის ხელის-ხელსაგომანებელ ლაფსუსების ამოწერით, ბოლოს ცეცხლაძე ეხება პუშკინის ლექსს „დამხრჩვალს“ ჩემ მიერ ქართულად გადმოღებულს და, ალბათ მაგიერის გადასახდელად, თარგმანს მიწუნებს და ამბობს, რომ Кафтан — ხიფთანია და „ჩოხად“ უთარგმნიაო, поплетусь — წავშავდებიო. როდესაც ეს სიტყვა უნდა გადაითარგმნოს „წავჩანჩალდებით“ ან „წავხინჩილდებიო“. კერის მაგიერად калачი უნდაო. ერთის სიტყვით რუსულის ენის ცოდნას და თარგმნას მიწუნება, კაცია და გუნება. ცეცხლაძეს ვერ გაუგია, რომ ეს ლექსი მე, გადმოთარგმნილი კი არა, გადმოქართულებული მაქვს. თუ ეს არ მოსწონს, თითონ ხომ შესანიშნავი მთარგმნელია, გადათარგმნოს იგივე „დამხრჩვალი“ ხიფთანით, კალაჩით, წახინჩილებითა და თავის მშვენიერის დიფთონგებით და დაბეჭდოს, ამისი უნარი ხომ შესწევს.

დასასრულ გულწრფელად ვურჩევთ გრიგოლ ცეცხლაძეს, თავისი გაზვიადებული, ცრუ-თავმოყვარეობა იქით გადასდოს. თუ მაინცდამაინც არ დაუშლია, მთარგმნელობის უნინ არ ისვენებს, რუსული ენა კარგად შეისწავლოს, რომ ისეთ სიტყვებისათვის, როგორიცაა: грихот музыки, кушак, толстый და სხვ. ლექსიკონს არ მიჰპართოს ზოლმე, დაუკვირდეს აგრეთვე თავის ქართულ ენასაც, რომ დიფთონგებს ამზოდ არ დაეძებდეს, კორექტურულ შეცდომას არ ეჭიდებოდეს და ქართულს ენას არ ამახინჯებდეს, იცოდეს, მაგალითად, რომ შნოს, როგორც განწყენებულ ცნებას, მრავლობითი რიცხვი არა ბქვს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს რუსულიდან ქართულად თარგმნას, თორემ, ვინც იმის ლაფსუსებს ამოიჭრითხვას, უნებურად იფიქრებს: აფსუს, ვის ჩავარდნია ხელში პუშკინი სათარგმნელადაო!

15 თებერვალი 1940 წ.



# იბერიოტრია

## სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“.

ბიოგრაფი ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით. სახელბამი.

თითქმის ორნახევარი საუკუნეა მას შემდეგ, რაც ქართული მწერლობის ოქროს ფონდსა შეემატა სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც უნიკალური ძეგლია მთელი მე-17 საუკუნის მანძილზე, როგორც ნიჟურში უაღრესად თავისუფალი აზროვნებისა, ნატიფი შემოქმედებისა და ქართველი ერის გონებამახვილობისა.

ავსტრიელი მწერალი ბ. ზუტენერი განცვიფრებაში მოჰყავს იმ ფაქტს, რომ ერთი ვერმანული არაკი, რომლის ქარგაზე შეიღერმა ბალადა Fredolin-ი დასწერა, ბევრად ადრე, ვიდრე მას ვერმანელი პოეტი გამოიყენებდა, სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიბრძნე-სიცრუეში“ მოუქცევია („დროება“ №261, 1884 წ.).

საერთოდ, წარსულში, ქართული წიგნის უბედობის წყალობით, ასეთი შესანიშნავი ძეგლი პირველად მხოლოდ 1859წ. გამოიცა სტამბური წესით და ისიც, საქართველოს გარეთ, პეტერბურგში.

მას შემდეგ 80 წელი გავიდა. აღნიშნულმა ძეგლმაც რამდენიმე გამოცემა განიცადა. მაგრამ ს. ს. ორბელიანის დიდი ერუდიციის ქმნილების ღირსებას ვერცერთი მათგანი მთლიანად ვერ უბასუხებდა.

ფეფტინი ნაბიჯი ამ მხრივ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში გადაიდგა, როცა გიორგი ლეონიძის რედაქციითა და ვრცელი გამოკვლევის დართვით „შრომაში“ გამოსცა იგავ-არაკთა ეს შესანიშნავი კრებული. ხოლო უკანასკნელი გამოცემა ნამდვილი დაგვირგვინებაა ამ ბრწყინვალე ძეგლისა. იგი ძირითადად განსხვავდება სხვა გამოცემებიდან და, რაც მთავარია, ტექსტის დადგენით. ამ მხრით მთლიანად დატყუალა ავტორის სტილი და თხზულების არქიტექტონიკა, რაც რედაქტორ სოლ. იორდანიშვილის დაკვირვებულ მუშაობას უნდა მიეწეროს.

წიგნს დართული აქვს ორდენოსანი პოეტის გიორგი ლეონიძის გამოკვლევა „სულხან-საბა ორბელიანი და „სიბრძნე-სიცრუე“, რომელიც პირველი ვრცელი ბიოგრაფიაც არის დიდი მოღვაწისა და თხზულების გარჩევაც. ლეონიძისათვის ჩვეულ მიმზიდველი ენითა და მოხდენილი სტილით ნაშრომის მთელ მანძილზე ნათლად გარკვეულია ს. ს. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი შტრიხები და მნიშვნელოვანი თარიღები. ავტორს გამოყენებული აქვს უამრავი ლიტერატურა, საგულისხმო ძეგლები და უტყუარი წყაროები, რომლითაც ის აღწევს მწერლის ცხოვრებაში მთელი რიგი ფაქტების გადასინჯვასა და დადგენას. შრომაში გარკვეულია: სულხან-საბა ორბელიანის დაბადება, ბავშვობა და აღზრდა, სახელმწიფო და სამეცნიერო მოღვაწეობა, განდევილობა, კათოლიკობის მიღება და მისი უმთავრესი მიზეზები, საბა ვახტანგ VI აღმზრდელი, დიპლომატი და მოგზაური, მისი სამეფო კარზე დამარცხება, რუსეთში გადასახლება, უკანასკნელი წლები და გარდაცვალება.

წიგნს აგრეთვე დართული აქვს ლექსიკონი, საძიებელი და მხატვარ ს. მისიაშვილის ქაღალდებში შესრულებული მაღალხარისხოვანი ილიუსტრაციები; მხატ. ლ. გრიგოლის მიერ წიგნი გაფორმებულია მაღალი გემოვნებით, ერთი მათგანი — ახალაზრდა პოეტი სულხანი — პირველად ქვეყნდება. წიგნი დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და ფაქიზად ჩასმულია ლიდერინის ვარაყიან ყდაში. სახელგამს აღნიშნული გამოცემა დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს.

1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის  
შოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

|                         |            |
|-------------------------|------------|
| წლიურად . . . . .       | 18 ზან.    |
| ნახევარი წლით . . . . . | 9 „        |
| ცალკე ნომერი . . . . .  | 1 მ. 50 კ. |

ხელის შოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის  
რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ა 553  
1940

ფასი 1 ლ. 50 კ.



Ежемесячный журнал  
„**ЧВЕНИ ТАОБА**“  
Сахелгами 1940 г. Тбилиси.